

1974/3



საქართველო სულავები

1974.12

რის სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკის საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების წარმომადგენლებმა. სოციალისტური ქვეყნიებიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ი. როდენბერგმა (გდრ), ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის და მონღოლეთის საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების წარმომადგენლებმა. კაპიტალისტური ქვეყნიებიდან ჩამოვიდნენ „ასიტეკის“ პრეზიდენტი, პროფესორი ნათან იკი (აშშ), დ. დელიტილი (კანადა), აგრეთვე საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ინდოეთის, იაპონიის და სხვა ქვეყნების საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების ცნობილი რეჟისორები, მსახიობები და თეატრის კრიტიკოსები.

„ასიტეკი“ — 74

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა დ. აღუქსიძემ. სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, სსრკ სახალხო არტისტი თ. თაქთაქიშვილი. კონფერენციის მნიშვნელობისა და მუშაობის შესახებ ილაპარაკა კ. შახ-აზიზოვმა.

მომსენებლები და სიტყვაში გამოსულები ძირითადად შეეხნენ შემდეგ საკითხებს: როგორია მისი მავრებელი, რა სპეციფიკით გამოირჩევა ახალგაზრდული თეატრის მსახიობი, რა ახალი გზები და საშუალებები არსებობს თანამედროვე თეატრსა და მავრებელს შორის უშუალო კონტაქტის დასამყარებლად და სხვა.

ქართული მოზარდ მავრებელთა თეატრის მოღვაწეობაზე, დანიშნულებაზე, რეპერტუარზე, ქართველი ბავშვების მომზადებაზე წარმოდგენის აღსაქმელად და თეატრალური განათლების მისაღებად, თეატრსა და მავრებელს შორის კონტაქტის დამყარებაზე მოხსენება გააკეთა ხელმოწევათმცოდნეობის კანდიდატმა, თეატრმცოდნე ნ. ურუშაძემ.

ჩვენი ქვეყნის ქალაქების წარმომადგენლებმა კონფერენციაზე ილაპარაკეს თავიანთ მოზარდ მავრებელთა თეატრების მუშაობაზე, თავისებურებაზე, მავრებელთან კონტაქტის დამყარებაზე, საშემსრულებელ ხარისხსა და ახალგაზრდული თეატრის მსახიობის სპეციფიკაზე. მომსენებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მოზარდ მავრებელთა თეატრის მსახიობს განსაკუთრებულ პირობებში უხდება მუშაობა, რადგან მას საქმე აქვს ბავშვებთან, გულწრფელ, უშუალო მავრებელთან, რომელიც ვერც უკმაყოფილებას ფარავს და ვერც სიხარულს. მათ არ იციან, რას ჰქვია შემწყარებლობა, მსახიობს არ აბავთებენ არავითარ შეცდომას, მოითხოვენ მძაფრ კონფლიქტებს, ბოროტზე კეთილის გამარჯვებას და მსახიობიც ყველაფერ ამას ანგარიშს უნდა უწყევდეს. მან უნდა შეიცნოს ბავშვის შინაგანი სამყარო, ფსიქოლოგია, სულის სი-

13-14 ნომერბის თბილისში ჩატარდა საბავშვო და ახალგაზრდობის თეატრის საერთაშორისო ასოციაციის („ასიტეკის“) კონფერენცია, რომელიც მოაწიეს საბავშვო და ახალგაზრდობის თეატრის საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ცენტრმა, რსფსრ-სა და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებებმა. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის, დემოკრატიული და კაპიტალისტური ქვეყნების თეატრების ხელმძღვანელები, რეჟისორები, მსახიობები და თეატრმცოდნეები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს „ასიტეკის“ საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ცენტრის საპატიო პრეზიდენტმა, რსფსრ-სა და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კ. შახ-აზიზოვმა, ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ი. ვორონოვმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა კნენგელმა, რსფსრ სახალხო არტისტმა, სარატოვის თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ ი. კისელიძემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ნ. საცმა, საერთაშორისო ასოციაციის საბჭოთა ცენტრის პასუხისმგებელმა მდივანმა კ. გოლოსოვმა, საბჭოთა კავში-

ფაქტზე, რადან ასალგაზრდული თეატრის დაბინ-
ნულება ძირითადად მაინც ბავშვებს სწორად აღზრ-
და, მისი გემოვნების, მისი ესთეტიკური გრძნო-
ბის ჩამოყალიბებაა, რაც შეტისმეტად ძნელია და
თეატრისა და მსახიობებს სწრაფად ურთიულეს ამო-
ცანებს აყენებს. გარდა ამისა, მოზარდი თაობები
სწრაფად იცვლება, რიუკლებმა მათი შინაგან-
ბუნების სტრუქტურა, ისინი ვრცელად მოვლე-
ნათა სწრაფად ცვლას და უფრო ერთი და
იგივე სპექტაკლის რამდენჯერმე ნახვა აუბან
სწრაფად მაყურებელთა თეატრებში უნდა აუბან
მხარი ყოველივე ამას. კონფერენციაზე გამო-
ითქვა ისეთი აზრები, რომ მოზარდ მაყურებელთა
თეატრის მსახიობებს ანაფათი განსაზღვრებით
სპეციალური ვითარებაში არ უნდა მუშაობა და
მთავარია არა მაყურებლის ასაკი, გულწრფელობა
და ემოციურობა, არამედ მსახიობის პროფესიული
დანი. სპექტაკლის მალე უმსაქმრელობა. თუ თეატ-
რი შესაძლებს თავის ასალგაზრდად მაყურებელს
უჩვენოს ყოველმხრივ უნაყოფო სპექტაკლი, ქემე-
რბიტი ხელოვნების წაწარმებით მაშინ თავისთა-
ვად, ძალდაუტანებლად დამყარდება უშუალო
კონტაქტი თეატრსა და მაყურებელს შორის, მო-
ზარდი თაობაც ისეთი დიდი სიამოვნებით ივლის
თეატრში და შინაგანად ისევე გამდიდრებულ
დაბრუნდება შინ, როგორც მოზრდილთა თეატ-
რის მოყარულები დადიან ცნობილი რეჟისორისა
და მსახიობების მიერ შექმნილ სპექტაკლზე.

კონფერენციაზე აგრეთვე დასაჯერებელი იყო იმის
შესახებ, რომ ყოველ მოზარდ მაყურებელთა თეატ-
რს უნდა ჰქონდეს საკუთარი სტილი და ჰყავდეს
ამ სტილის შესაფერისი მსახიობები.
თუ გადავხედავთ ჩვენი ქვეყნის თეატრების
ისტორიას, დაერწმუნდებით, რომ ყველა დიდ რე-
ჟისორს, ყველა სახელმწიფო თეატრს ჰქონდა
თავისი სტილი და სკოლა, სადაც მსახიობებსა და
რეჟისორებს თეატრისათვის შესაფერისი პედაგო-
გიური მეთოდებით ზრდიდნენ. ამიტომ აუცილებელ-
თან ყველა წამყვან, აკადემიურ და ცნობილ მო-
ზარდ მაყურებელთა თეატრებთან გაიხსნას სტუ-
დიები, სადაც აღიზრდებიან ასალგაზრდული თეატ-
რის რეჟისორები და მსახიობები. სამწუხაროდ,
ასეთი სტუდიების უქონლობის გამო ბევრ მოზარდ
მაყურებელთა თეატრში თავმოყრილი არიან სხვა-
დასხვაგვარი საშემსრულებლო სტილის მსახიობე-
ბი.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ
დედაქალაქების თეატრებს აქვთ საშუალება თავი
მოუყარონ ერთი სტილის, ერთი სკოლის მსახიო-
ბებს, პერიფერიული თეატრები კი სრულიად მოკ-
ლებული არიან ამ შესაძლებლობას. მათ ქალა-
ქებში სტუდიები და თეატრალური სასწავლებ-
ლები არ არსებობს, ამიტომ ისინი იძულებული
არიან სხვადასხვა ქალაქის სასწავლებლებამთავარ-
ებელი მსახიობები და რეჟისორები მოიწვიონ.
ამიტომ როგორღაც პერიფერიულ მოზარდ მაყუ-
რებელთა თეატრის მუშაობა.

მომსწიველები თქვეს აგრეთვე თეატრ-
ყურებლის მოზიდვის საკითხს. ხსენებენ დრო
ნათქვამი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ
მაყურებელთა სპექტაკლების დამაჯერებლობას
გმირთა სახეების მიცელობას, მათი ხასიათების
ფსიქოლოგიურ მოტივირებას. სპექტაკლის გმირე-
ბი მოზარდთათვის ცხოვრებისეული გმირები უნდა
გახდნენ. ამიტომ აუცილებელია ახლის მიბეზობა
მიმართ ფაქტიზ მიდგომა, მომავალი თაობის
რეჟისორებისა და შესაძლებლობების განსაზღვრა. აზი-
ნათვის კი საჭიროა თეატრებისა და სკოლების
დაახლოება. ბავშვი ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ
პირობებშიც უნდა ხედავდეს თავის საყვარელ მსა-
ხიობს, შესაძლებლობა ჰქონდეს ესაუბროს მას,
მისცეს კითხვები, დარწმუნდეს, რომ მსახიობსაც
უყვარს იგი. მაგრამ ამის გაკეთება იძულებითი მო-
შეიძლება, მაყურებლის თეატრში იძულებითი მო-
ზიდვას უარყოფითი შედეგი უფრო მოაქვს, ვიდ-
რე დადებითი. ბავშვს უნდა უყვარდეს თეატრი,
სპექტაკლი და სასწავლებელი იგი განსაკუთრებით
უნდა ემზადებოდეს. მარტო სასწავლებელი აქ-
ვერადგინს გააწიებს. მაყურებელს თეატრი თვით
თეატრმა უნდა შეაყაროს. ამისათვის კი საჭიროა
მსახიობები თვითონ ეწვიონ სკოლებს, შეხვდნენ
თავიანთ მაყურებელს, მოაწიონ განხილვები, დის-
პუტები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ჩვენი კი დღეს ყველაფერი პირიქით ხდება,
ყველაფერი მასწავლებლის კისერზე გადადის. მას-
წავლებელი თეატრში მოდის, დიდი შორიდებით
ეხევეწება მსახიობს დაესწროს სპექტაკლის გან-
ხილვას და ორივე სიტყვა უთხრას მოწაფეებს.
თეატრის აქტიურობის, მსახიობების მაყურებელ-
თან დაახლოების გარეშე დღეს შეუძლებელია
ლუკრის წარმატება. თუ თეატრს სურს ჰყავდეს
მაყურებელი, ამისათვის საჭიროა კარგი სპექტაკ-
ლების დადგმა და მაყურებელთან ახლო კონტაქ-
ტის დამყარება.

კონფერენციაზე ლაპარაკი იყო აგრეთვე მო-
ზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობთა ასაკისა
და მათი თეატრისადმი დამოკიდებულებებზე. ზოგი-
ერთი მომხსენებლის აზრით, მოზარდ მაყურებელ-
თა თეატრის მსახიობთა ასაკში შესვლასთან ერთად
შემოქმედებით კრიზისისაც განიცდის. როგა სასწავ-
ლებელდამთავრებული ასალგაზრდა მსახიობი მო-
ზარდ მაყურებელთა თეატრში მოდის. იგი ერთ-
შაიზშიაა სასჯე, მოსწონს ნორჩი მაყურებელი,
ცდილობს ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭოს ბა-
შვებს, დაეხმაროს მათ ცხოვრების სწორად გაგე-
ბაში და აეთილოზობილური ზნეობრივი თვისებების
გამომწაფაში. მაგრამ ოცდაათ წელს გადაცი-
ლებულ ზოგიერთ მსახიობს უჭირს საბავშვო სპექ-
ტაკლებში თამაში, სტირდება უფრო სერიოზულ ასა-
რეში. სურს შესარულის დიდი, ფართოული რო-
ლები და იგი მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან
მიდის. ზოგიერთი მათგანი მართლაც აღწევს
წარმატებას დრამატული თეატრების სცენაზე, მაგ-
რამ ზოგიერთი იმასაც კარგავს, რასაც მოზარდ



სცენა მოზარდ მაცურებელთა ქართულ თეატრის სპექტაკლიდან „ქამუშაძის გაცრეცება“.

მაცურებელთა თეატრში მიაღწია და სიცოცხლის დასასრულამდე დიდი თეატრების სცენაზე მხოლოდ უმნიშვნელო როლებს ასრულებს. მაგრამ ყველას როდი ემართება ასე. მოზარდ მაცურებელთა თეატრის მსახიობების უმრავლესობა ისე ეგუება თავიდანვე საბავშვო და ახალგაზრდული თეატრის სპეციფიკას, ისე ეჩვენება თავის მაცურებელს, ისეთი დიდი სიამოვნებით ასრულებს ბავშვების წინაშე თავის როლს, რომ მისი მოზარდ მაცურებელთა თეატრიდან მოწყვეტა შეუძლებელია. მსახიობის ერთგულებას თეატრისადმი, კოლექტივისადმი, თავისი მაცურებლისადმი უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და სწორედ ასეთი რეჟისორებითა და მსახიობებით დაკომპლექტებული დასი ქმნის თუ სრულყოფილს არა, გულწრფელობით გაჯღნთილ, საინტერესო სპექტაკლს. ჩვენს მოზარდ მაცურებელთა თეატრებში დღესაც ბევრი ხანდაზმული მსახიობია, მათ გააჩნიათ დიდი გამოცდილება, შეწვეული არიან ახალგაზრდული თეატრის სპეციფიკას, თავიანთ საყვარელ როლებს პროფესიული კეთილსინდისიერებით ასრულებენ, ერთი სიტყვით, უკვე ნაპოვნი აქვთ თავიანთი აქტიორული სახე და იმდენად უყვართ თეატრი, იმდენად საჭირონი არიან ისინი თეატრისთვის, რომ მათ გარეშე მოზარდ მაცურებელთა თეატრის არსებობა წარმოუდგენელია კია. ჩვენი ახალგაზრდა მსახიობები უნდა უფროხილდებოდნენ თავიანთ უფროს კოლეგებს და პატივს სცემდნენ მათ.

კონფერენციაზე ილაპარაკეს აგრეთვე ახალგაზრდა მსახიობის მიერ საკუთარი სახის, აშკარად დასაბუთებელი შესაძლებლობის შესახებ. გააკრიტიკეს მათე ტრადიცია, — თითქოს ჩვენს თეატრებში ყოველმა მსახიობმა უნდა იპოვოს თავისი სახე, თავისი როლი, თავისი აშკარა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია აქტიურად ჩაებათ თეატრის შემოქმედებით ცხოვ-

რებაში. საკუთარი თავის თამაშში, საკუთარი ვიწრო სახის ძიებამ გამოიწვია ის, რომ მსახიობები თანდათან გადაევიწყენ, უფრო სწორად, დაკარგეს გარდასახვის უნარი, რამაც მეტისმეტად დააქვეითა მსახიობის პროფესიული დონე, დაავიწყა ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ მსახიობი მხოლოდ მაშინაა დიდი ხელოვანი, როცა თავის თავზე ბევრს მუშაობს, როცა ცდილობს დიდი ოსტატობით შეასრულოს ყოველგვარი ხასიათის როლი. ყოველი მსახიობი უნდა ცდილობდეს თავისი შემოქმედებით დიაბაზონის გაფართოებას, უნდა შესწავლდეს გარდასახვის, მრავალსახოვნების შეძენის უნარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი დარჩება პატარა, ერთსახოვან მსახიობად და, თუ პოეზია მისთვის შესაფერისი როლი არ აღმოჩნდა, უსაქმოდაც, სწორედ მსახიობთა ერთსახოვნების მიზეზია ჩვენი თეატრების შტატების უსომოდ გაზრდა. მსახიობთა რაოდენობა კი სპექტაკლების ხარისხზე ვერავითარ დადებით გავლენას ვერ ახდენს.

კონფერენციაზე ბევრი რამ ითქვა რეპერტუარისა და საშემსრულებლო ხელოვნების თანამედროვეობაზე. ძველი პიესების ან ადრე ინსცენირებული ლიტერატურული ნაწარმოებების იმ სახით წარმოდგენა, როგორც ავტორსა და რეჟისორს ათეული წლების წინათ ჰქონდათ ჩაფიქრებული, ძველი მხატვრობა, ძველი მუსიკა, ძველი რეჟისორობა, ხასიათების დაუჯერებელი პერიოცილობით გახსნა, თანამედროვე ბავშვს არ აინტერესებს, არ მოსწონს, რადგან ამგვარ სპექტაკლში მისეული ცოტა რამ არის. პიესის შინაარსი, დღევანდელი ცხოვრებით გამოწვეული პრობლემების სერიოზულობა, ყველა ის მწვავე საკითხი, რაც თანამედროვე ბავშვსა და მოზარდს აწუხებს, თანამედროვე მოზარდ მაცურებელთა სპექტაკლში შელამაზებული, შერბილებული, გაყალბებული კი არ უნდა



სცენა მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის სპექტაკლიდან „ბუმბარაში“.

იყოს, არამედ გაფართოებული, მწკვავედ დასმული და სწორად, დროის მოთხოვნილების მიხედვით გადაჭრილი.

მოზარდ მაყურებელთა თეატრების სცენებზე უკვე იდგმება ჩეხოვისა და გორკის დრამატული ნაწარმოებები, დისტოფისკისა და ტოლსტოის ინსცენირებული რომანები, თანამედროვე საბჭოთა და უცხოელ დრამატურგთა სოციალური, მძაფრად რომანტიკული, დიდი პოლიტიკური ხასიათის პიესები და ამგვარ სპექტაკლებს მოზარდი თაობა სერიოზულად უყურებს. მოზარდი თაობისადმი სწორედ სერიოზული დამოკიდებულებაა საჭირო და არა მფარველობითი. სხვაგვარად შეუძლებელია ბავშვის მსატერული ნაწარმოებით დაინტერესება, რადგან თანამედროვე ბავშვის ნდობის მოპოვება არც ისე ადვილია, როგორც ეს ზოგიერთ ჩვენ დრამატურგსა და მსახიობს პგონია. ამიტომ თანამედროვე დრამატურგი, თანამედროვე მსახიობი მაყურებელში თავის თავსაც უნდა გულისხმობდეს. ამას კი იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შესძლებს, თუ თანამედროვე შემოქმედი იქნება ყველაზე უფრო თანამედროვე, რადგან მოზარდი თაობა თვითონ ატარებს თავის თავში თანამედროვეობის ცნებას. ჩვენ ხშირად შევასხენებთ დრამატურგებსა და მსახიობებს იყენებ თანამედროვენი, ფეხი აუწყონ დროს, მიაწოდონ ბავშვებს ისეთი სულიერი საზრდი, როგორც მათ განწყობასა და ფსიქიკას შეესაბამება, მაგრამ ამგვარი მოწოდება მხოლოდ დღღალა უღანისა შინა. ამისთვის ჩვენი სტუდიები, ჩვენი სასწავლებლები უნდა ავიყვანოთ ხელოვნების თანამედროვე მოთხოვნილების დონეზე და მაშინ აღარ დაგჭირდება არც მოწოდება და არც ამდენი საუბარი პროფესიონალიზმზე.

პერიფერიული თეატრების წარმომადგენლებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მათ თეატრებში დედა-

ქალაქებიდან დროდადრო ჩავიდნენ გამოჩენილი რეჟისორები, რომლებიც სპექტაკლებსაც უკეთ დადგამენ და რაღაც ახალს შესძენენ ადგილობრივ რეჟისორებს, ხოლო ამა თუ იმ სპექტაკლში მონაწილეობისათვის მოკლე ხნით ეწვიონ მოზარდ მაყურებელთა თეატრების გამოჩენილი მსახიობები, რაც ხელს შეუწყობს მაყურებლის მოზიდვას თეატრში, ვალდებულს გახდის ადგილობრივ მსახიობს აიმაღლოს თავიანი პროფესიული დონე, ითამაშოს ისევე ისტატურად, როგორც სტუმარი თამაშობდა.

აღინშნა ისიც, რომ იმ ქალაქებსა პრესა, სადაც ყოველდღიურად ათობით გაზეთი გამოდის, ძალიან ძნელად აშუქებს მოზარდ მაყურებელთა თეატრების სპექტაკლებს. იშვიათად იხებდება რეცენზიები, მაღალმა ტრულ სპექტაკლებიც კი უყურადღებოდ რჩება: თეატრმცოდნეებსა და გაზეთის მუშაკებს. პრესის ამგვარი დამოკიდებულება თეატრისადმი, შემოქმედებითი კოლექტივისადმი ძალზე უმართებულოა, რადგან თეატრს ყოველთვის სჭირდება ტაში, სუბით, ვაშნევება, ერთსიტყვით, გულთბილი დამოკიდებულება. მაშინ იგი მეტი ხალისით, მეტი მინდომებით იმუშავებს.

ვეერი რამ ითქვა მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობის ინტელექტუალურ მონაცემებზე, განათლებასზე, აქტურ შემოქმედებით ცხოვრებაზე. მოზარდი უნდა გრძნობდეს, რომ მის წინაშე დგას მოზარდები, ბავშვის სულში ჩამწვდომი, ჭეშმარიტად ფაქიზი, ინტელეგენტად ამიანი, რომელსაც შეუძლია მისი დაინტერესება, სულიერად გაზრდა, ისეთი უშნიშვნელო ფსიქოლოგიური ძვრების დანახვა, რაც უფროსებისათვის შეიძლება საინტერესო არც კი იყოს, მაგრამ ბავშვისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მსახიობს უნდა შეეძლოს თავისი აზრის წერილობით გამოთქმა, გამართულად

ნიკოლოზ ივანაძე

ლაპარაკი, პროფესიული სტატიის დაწერა, კითხვებზე სწორი და დამაჯერებელი პასუხის გაცემა, ერთი სიტყვით, მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი კარგი პედაგოგიც უნდა იყოს, რადგან თეატრში ისევე ყალიბდება ბავშვი სულიერად, როგორც ოჯახსა და სკოლაში.

მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობი ვალდებულია იზრდოს ბავშვის სულსთვის, მისი ფსიქიკის სწორად განვითარებისათვის. ეს მოვალეობა მას ამავე დროს დიდ პასუხისმგებლობასაც აკისრებს. ამიტომაც არა აქვს მას უფლება დროს ჩამორჩეს, გონებრივად დაჩლუნვდეს, სულიერად გაუხეშდეს.

მსახიობი ხალხის, ერის კულტურული ცხოვრების წარმომადგენელია და ყოველთვის მოწინავეთა რიგებში უნდა იდგეს.

კონფერენციის მონაწილენი დაესწრნენ რამდენიმე სექტაკლს: რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში „ყვარყვარეს“, ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში „ქაშუშაძის გაკვირვებას“, რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრში „ბუმბარაშს“ სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პუბლიცისტური პათოსით გასტყვევულმა, ოსტატურად დადგმულმა სატირულიმა სექტაკლმა „ყვარყვარე“. მაგრამ კონფერენციაზე ჩამოსული განსაკუთრებული ინტერესით უყურებდნენ ჩვენი ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრების სექტაკლებს. მათ სურდათ პრაქტიკულად განხორციელებული ენახათ ის, რაზედაც კონფერენციის სხდომებზე მსჯელობდნენ. ქართული და რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრების სექტაკლების წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც სამჭოთა, ასევე უცხოელი თეატრალები აღტაცებული იყვნენ პიესებითაც, დადგმითაც და მსახიობთა თამაშითაც. მათმა აღტაცებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენი დრამატული და მოზარდ მაყურებელთა თეატრები არაფრით ჩამორჩებიან სსრ კავშირისა და უცხო ქვეყნების ზოგიერთ ცნობილ თეატრებს. ეს სტუმრებმაც გულწრფელად აღიარეს.

კონფერენციაზე ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ სხვა კულტურულ ღონისძიებებსაც, იყვნენ ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრში, მოისმინეს ქართული ხალხური სიმღერების კონცერტი, დაათვალიერეს ქართული ხელოვნების მუზეუმი, თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთაში, დაათვალიერეს ჯვარი და აღტაცებული დარჩნენ როგორც ქართული მიწა-წყლით, ასევე ქართველი ხალხითა და მისი კულტურით.



ლიბრარტორის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის 1974 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია მიტყუებულა ნიკოლოზ ივანაძე — მონუმენტური კვლების მხატვრობისათვის „სიმღერა საქართველოზე“ (ბიჭვინთაში) და „ფერისმანის ხსენა“ (ქალქ თბილისში).

ამასთან დაკავშირებით ჩვენი ჟურნალის თანაშრომელმა რამდენიმე კითხვით მიმართა მხატვარს.

— თქვენს შემოქმედებას ფერწერისა და გრაფიკის სხვადასხვა დარგში დიდი ხანია კარგად იცნობს და აფასებს საზოგადოებრიობა. სრულიად დამასახურებელია ის საყოველთაო აღიარებაც, რაც თქვენს მონუმენტურ ფერწერას ხვდა. რით დაიწყო თქვენი გზა მონუმენტური ხელოვნებისაკენ, რომელი იყო პირველი ნაწარმოებები?

— შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო სტუდენტობის დროიდანვე. თბილისის სამხატვრო აკადემიის დიპლომანტი ვიყავი (ქსავლობი თეატრალურ დეკორაციულ სახელობის მიმართულების სსრ სახალხო მხატვრის ფანაოზ ლაპიაშვილის ხელმძღვანელობით), როცა მოვახტე ორი პანი თბილისის რესტორან „იორში“: შესასვლელში — სიხვის, სტუმარ-მასპინძლობის თემაზე, მეორე დარბაზში კი ქართული არქაული ბარელიეფის მიტიკებზე.

შემდეგი ნამუშევარი სულ სხვა მხატვრულ ამოცანას ისახავდა და მისი განხორციელება ჩემთვის უცხო მასალაში მომხდა. ეს გახლავთ ჭედური აპლიკაციით შესრულებული პანი „როგორც უფროსის დღეები“ თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „ოქტომბერი“.

— ხომ არაფერს მოუთხოვრდით ჩვენი მკითხველებს პრემიერული ნაწარმოებების ჩანაფიქრისა და მათი ხორცშესხმის შესახებ?

— ქართულ და რუსულ სახელოვნო ჟურნალებში კარგად იყო გაშუქებული და გაანალიზებული ეს ნამუშევრები. დამატებით რაიმეს თქმა მიძნელებდა.

— როგორია თქვენი უახლოესი შემოქმედებითი გეგმები და ამოცანები?

— მოსკოვში, ქალაქის ცენტრში, მალე აიგება საკავშირო მეცნიერული კინოცენტრის შენობა. შემოთავაზებული მაქვს მოხატულობის სამუშაოს შექმნა. ვეშობადები მომავალი საკავშირო თემატური გამოფენებისათვის და, რა თქმა უნდა, ბევრი მაქვს სამუშაო გრაფიკასა და თეატრალურ მხატვრობაში, რომელიც ძალიან მიყვარს.

ჩვენთვის 1974 წლის 14 სექტემბერი დაუვიწყარი დღეა. სწორედ ამ დღეს შეხედინენ ჩვენი თეატრის ქართული დასის მსახიობები უკრაინის სახელმწიფო, ორდენისა ქალაქ ნიკოლაევის მცხოვრებლებს და თავიანთი ხელოვნება მათ სამსჯავროზე გამოიტანეს.

ერთი თვის მანძილზე დაძაბულად ვმრომობდით, გვესმოდა შეთანხმებული ტაში და აღტაცებული გამოძახილები ჩვენი სპექტაკლების მისამართით... და ყვავილები, ყვავილები. ყველაფერი ეს სასიხარულო სიმფონიასავით დარწა თითოეული მსახიობის, რეჟისორისა და ტექნიკური მუშაკის მესხიერებაში, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს გემთმშენებელთა ქალაქში გამართულ ქართული თეატრალური კოლექტივის გასტროლებში.

მეთექვსმეტე დღეისთვის ტყვიით დაცხრილული დროშა (ეს გახლდათ სპექტაკლ „კიკვიძის“ სუპერფარდა), დივიზისა, რომელსაც მეთაურობდა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირი ვასილ კიკვიძე, ნელ-ნელა ადის მაღლა, სინათლის სხივი აშუქებს წარწერას „მე-16 დივიზია“ და მაყურებელი სულგანაბული ელის, რა მიხდება შემდეგ.

და აი, სხვადასხვა მხრიდან სცენაზე გამოდიან ქართველი მსახიობები და მათი კოლეგები, — უკრაინის ქალაქ ნიკოლაევის ნ. ოსტროვსკის სახელობის პრემიის ლაურეატი, მუსიკალურ-დრამატული თეატრის მსახიობები და რეჟისორები. ეს გახლდათ ორი მომხე ხალხის თეატრალური ხელოვნების წარმომადგენელთა დაუვიწყარი შეხედრა.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით დაიწყო ჩვენი თეატრის ნაცნობობა უკრაინელ კოლეგებთან და მაყურებლებთან... სცენა დაცარიელდა. უცერად დარბაზში წელა, სულ უფრო მზარდი ტემპით იჭრება „ტაჩანკის“ ნაცნობი მელოდია. დაიწყო სპექტაკლი „კიკვიძე“. მაყურებლის წინაშე იმლება სამოქალაქო ომის სურათები, ქართველების, რუსებისა და უკრაინელების თავდადება და გამირობა. ამ სპექტაკლმა მომხე უკრაინელ მაყურებელს გააცნო გმირული შემართებისა და რომანტიკული სულისკვეთების ქართული თეატრალური ხელოვნება. სპექტაკლში როგორც სარკეში, აირკვლა დაუოკებელი ტემპერამენტი, გულადობა, სამშობლოს სიყვარული, მშობლიური ხალხისთვის თავდადება, ზიზღი კაცთმოძულეთა და მოღალატეთა მიმართ, რაც ასე დამახასიათებელია რუსი, ქართველი თუ უკრაინელი ხალხებისათვის. ამიტომ ჩვენი სპექტაკლი უკრაინელი მაყურებლისთვის გახდა ახლობელი და საყვარელი. უკრაინის ტელევიზიის მუშაკების თხოვნით „კიკვიძე“ მრავალმილიონიან აუდიტორიასაც ვუჩვენეთ.

მაყურებელს ხშირად სჭრიდა თვალს ქარქა-

ხელოვნება აერთიანებს გულს

ალექსი არგუნი

შიდან ამოღებულ კიკვიძის ხმლის ეგვიპტეა, სწორედ იმ ხმლისა, რომლითაც ირ რველუციის მტრებს ებრძოდა, ხოლო დარბაზში მსხდომი ხანდაზმული ადამიანები, სამოქალაქო ომის ყოფილი მონაწილენი, ფეხზე დგებოდნენ და ტაშს უკრავდნენ არა მარტო ჩვენს მსახიობებს, რომელთაც მშვენივრად გასსნეს გმირთა სახეები, არამედ იმათაც, ვინც სამოქალაქო ომში გმირულად იბრძოდა თეთრი ბანდების წინააღმდეგ.

გასტროლების დღეებში ქების სიტყვები თქვა თეატრის კოლექტივის, განსაკუთრებით სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორის დ. კობახიძის მისამართით.

„კიკვიძე“ გახდა ერთგვარი კამერტონი, რომელმაც მაყურებელი ინტერესით განაწყო ჩვენი სხვა სპექტაკლების მიმართაც. მეორე საღამოს მაყურებელმა ნახა ა. გეშაძის კომედია „ყარამანი ცოლს ირთავს“. სპექტაკლის ორმა მთავარმა გმირმა — კეჭომ და ყარამანმა — მოხიბლა მაყურებელი. ცხოვრებისეული ხალხური ოუმორი, მახვილი თვალით დანახული ეთნოგრაფიული დეტალები, დაწყებული წნელის ღობით (დგორაციული გაფორმება) და ადამიანთა ურთიერთობით დამთავრებული, რის რეალიზაციაც მსახი-

ობიშმა შესანიშნავი თამაში შესძლეს, მაყურებლის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ხოლო მოგვიანებით, როცა თეატრმა (დროის სიმცირის გამო) ვერ შესძლო მაყურებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება და განმეორებით ვერ შეეძინა სპექტაკლი, კარამანი და მისი მეგობარი კევცი ცისფერ კვარაზე გამოჩნდნენ და კიდევ მრავალმა ასეული ათასობით მაყურებელმა გაიცნო ეს მხიარული კომედია.

გასტროლების ერთ დღეს, სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, მაყურებლებმა გვიხოვეს დაგვეკრა საცეკვაო მუსიკა და უეცრად დარბაზიდან სცენაზე ამოტყნენ ჩოხებში გამოწყობილი ვაჟები და ქალიშვილები, ჩვენს მსახიობებს ირგვლივ შემოერთყვნენ და ცეკვა დაიწყეს. ვეზზე წამომდგარი დარბაზი მათ ტაშს უკრავდა.

სწრაფი, ტემპერამენტული ქართველი, აფხაზური და მხიარული უკრაინული ცეკვები უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ურთიერთგაგების დიდ ზეიმად გადაიქცა. ის დღე ჩვენი თეატრის ისტორიაში დაუვიწყარი იქნება. რადან ნიკოლაევის მოქალაქეებმა სპეციალურად იმ დღისათვის შეიკვრეს ქართული ეროვნული კოსტუმები, რათა ჩვენ მსახიობებთან ერთად ეცეკვათ და მათი ხელოვნებით გამოწყვეული სისარული გაეზიარებინათ.

საზეიმო იყო ის დღეც, როცა ვ. დარასელის პიესაში „კიკვიძე“ გენერალ სიტნიკოვის როლი შესასრულა უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა რუსტისლავ გავერიკომ. სცენაზე აედრდა ორი ენა — ქართული და უკრაინული.

სერგო პაჭკორიას კიკვიძე პიესისაზე და შეუპოვარი იყო, გავრილკოს სიტნიკოვი კი წარმოსადგეი და თავდაჯერებულად, რომელიც ნერვული სიცილით აღიქვამდა ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდებოდა. სპექტაკლში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მსოფლმხედველობა. თითოეული მათგანი იბრძოდა საკუთარი ინტერესებისათვის. ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობამ გაიმარჯვა, აზრთა ამგვარი შეჭიდება სცენური სიმართლით გასწნეს მსახიობებმა, რომეთაგან თითოეული თავის ენაზე ლაპარაკობდა. ორი თეატრალური კულტურის ამგვარმა შერწყმამ ერთ სპექტაკლში კვლავ ცხადყო, რომ ნამდვილი ხელოვნებისათვის არ არსებობს არავითარი ენობრივი ბარიერი.

ცნობილი უკრაინელი მსახიობის ქართულ სპექტაკლში მონაწილეობა დიდი ხნის მეგობრობის ტრადიციული გაგრძელება იყო, რასაც საუკუნეების მანძილზე საფუძველი ჩაუყარეს ჩვენი ხალხების საუკეთესო შვილებმა.

გაციხსნეთ წარსლის მაგალითები. დავით გურამიშვილისათვის უკრაინა მჭირე სამშობლო იყო. უკრაინული ეთნოგრაფიის შესწავლა პირველად ნიკოლოზ წერეთელმა დაიწყო, ხოლო ლიტერატურათმცოდნე ნიკოლოზ გულაკი იკვლევს შ. რუსთაველის შემოქმედებას. თეორეტიკალი-

ლებისაგან განთავისუფლებული კიევის თეატრალური კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა დიდი მეგობრობა აკავშირებდათ აკაკი წერეთელსა და უკრაინულ ტრას შევჩენს. მეგობრობის დამადასტურებელი იყო აგრეთვე ჰერ კიდევ 1889 წელს უკრაინელი მსახიობების გასტროლები თბილისში სტარციის ხელმძღვანელობით, ხოლო მოგვიანებით ქართულ სცენაზე ისეთი სახელმძღვანელო მსახიობების გამოხვლა, როგორც ივანე კროპივინცი, დერკანი, მიროსლავსკი და სხვები, ყველაფერი ეს ცხადად მეტყველებს ორი ხალხის სულიერ კავშირზე.

განსაკუთრებით სასიამოვნო და ამაღლებველი იყო შეხვედრა უკრაინულ კლუბებთან, რომლებსაც სპეციალურად ვუჩვენეთ სპექტაკლები. მათ დიდად მოეწონათ ჩვენი ხელოვნება.

კიდევ ბევრი რამის მოგონება შეიძლება. თეატრის კოლექტივმა ყვავილებით შეამკო საბჭოთა კავშირის ორმოცდათექვსმეტი გვირის — გემთმშენებელთა ქალაქის დამცველ ოლმანცელების ძეგლი. აგავლელა საბჭოთა კავშირის გმირების ვ. ოჩენენკოსა და ვ. დერმანოვის საფლავების ნახვამ; ისინი ხომ აფხაზეთში დაიბადნენ და უკრაინის მიწაში განისვენებენ.

ჩვენმა დასამ ნიკოლაევის ოლქის ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი მინახუნა, მაგრამ ყველაზე მეტად დავცამახსოვრად ანტიკური ქალაქი „ოლივია“, რომელიც ბერძენებმა ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნეში დააარსეს. ენაზე დიოსკურიის ფული „კოლხიდურა“, რაც მიწმობს ჩვენს შორეულ წინაპართა ურთიერთობას.

დადგა გამოთხოვების დღე. ნოტომბერს საზეიმოდ მორთულ სცენაზე კვლავ გამოჩნდნენ სოხუმელი სტუმრები. ისევ ყვავილები, ტაშ... ნიკოლაევის ოლქის პარტიული კომიტეტის კულტურის მთავარი სამმართველოს უფროსმა ვ. ბონდარენკომ წაიკითხა ამავე ოლქის პარტიული კომიტეტის მიერ თეატრისთვის გამოვზავნილი მისასალმებელი ადრესი: „თქვენი ჩამოსვლა დიდი მოვლენაა ჩვენი ოლქის კულტურულ ცხოვრებაში, იგი ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ურყევი მეგობრობისა და კულტურული კავშირის უენინური დღისა“.

დიდი სიხარულით შეხვდა ჩვენი კოლექტივი ცნობას, რომ სოხუმის სახელმწიფო თეატრის ქართული დასი დაჯილდოდა უკრაინის ქალაქ ნიკოლაევის ოლქის პარტიული და აღმსარებლები კომიტეტების საპატიო სიგელით.

ამ გასტროლებმა კიდევ უფრო განამტკიცა ქართული და უკრაინული ხალხების მეგობრობა და კულტურული ურთიერთობა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, კინორეჟისორისა და სამაგალითო საზოგადო მოღვაწის დავით რონდელი სახელი ორგანულად დაკავშირებული ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიასთან.


დავით რონდელზე საუბრისას შევძლებელია

ერუდირებული თეორიული სტატეებით იპყრობა და ფართო საზოგადოების ყურადღებას იიღვინა და ფორმის საკითხი მხატვრულ წარმოებაში, საბჭოთა მხატვრის დამოკიდებულება სოციალისტური სინამდვილისადმი, მისი ასახვისათვის საჭირო მხატვრული ხერხების ძიების საკითხი და მარქსისტულად გაგებული და გაასრებული სხვა მრავალი, ამ დროისათვის აქტუა-

70

დავით რონდელი

კარლო გოგოძე



არ გავისწნოთ ოციანი წლები, საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სფეროში მიმდინარე გიგანტური ძვრები, ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის გამართული ბრძოლის დამაბული დღეები. დღეები, როცა ქართული მწერლობა მტკიცედ, შემოქმედებითი სიყვარულით ამოუდგა მხარში მის უმცროს ძმას, ქართულ საბჭოთა კინოხელოვნებას, თავისი საუკეთესო წარმომადგენლები წარგზავნა ხელოვნების ამ ახალ სარბიელზე სამუშაოდ, მის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

ოციანი წლების პირველ ნახევარში, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დავით რონდელი მახვილი კრიტიკული წერილებითა და ღრმად

ლური პრობლემა, მაგისტრალურ ხაზად მიყვება ახალგაზრდა ავტორის კრიტიკულ-თეორიულ წერილებს, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ 20-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში.

ამ მრწამსითა და მისწრაფებით მოვიდა დავით რონდელი ქართულ კინოხელოვნებაში 1928 წლის დასაწყისში, როცა უკვე დამოუკიდებელ შემოქმედებით მუშაობას იწყებდნენ მწერალთა რიგებიდან გამოსული ნიკოლოზ შენგელაია, სიკო დოლიძე, გიორგი მდივანი, ლეო ესაკია და სხვანი, ახალგაზრდობა, რომელმაც, ნიკოლოზ შენგელაიას სახით, მაღალი ტრინებთან მთელი ხმით განაცხადა: „საქკინმრეწვის ახალგაზრდობა გრძნობს თავისი პასუხისმგებლობის მიუღი სიღრმეს მასების წინაშე, რომლებსაც ჩვენი მუ-

შაობით ახალი ცხოვრების მშენებლობა უნდა გაეუადვილოთ. ჩვენ ჯერ კიდევ არა ვართ შესაფერისად ძლიერნი და წინაც ბევრი ორგანიზაციული ხასიათის დაბრკოლება გვხვდება. ჩვენ ვსაჭიროებთ ხალხის მხარდაჭერას, რისთვისაც მივმართავთ მთელ საბჭოთა სასოფადოებრიობას.

ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ახალი, საბჭოთა საქართველო“.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ახალგაზრდობა, კინოს ძველი თაობის მოღვაწეთა მოწინავე ნაწილთან ერთად, მტკიცე კავშირში, აქტიურ ბრძოლას იწყებს თანამედროვეობის ამსახველი თემატიკის განმტკიცებისათვის, ახალი მხატვრული ფორმის ძიებისათვის ქართულ კინემატოგრაფიაში.

მაშინ უკვე საკმაო ლიტერატურული გამოცდილებისა და ფართო ერუდიციის მქონე დავით რონდელი მხარში ამოუდგა ამ შესანიშნავ კოლექტივს და მისი წარმატებების უშუალო მონაწილე გახდა.

თავის პირველ დამოუკიდებელ დადგამად იგი იყო სახკინმრეწვის სასცენარო განყოფილების უფროსი, სტუდიის მთავარი ლიტერატურული კონსულტანტი, რეჟისორის ასისტენტი სხვადასხვა ფილმზე, მათ შორის ოციანი წლების მეტად

გახსპურებულ ფილმზე — „ახალგაზრდობა იმარჯებს“.

გარეგნული
ჩვეულებები

მისი პირველი ფილმის — „უგუბზიასა“ კერძონზე გამოსვლის შემდეგ თრმოცდახუნთმა წელმა განვლო, მაგრამ, ჟამთასვლის მიუხედავად, იგი დღემდე თვალსაჩინო კინემატოგრაფიულ ნაწარმოებად რჩება არა მარტო დამდგმელის შემოქმედებით ცხოვრებაში, არამედ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიაშიც.

ისე, როგორც ამ პერიოდის ფილმები: მიხეილ გელოვანის „ახალგაზრდობა იმარჯებს“, მიხეილ სიკაურელის „ხაბარდა“, ლეო ესაკიას „პოლტა“, სიკო დლოიძის „ზავათა სამეფოში“, გიორგი მაკაროვის „ჩქარი ნომერი 2“, შაქრო ბერიშვილის „ღრუბულთა თავმესაფარი“, კოტე მიქაბერიძის „ჩემი ბებია“ და სხვა სურათები, „უგუბზიასა“ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემისადმი იყო მიძღვნილი.

ფილმი მაყურებელს მოუთხრობდა იმ დიდი კულტურული მშენებლობის შესახებ, რომელსაც იმ პერიოდში ადგილი ჰქონდა საქართველოა შორეულ სოფლებში იგი წარმოგვიდგენდა სოფლის მშრომელთა შეგნებაში მიზნინარე გარდაქმნების რთულ პროცესებს: კერძოდ, გვიჩვენებდა ახალგაზრდობის როლს ამ დიდი პოლიტიკური მშენებლობის საქმეში.



„დაკარგული სამოთხე“. ა. ხინთიბიძე, ვ. ტყემელაშვილი.
„ჩემი მეგობარი ნოღარი“. ვ. ხარაბაძე, კ. აბესაძე.

დავით რონდელმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში ოცზე მეტი მხატვრული და დოკუმენტურა ფილმი შექმნა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფილმთა შორის არ არის არც ერთი ისეთი, რომელიც ცხოვრებისეულ პრობლემებს არ პასუხობდეს, თანამედროვე სულისკვეთებით არ ჟღერდეს.

დ. რონდელის მრავალმხრივსა და მდიდარ შემოქმედებაში გვინდა განსაკუთრებით გამოვყოთ ფილმი „დაკარგული სამოთხე“.

„დაკარგული სამოთხე“ ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის მოთხრობების მოტივების მიხედვით შექმნილი კინოსურათია, მაგრამ სცენარის ავტორი და რეჟისორი (სცენარის ეკუთვნის გიორგი მდივანს) თანამედროვე თვალსაზრისით აღიქვამენ ძველ ყოფას. ცდილობენ მხატვრული ლიტერატურული თხზულებების ცალკეული მოტივები კიდევ უფრო გააღრმავონ და გააფართოონ სოციალური მნიშვნელობის მომენტებით, შეავსონ ორიგინალური კომპიდიური სიტუაციებითა და ხასიათებით.

ეს ფართოდ აღიარებული სოციალური ხასიათის კინოკომედია, უკვე 37 წელია უკრანინდ არ ჩამოდის, რაც აშკარად მეტყველებს მის მაღალმხატვრულობაზე. „დაკარგული სამოთხე“ საბჭოთა კლასიკური კინოკომედიების ოქროს ფონდშია შესული.

„პიერი — მილიციის თანამშრომელი“.
ს. თაყაიშვილი და ი. კახიანი.
„არშალა“. კ. ყარალაშვილი.



ჩვენი სასაზღო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქცია, საკომუნურნეო მშენებლობის დიდი მოქალაქეობრივი მოვალეობისა და მორალურ-ეთიკური სპიტიონი, საბჭოთა პატრიოტიზმი, სამამულო ომი და სხვა, აი, ძირითადი თემატიკა, რომელზეც აგებულია დავით რონდელის კინემატოგრაფიული ქმნილებები.

პირველი ხუთწლებების პერიოდში სოფლად მომხდარი გარდაქმნები ნათლად აისახა ფილმებში: „არშალა“ და „კოლხეთის ჩირაღდნები“, რომლებიც დავით რონდელმა მწერლებს: ილი მოსაშვილასა და გიორგი ჩიქოვანის სცენარების მიხედვით დაღა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „კოლხეთის ჩირაღდნები“. იგი სწორედ ომის წინაღობებში გამოვიდა ეკრანზე.

„კოლხეთის ჩირაღდნები“ მხატვრული კინემატოგრაფიული ხერხებით გადმოგვცემდა სურათებს იმ გრანდიოზული, დიდი ეპიკური და კულტურული ნიშნელობის მშენებლობისას, რომელსაც ქართველი ხალხი კოლხიდის ჭაობის ამოსაშრობად ეწეოდა.

კოლქეტური შრომის პროცესში იყვნენ ნაჩვენები ჩვენი მშენებლები, მუშები და კოლმეურნეები.



„კოლხეთის ჩირაღდება“ პირველი კინემატოგრაფიული ნაწარმოებია კოლხეთის სოციალისტურ მშენებლობაზე. ფილმს უდიდეს აზმურდღობითი მნიშვნელობა ჰქონდა გამოსვლის პერიოდში და მის შემდეგაც.

კეილიშობილური საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძობა, პატივისცემა მისდამი, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო ღრუბულებას ქმნის — საბჭოთა ადამიანის დაპასვიათებელი თვისებაა. ამ თვისებისადმი ყუფილვარი საწინააღმდეგო დამოკიდებულება სოციალისტური მორალის მიღმა დგას და საყოველთაო გაკიცხვას იმსახურებს. სწორედ ამ რთულსა და უაღრესად აქტუალურ პრობლემაზეა აგებული დავით რონდელის ფილმი: „პიერი — მილიციის თანამშრომელი“, „ჩემი მეგობარი ნოდარი“, „გუნდის ნაპირებზე“. ამ ფილმების მთავარი მოქმედ პირობი, სულ სხვადასხვა, ერთიმეორისაგან რადიკალურად განსხვავებულ გარემოში მოღვაწე ახალგაზრდები არიან. მათ კარგად იციან დაკისრებული მოვალეობის მნიშვნელობა და მთელი თავიანთი მოქალაქობრივი შეგნებით ემსახურებიან მას.

ასეთია მილიციის მუშაკი — პიერის მოქმედება ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ ავა-იქ არსებული ნაძირალების მიმართ, ასეთია ემზაჩისა და თამარის ბრძოლა ერთ დამკვერელის, გულის წინააღმდეგ.

სამივე ფილმი თვალსაჩინო ადგილს იჭერს ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებისადმი მიძღვნილ კინემატოგრაფულ ნაწარმოებებს შორის.

დავით რონდელის ფილმი „ჩრდილი გზაზე“ ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ომის შემდგომი აღმავლობის პერიოდს განეკუთვნება.

ფილმი დაიდა მწერლების — კონსტანტინე ლორთქიფანიძისა და ემანუელ ფეიერინის სცენარის საფუძველზე, სცენარისა, რომელიც ქართული საბჭოთა კინოდრამატურგიის თვალსაჩინო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ავტორებისა და დამდგმელი რეჟისორის მტკიცე შემოქმედებითა სილადარობამ განაპირობა ფილმის აზრობრივი და მხატვრული მაღალხარისხვნება. სისხლხორცილ სასვე ცხოვრებისეული სახეები, მათ შორის არსებული კონფლიქტი და მძაფრი შეჯახებები, რთული, მეტად დაძაბული სიტუაციები, რაც ლიტერატურული სცენარის ღირსებას შეადგენს, დამდგელი რეჟისორის მიერ მთელი შემოქმედებითი სიმძლავრითაა გადმოტანილი ფილმში.

დავით რონდელი ამ ფილმში გვეკვლინება, როგორც ადამიანის სულიერი სამყაროს დღმა მცოდნე, ფილმის მთავარი გმირების: ნანო მასკაველილის, გიორგი ჩიხხელის, ლევან გელაშვილის, მოხუცი მწყემსის, მამუკასა და სხვათა მსგავსთ არა ერთხელ შეხვედრის იგი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, კარგად იცნობს თითოეულ მათგანს. რეჟისორი დიდი დაკვირვებით, სიფრთ-

ხილითა და სიმაბრტლის გრძობით წარმართავს ამ სახეების განმასხვრცილებელ მსახიობთა მუშაობას. ამიტომ არის თითოეული მათგანის ქმედობა რად მნიშვნელობის, რეალისტური, მიმზიდველი, დასამახსოვრებელი.

ფილმში, მოვალეობისადმი პასუხისმგებლობის გრძობის პარალელურად, დასმულია მეორე, არანაკლებ აქტუალური და პრობლემატური საკითხი — საბჭოთა ადამიანის მორალისა და თვახის საკითხი. მაღალი თანმიღობის პირს, კერძო ინტერესებით შეზღუდულ, განდიდვის ფსიქოზით შეპყრობილ ადამიანს აპარცხებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს ფიზიკურად სუსტს, მაგრამ მტკიცე ხასიათის ქალი. მარცხდება სულდაბალო, ამორალობის ტუფში ამოსვრილი ტუფგატაცება. იმარჯვებს სიყვარულის ნამდვილი და ტყემარტი გრძობა. დავით რონდელის კინოსურათი „ჩრდილი გზაზე“ სწორედ ამ აზრის აპოლოგეტად გვევლინება.

ფილმის გამოსვლის დღეებში გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ აღნიშნავდა: „კინოსტუდია ქართული ფილმის“ ახალი ნაწარმოები „ჩრდილი გზაზე“ იდურად აქტუალური, მხატვრულად გამართული, საჭირო ფილმია“. ამ შეფასებას შეუძლებელია არ დაეთანხმოს.

მეორე მსოფლიო ომი იყო, არა და კიდევ დიდხანს დარჩება ყველა მშვიდობისმოყვარე, პროგრესული მხატვრის მნიშვნელოვან თემად. ყველაზე მეტად ახლოა იგი საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენელთან, ადამიანებთან, რომლებმაც, თუ ავითონ არა, მათმა აზლოლებმა მაინც გადაიტანეს ომის სინაზე.

დავით რონდელი ერთი იმათაგანია, რომელსაც სამამულო ომმა შემოქმედებითი სიმწიფის ხანაში მოუწარო. ისე, როგორც ყველა მისი კოლეგა, იგიც მთელი თავისი მოქალაქობრივი სინდისით, მაღალი პატრიოტული გრძობით ისწრაფვის ღირსეულად ასახოს სამამულო ომის თემა.

როგორც ცნობილია, ქართულმა დოკუმენტალისტებმა ომის პერიოდში უდიდესი შრომა გასწიეს — ათითათსობით მეტრ ფირზე ასახეს საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლა, როგორც პირდაპირ ცეცხლის ხსენზე, ისე შურგში, ჩვენი სახალხო მურწიობის ყველა ფრანტზე. დავით რონდელი მაშინ დოკუმენტური ფილმების სექტორის გამგე იყო და უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათ მუშაობას.

ამ თანამდებობაზე მისი მოღვაწეობის პერიოდში შექმნილ კინონარკვევები, თუ კინოფრანკლები, ცალკეული სიუჟეტები, თუ სპეციალური გამოშვებები, მაღალი საბრძოლო შეპართებითაა დაგუნებარე პატრიოტული მისწრაფებით ხასიათდება. გამოირჩევა მასვილი პოლიტიკური მიზანდასახულებითა და მხატვრული სრულყოფით.

სამამულო ომის დღეებში დავით რონდელმა არა ერთი საბრძოლო კინოფრანალი შექმნა, რო-

მელთა უღიდავი მნიშვნელობა ჰქონდა ფართო მასების პატრიოტული შემართებით აღზრდის საქმეში. გარდა ამისა, ამ პერიოდს ეკუთვნის მისი პოლიემეტრაჟიანი, მაგრამ, თავისი აზრითა და მნიშვნელობით, დიდი მასშტაბის მომცველი კინოსურათი „ხსოვ დაიასის ხსოვნას“. ფილმი მიუძღვნა ესპანეთის ხალხის გამორჩეული შვილის, კომუნისმისათვის გმირი მებრძოლის, ფაშისტური ესპანელიდან საქართველოში გადმოსხვეწილი ხოსე დიასის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს, მის დაკრძალვას.

ფილმის კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს დოლორეს იბარურის მიერ მისი ანანამბრძოლის კუბოსთან წარმოთქმული მგზნებარე სიტყვა.

ვისაც პირველად მოუხმენია, ან ეგრანზე უნახავს ეს გამოხელა, იგი ვერასოდეს დაივიწყებია მას. ეს იყო გულის სიღრმიდან მოხეტიალი ცრემლიანი გოდება არა მარტო ერთი ქალის მეგობრის საფლავთან, არამედ გლოვა მთელი ესპანელი ხალხისა, რომელმაც საკუთრივ შვილი დაკარგა. სწორედ დოლორეს იბარურის აჰ მგზნებარე სიტყვამ ათქმევინა ერთ ჩვეს გამოჩენილ მსახიობს: „ვისაც ესუთ მტკიცელების დიდი ხელოვნების საიდუმლოებას ჩასწავდით, მისი შემოქმედებით ჯადოსნური ძალა შეფერძითა. დოლორეს იბარურის სიტყვა მოისმინეთ ფილმში „ხსოვ დაიასის ხსოვნას“.

დავით რონდელი ჯერ კიდევ ომის პერიოდში სიოვ დოლიძესთან ერთად დაეკა საბჭოთა კინემატოგრაფიის შესანიშნავ ნაწარმოებს, ფილმ კონცერტს „ჯურდაის ფარა“.

ფილმის სცენარზე რეჟისორებთან ერთად მუშაობდა ჩვენი სასაქადლო პოეტ გიორგი ლეო ნიძე.

ამ ფილმში, პირველად ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში, მუსიკალური ფორმის ოსტატური გამოყენებითა ანასა ქართული ხალხის გმირული ბუნება, მისი შეუდარებელი სასაითი უსტოვლ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიყენეს რა ლეგენდის დრამატურგიული ელემენტები, დამდგმველმა შემქმნელმა უადრესად პატრიოტული, ხალხთა მეგობრობის დიადი გრძნობით ამტკიცებელი, ფართო მასშტაბის კინემატოგრაფიული ტილო, სადაც გმირული წარსული ორგანულად უკავშირდება საბჭოთა ხალხის გმირულ აწყობს. შეგავსად ჯურდაისა და მისა თანამებრძოლებისა, საბჭოთა ჯარისკაცები სამშობლოს დამპყრობთა შესამურად მიეშურებიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ფილმის მუსიკალური მხარე. მასში გამოყენებული ვოკალური და ქორეოგრაფიული მომენტები ცალკე საკონცერტო ნომრების სახით კი არ შედის ფილმში, არამედ, როგორც თეატრულად, ისე თავისი სასაითი ლოგიკურად ერწყმის სურათში გადმოცემული ამბის დრამატურული კვანძს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ფილმის ზემოქმედებით ძალას. ამ მხრივ იგი სრულიად თავისებურია აჰ

ქანის ყველა ფილმ შორის, რომლებიც კი ჩვენს მამულ ომის დღეებში საბჭოთა ქვეყნის კინოსტუდიებმა გამოუშვეს.

„მუსიკალური ფილმი „ჯურდაის ფარა“ ნამდვილი პატრიოტიზმის და საბჭოთა ხალხების შეურყეველი მეგობრობის მაღალი იდეით გამსჭვალული ფილმია“ — აღნიშნავდა გაზეთი „პრავდა“.

სწორედ ამ მხატვრული ღირსებებისათვის მიიღო ფილმმა უმაღლესი ჯილდო — პირველი ხარისხის სახელწოდებო პრემია.

გაგრძელები დროის შემდეგ დავით რონდელი კვლავ უბრუნდება სამამულ ომის თემას; იგი დგამს ფილმს „ქალიშვილი ოცდაშეშუე საკინედან“, რომელიც ქართული ხალხის საამაუო შვილის ზოია რუხაძის გმირულ ცხოვრებას მიუძღვნა. ფილმში დასაჯერებლად გამოიყენება სახელკომპაჟირული ქალიშვილისა, რომელმაც ზოიას კოსმოდემიანსკაიას, რიგითი ჯარისკაცის მატროსოვისა და სხვათა შეგავსად, თავისი სიცოცხლე სამშობლოს შესწირა.

ფილმი კარგად მიიღო მაყურებელმა და შევიდა სამამულ ომის პერიოდის საბჭოთა ახალგაზრდობის გმირული ცხოვრების ამსახავი ფილმების რიგებში.

დავით რონდელი 1951 წელს სპორტულ თემაზე დგამს ფილმს „მწვერვალთა დამპყრობნი“, რომელიც ქართული ალპინისტების ცხოვრებას ეძღვნება.

„ჩამლუქი“ თვალსაჩინო კინემატოგრაფიული ნაწარმოებია, რომელმაც გამოსვლისთანავე მოიპოვა საზოგადოებრივი წარმატება. შემოიპირავდა საბჭოთა, ისე უცხოეთის ეკრანები. მონაწილეობდა საბჭოთა ფილმის კვირეულზე დამასკოსა და ბერლიტში. ამ სტრატეგიის ატორსაც ჰქონდა შესაძლებლობა ეგვიპტის გამოჩენილი კინემატოგრაფისტებისაგან ქაიროში მოესმინა აჰ ფილმის ქება.

ლიტერატურული პირველწყაროს ღრმა გაგებაში, ეპოქის შესანიშნავმა ცოდნამ, მკვერიად ჩამოყალიბებულმა სასაითებმა და რეჟისორის მიერ ოსტატურად გამოყენებულმა მდიდარმა კინემატოგრაფიულმა ხერხებმა, ფილმის წარმატება განაპირობებს.

„ეს არის საინტერესო კინემატოგრაფიული ნაწარმოები, ფართო ისტორიული ტილო, რომელიც დამაჯერებლად ასახავს საქართველოსა და ეგვიპტის ცხოვრებას მეთერთმეტე საუკუნეში, — წერდა ჟურნალი „სოფტსკი ეკრან“ და დასძინდა: „განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატალური სცენები, ალი ბეის ჯარების ბრძოლა ნაპოლეონის არმიის წინააღმდეგ პირამიდებთან. ეს ეპიზოდები დამაშვებელია საბჭოთა კინოს საუკეთესო ტრადიციების შესატყვისად“.

ანალოგიურ შეფასებას აძლევდნენ ფილმს სხვა ბეჭდვითი ორგანოები.

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ იმ დიდი დამახავ-



„ჩრდილი ვახუშტი“. დ. ელიავა.
„მამლუქი“. ა. შორავეა.



რების შესახებ, რომელიც დავით რონდელს ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფის დარგში მიუძღვის.

დავით რონდელის შემოქმედების მიმოსილვა არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ არ მოეხსენიოთ მისი კიდევ ერთი ფილმი.

ჯერ კიდევ კინემატოგრაფის მუნჯ პერიოდში დავით რონდელმა შექმნა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დადი შესაკრები“. იგი მიეძღვნა საქართველოს ელექტროფიკაციის თემა და წარმოადგენს პირველ სრულყოფილ მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს, რომელშიც მთელი სისასებით აისახა საბჭოთა საქართველო ელექტრომეურნეობის სფეროში მიმდინარე განადიოზული ძვრები.

სამწუხაროდ, ეს ფილმი დღეს დაკარგულია. ჩვენი კინომკვლევარების ვალია, იპოვონ და იხრუნონ მისი აღდგენისათვის.


დავით რონდელი იმ ხელოვანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ცხოვრების მიზნად დიდ შემოქმედებით შრომასთან ერთად, შრავალფეროვანი სასოვადოებრივი მოღვაწეობა გაუხდიათ.

დ. რონდელი — კინოსტუდიის მუდმივი შემოქმედებითი აქტივის თავმჯდომარე, სამხატვრო საბჭოს წევრი, კინემატოგრაფისტთა კავშირთა გამგეობის წევრი, სასოვადოება „ცოდნას“ კინოსტუდიის მიუროს წევრი, სამხედრო-სამეფო მუშაობის აქტიური მონაწილე იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა შემოქმედებითი სექციას, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კითხულობდა და კითხულობს ლექციებს კინორეჟისურას და კინოდრამატურგიის დარგში, კინოხელოვნების სხვადასხვა საკითხზე კინოსტუდიის კინომსახიობთა სკოლის მსმენელებთან, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

დიდმა და მნიშვნელოვანმა მოღვაწეობამ განსაზღვრა მისდამი პატივისცემა და დაფასება. დავით რონდელი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენებით, მრავალი მედლითა და ქების სიგელით.

დაძაბული შემოქმედებითი საქმიანობის ორმოცდაათმა წელმა შინაარსიანად გაიარა. ცხადია, ამ ხნის მანძილზე ბევრი იყო გამარჯვებით აღძრული სიხარული, იყო მარცხით გამოწვეული მწუხარებაც, მაგრამ მთავარი ის არის, რომ სამოცდაათი წლის, შემოქმედებითი ენერგიით სავსე ხელოვანი დღესაც გადამღებ აპარატთან დგას და ვინ იცის მერამდინედ იმეორებს: „მეღმზაღდეთ! ვიწყებთ“.

აკაკი ხორავა



ნათელა ურუშაძე

აკაკი ხორავა საქვეყნოდ ცნობილი მსახიობი იყო, როდესაც გაეცინა. მას უკვე გამოვლილი ჰქონდა ქართული საბჭოთა თეატრისთვის ბრძოლის დიდი გზა, როგორც კორპორაცია „დურუჯის“ წევრს, გადატანილი ჰქონდა სირთულენი, თან რომ ახლდა კორპორაციასა და მარჯანიშვილს შორის მომხდარ განსეტყილებას. თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლაც, ახმეტლის მეთაურობით მუშაობაც, მასთან ერთად მოღვაწეობაც უკვე წარსული იყო, მაგრამ ყველას ახსოვდა... 1930 და 1933 წლებში რუსთაველის თეატრის გასტროლების არნახული წარმატებანი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, შემდეგ უახმეტლოდ... ამ დროისათვის აკაკი ხორავას უკვე ნათამაშები ჰქონდა თავისი უმატარესი როლების დიდი ნაწილი: კაპიტანი ბერსენევი (ბ. ლავრენივის „რლევა“, 1928 წ.), ანზორი (ს. შანშიაშვილის „ანზორი“, 1928 წ.), არგიშვილი (შ. დადიანის „თეთნულდი“, 1931 წ.), კარლ მითრი (შილერის „ჟანაზე“, 1933 წ.), პლატონ კრემეტი (ა. კორნიიჩუკის „პლატონ კრემეტი“, 1935 წ.), არსენა (ა. შანშიაშვილის „არსენა“, 1936 წ.), ოტელო (შექსპირის „ოტელო“, 1937 წ.), გიორგი სააკაძე (ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“, 1939 წ.), ოლეო დუნდინი (რეჟისურისა და კაცის „ოლეო დუნდინი“, 1942 წ.)... იყო ისრე სახალხო არტიტი (1936 წ.), ისრე უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსთაველის სახელობის საქართველოს უმაღლესი სათეატრო სასწავლებლის — თეატრალური ინსტიტუტის შექმნის ინიციატორი. სწორედ ამ ინსტიტუტის სტუდენტ გახდნ მ 1941 წელს. დღეამდე აკაკი ხორავა. დირექტორი — აკაკი ხორავა.

ინსტიტუტი რუსთაველის თეატრის შენობის ბოლო სართულზე მითავსებული. აკაკი ხორავა, ამავე დროს, რუსთაველის თეატრის წამყვანი მსახიობი, შემდეგ კი რუსთაველის თეატრის დირექტორიც იყო. ეს გარემოება დიდად აკავშირებდა თეატრსა და ინსტიტუტს წლების მანძილზე.

როგა ინსტიტუტში მივიღო, ეს უმაღლესი სასწავლებელი ორი წლის შექმნილი იყო. იმხანად აკაკი ხორავა ბევრს ზრუნავდა თავის პირობებზე.

მამინე სასახიობო ფაქტუტეტის მხოლოდ რამდენიმე ჯგუფი იყო და ერთი სარეჟისორო. ვიწროდ არ კიყავით. მიუხედავად ამისა, დირექტორს არც ერთი ოთახი კაბინეტად არ გამოუყენებია. დირექცია, კანცელარია, ბუხალტერია მითავსებული იყო იმ დიდ ოთახში მყოფ სართულზე, სადაც ახლა ინსტიტუტის ბიბლიოთეკაა. ამ ოთახის ერთი კუთხე შეშაბანდით იყო შემოღობილი: ფართი იმოდნა, რამდენიც კმაროდა საწერი მაგიდისა და ორი სკამისთვის — მომსვლელებისა და დამხმელურისათვის. გალიაში გამოკეტულ ლოშს ჰკავდა ასეთ „კაბინეტში“ მჯდომი აკაკი ხორავა.

ეს ლოში ზოგჯერ მიეწინვარებდა. უმეტესად დისკომპონის დარღვევის ან კოსმეტიკის გამოყენების შემთხვევაში. მისი ბუნებისაგან შენობა ზანზარებდა, გეგონებოდა ქვეყანა იქცევაო. მერე ირკვეოდა — ვიღაცამ ტუჩი შეიღება ან ბიჭმა გოგოს ხელი გადახვია უბრალოდ. ვერ იტანდა ოდნავ შელაზნანდარებასაც კი. ძალიან უფრთხილდებოდა ინსტიტუტის სახელს. ჰქონდა სუსტი ადვილიც — ცრემლებს ვერ უძლებდა. ჩვენ ეს ვიცოდით, რასაკვირვებლია, ესარგებლობდით კიდევ.

პერიოდულად უცნაური, მგაბრ უსასტიკესი ბრძანებები ცხადდებოდა. მაკალითად, — ბიბლიოთეკიდან წიგნი მხოლოდ დირექტორის ნებართვით გაიცემს! ამ დროს დირექტორის მაგიდასე სტუდენტთა განცხადებების ზვინები იყო აღმართული, უარის შემთხვევა არაკის ახსოვს. ბიბლიოთეკაფული იშვიათობაა ერთადერთ ვგზემზღარებსაც ეი (რომლებსაც ხელვაშლილი რუსუდან მიქელაძეც კი არ გაიმეჩება), აკაკი ხორავა გაკვირს გერმოლოვის ადვან... მისი სასტიკი ბრძანებები დიდხანს რეზინარუნებდნენ ძალას.

ინსტიტუტიდან აკაკი ხორავა თეატრში მიდიდა რეპეტიციასე. რეპეტიციის შემდეგ ისევე შემოვიდა ინსტიტუტში. შემოვიღიდა საღამოსაც (თეატრალურ ინსტიტუტში საღამოსაც მუშაობენ). ერთი სიტყვით, ყოველ წელს იყო მოსაღვინელი მისი გაბოქმება. რა იყო ეს? რა თქმა უნდა, უღიდავს პასუხისმგებლობა და სიყვარული საქმიანობა, ახალგაზრდობისადმი.

როგორც აღვნიშნეთ, იმხანად აკაკი ხორავა ძალიან იყო გატაცებული ინსტიტუტით. ეს ყველაფერივე ვლინდებოდა.

სისტემატურად იმართებოდა საჯარო საღამოები — მსატერული კითხვა, სასცენო მოძრაობა, სპექტაკლები. აკადემიურ თეატრს შემურდებოდა ისეთი მაყურებელი, როგორც ჩვენს დარბაზს ავსებდა. რა ზეიმი იყო იმ დღეს ინსტიტუტში! დილიდანვე ყველა ეშვალებოდა. მოახლოვდებოდა თუ არა დანიშნული დრო, ბოლო სართულის კიბის თავთან (მაშინ ლიფტი არ იყო) აკაკი ხორავა იდგა, იქ ხვდებოდა სტუმრებს. ახლა მესმის, რა დიდი აღმზრდლობითი მნიშვნელობა ჰქონდა მომაგალი სცენის ხელოვანობის ამ საზეიმი საღამოები. მათი საშუალებით თბილისის საუკეთესო საზოგადოება მომავალ მსახიობს პირველივე კურსებიდან ეყნობოდა — იცოდა როგორ მეტყველებს იგი, როგორ ეცვაკავს, როგორ აარჯიშობს. მე გეონია, ამგვარი საღამოებით აკაკი ხორავა შეგნებოდა ჩნობა ვითარებას, რომელიც თეატრალურ ახალგაზრდობას ბუნებრივად უღვივებდა პასუხისმგებლობის გრძნობას. მან იცოდა, რომ ეს გრძნობა ყველა საქმის წარმატების საწინდარია, განსაკუთრებით კი სათეატრო, კოლექტიური საქმიანობისა.

აკაკი ხორავას ნამდვილად ყველაფერი ინსტიტუტისთვის უნდოდა. თბილისში ევაკურირებული მისიკივის სამხატვრო და მცირე თეატრის მსახიობებიც მან მოიყვანა ინსტიტუტში. სპეციალურ საგნებში მეცადინეობას დაასწრო, აჩვენა სპექტაკლი — ა. ბრუშტეინის „ციხეფორი და ვარდისფერი“ (დადგმა გ. ტოვსტოვოვისა). ვინც იმ დღეს თეატრალურ ინსტიტუტში იყო, მის ცხორებაში ერთი მშვენიერი ფურცელი ჩაიწერა. ამას კი აკაკი ხორავას უნდა უმაღლოდეს.

ინსტიტუტთანა დაკავშირებული აკაკი ხორავას — შემოქმედისა და მოღვაწის — ერთი უმნიშვნელოფანისი თვისება. იწიბილია, რომ რუსთავილის თეატრის ე. წ. ჰეროიკალ-რომანტიკული ტენდენცია საწინდარ ახმეტელმა სწორედ აკაკი ხორავას აქტიორული შესაძლებლობის გამოყენებით აიყვანა უმაღლეს ხარისხში. ეს ტენდენცია წარმოუდგენელია ანზორის. ბერსენევის, კარლ მორის გარეშე. აკაკი ხორავა თვითონ იყო ასეთი ბუნების და მისწრაფობის მსახიობი. ასეთიო დარჩა იგი ახმეტელის შემდეგაც. ამგვარი თეატრი სწამდა მას სიყოფის ბოლომდე. ამას ადასტურებს მთელი მისი შემოქმედებითი პრაქტიკა და თეორია.

როდესაც 1939 წელს მისი ინიციატივით საქართველოში თეატრალური ინსტიტუტი შეიქმნა, აკაკი ხორავა მაშინ 44 წლისა იყო — ფიზიკური და შემოქმედებითი ჯან-ღონით სავსე კაცი, რომელსაც ნათამაშები ჰქონდა მასტერური, მონუმენტური, გმირულ-რომანტიკული როლები თეატრსა და კინოში. მაგრამ მის მიერ შექმნილი ინსტიტუტის, რომლის დანიშნულებასაც ქართული თეატრის შემოქმედებითი ძალებით მონარაგება შეადგენდა, მუშაობა ამ გზით არ წარუშარავა. ამის პირველი საბუთია იმ პედაგოგთა მსატერული პრინციპები, რომლებიც აკაკი ხორავამ თვითონ მოიწვია სპეციალური საგნების ხელმძღვანელებად: მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი თ. იაკუბოვსკაია, მთორე სამხატვრო თეატრის რეჟისორი ერმილოვი, ლუწანაჩის სახელობის მოსკოვის თეატრ-

ალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, სტახანოვსკის/ახსტამაზე აღზრდილი და ალექსიძე და გ. ტოვსტოვოვი. ვასილევ ადასტურებს ინსტიტუტის სპექტაკლები, რომლებიც დადგომონ გახდა ასე ცნობილი ქართული საზოგადოებრიობისთვის: ა. ბრუშტეინის „ციხეფორი და ვარდისფერი“, გოლდონის „ჭირიანა ქალბები“ და „სასტურის დიასახლისი“; კ. პრინცილის „დრო და კინევის თვალი“; მ. გორკის „მედიონი“ (დადგმა გ. ტოვსტოვოვისა), გოლდონის „საპატარალო აფიშით“, ლეტრაზის „პაწია“, გორკის „მზის შვილები“, კ. სოლოგუბის „ნაზი გულის ბრალია“ (დადგმა და ალექსიძისა). ჩამოთვლილი სპექტაკლებიდან არც ერთი გმირულ-რომანტიკულ მიმართულებას არ განეკუთვნება.

სტახანოვსკისის სისტემაზე აღზრდილი, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მსახიობებსა და რეჟისორებს გაწვავულზე სხვადასხვა თეატრში ანაწილებდნენ. ზოგი რუსთავილის თეატრში ხვდებოდა. 1943 წლიდან (ინსტიტუტის პირველი გამოშვება) მიყოლებული, რამდენიმე წლის განმავლობაში აქ აღმოჩნდნენ მსახიობები: ნ. ჩხეიძე, ნ. ჩახავა, ხ. ყანწალი, გ. გვედჭკორი, ე. მანჯავალიძე, რ. ჩხეიძე, გურ. ხალაბაძე; რეჟისორები — მ. თუბანი-





ოილიპოსი.

ლილი ხელმწიფე
→

ში თეატრმცოდნეობის ფაკულტეტი არ იყო გახსნილი. აკაკი ხორავამ მოსკოვის სათეატრო სელონების ინსტიტუტში წაყვალა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, სინარულით დავთანხმდით. ასე აღმოჩნდა მოსკოვში. იქ ერთი ნაცნობიც არ მეგულებოდა, გარდა რამდენიმე ქართველისა, რომელიც ჩემზე ცოტა ადრე წავიდა სასწავლებლად. ესენი იყვნენ: გულნარა ქართველიშვილი, მიხეილ გიფიშერლი და გიგა ლორთქიფანიძე. ისინი დამხვდნენ სადგურზე, თორემ გზასაც ვერ გავიკვლევდი ქალაქში. თან ჩავიტახე დიდი იმედები და აკაკი ხორავას რამდენიმე წერილი. ერთი მათგანი ფატი თვალთვადის სახელზე, აკაკი ხორავამ იცოდა, ალბათ, დღაშევილურად რომ მიმიღებდა ეს შესანიშნავი ქართველი ქალი, რომელსაც ამდენი სიკეთე გუკეთებია ყველა ქართველისთვის, ვინც მოსკოვს ჩასულა და დამხარება დასჭირვებია. ფატი თვალთვადის მადლონელი ვარ მეც იმის გამო, რომ მოსკოველ სტუდენტს წლების მანძილზე მზრუნველი თვალი არ მომშორებია.

მეორე დღესვე გამოცხადდა ინსტიტუტში. მისი დირექტორი მაშინ ცნობილი თეატრმცოდნე ს. მოკულსკი იყო. რომ ვუთხარი წერილი მაქვს-მეთუ აკაკი ხორავასაგან, მსკოვანი მეცნიერი ფეხზე წამოდგა. ასე, ფეხზე მდგომმა ჩაიკითხა ქართველი მსახიობის წერილი. თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსზე ჩამირიცხეს.

აკაკი ხორავა ხშირად ჩამოდიოდა მოსკოვში. უთუოდ დავცვიამხებდა იქაურ სტუდენტებს, მოვიკითხავადა. სტუდენტისთვის, ისიც ომის შემდგომი წლების მოსკოველი სტუდენტისთვის, ნამდვილად ზღაპრული პურ-მარილი იმლებოდა ხოლმე სასტუმრო „მოსკოვის“ ერთ-ერთ ნომერში (აკაკი ხორავა ამ სასტუმროში ჩრდილებდა მუდამ). თუ სახელმწიფო პრემიების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად იყო ჩამოსული, პრემიის წარდგენილი წარმოდგენის სანახაავად წავაყვანიდა. ეს იყო ერთეული შემთხვევები, როდესაც ჩვენ სხეტეტალს პარტიიდან ვუყურებდით.

ბეჭულობა, მისი დამოკიდებულება ფაქტორულად არსებულ სოციალურ-ისტორიულ ვითარებათაგან სასებით უწყველი და უდუგო ფაქტია. მაგრამ საქმე ისაა, ეს გაპირობებულობა და დამოკიდებულება აგრეთვე არაა აბსოლუტური ხასიათისა, არამედ შეფარდებითი ხასიათისა და ამიტომაც უშუალოდ ზნეობრივი ცნობიერების შეფარდებით დამოუკიდებლობას ფაქტორულად არსებულ ვითარებათაგან.

ამასთან დაკავშირებით გავსახსენო, რომ მარქსი ლაპარაკობდა ადამიანის არსებაზე მისი ფაქტორული არსებობისაგან განსხვავებით. იგი ამბობდა, რომ კაპიტალიზტურ საზოგადოებაში ადამიანის ფაქტორული არსებობა წინააღმდეგობაშია მის ადამიანურ არსებასთან, ხოლო მომავალ, კომუნისტურ საზოგადოებაში გადაილახება ეს წინააღმდეგობა და ადამიანის ფაქტორული არსებობა მისი არსების შესაბამისი იქნება. კაცობრიობის ისტორია მარქსს წარმოადგენდა კჷნა და როგორც მოძრაობა ადამიანის ადამიანური არსების გაშლისა და რეალიზაციის, ანდა, სხვაგვარად, „ადამიანური ძალის განვითარების“ მიმართულებით. ხოლო „ადამიანური ძალის განვითარება“, მარქსის მიხედვით, არავითარ შემთხვევაში არ დაიცვენება „ბუნებისათან ნეოთიერებათა ცვლის რეკულტირებაზე“, ანუ ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე. სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა საზოგადოებაში ანუ განსხვავებულ სოციალურ-ისტორიულ პირობებში, ამ პირობების შესატყვისად, ადამიანის არსება სხვადასხვა დონეზეა ხოლმე გამოვლილი და რეალიზებული, ფაქტორულად არსებული სოციალურ-ისტორიული პირობები სასებით განსაზღვრულ ფარგლებში აყენებენ ადამიანის არსების გაშლასა და რეალიზაციას, „ადამიანური ძალის განვითარებას“. ამიტომაც ადამიანის არსების გაშლასა და რეალიზაციას ყოველივე სოციალურ-ისტორიულად გაპირობებული და განსაზღვრული, მათგან დამოკიდებული სახე და ხასიათი აქვს. მაგრამ რამდენადაც, მეორე მხრივ, ადამიანის არსება არ ემთხვევა ფაქტორულ არსებობას, ფაქტორულად არსებულ ვითარებაზე და რამდენადაც ადამიანი და კაცობრიობა თავიანთ მისწრაფებებში ადამიანური არსების სრული და ადეკვატური გაშლისა და რეალიზაციისაკენ საბოლოო ანგარიშით გადალახავენ ხოლმე არსებული პირობების მხრივ განსაზღვრულობას, მათს ინერციას, გარდაქმნიან მათ და აღწევენ ადამიანური არსების გაშლა-რეალიზაციის უფრო მაღალ დონეს. ამდენად ადამიანური არსების ეს გაშლა და რეალიზაცია დამოუკიდებელია (რა თქმა უნდა, მხოლოდ შეფარდებითი აზრით) ფაქტორულად არსებული ვითარებებისაგან. ამ კონტექსტში საჭირო იქნება გავისხენოთ მარქსის დებულება იმის თაობაზე, რომ თუკი „ადამიანები გარემოებათა პროდუქტებს წარმოადგენენ, მეორე მხრივ, თვითნი გარემოებანი გარდაქმნიებიან და „იცილებიან სწორად ადამიანების მიერ“.

ადამიანების მიერ გარემოებათა გარდაქმნა სხვაგვარად არ შეიძლება ვიანხროთ, თუ არა ისე, რომ ისინი თავიანთ მოქმედებაში შეფარდებითი აზრით დამოუკიდებელი არიან არსებულ გარემოებათაგან.

რამის გარდაქმნა ამ რამის წინააღმდეგობის დაძლევა, მისი ინერციის გადალახვას და, ამდენად, მისგან დამოუკიდებელ მოქმედებას მოასწავებს. ადამიანი გარდაქმნის ბუნებრივ პირობებს და ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამ პირობებისაგან შეფარდებითი აზრით დამოუკიდებლად მოქმედებს. მაგრამ როცა ეს გარდაქმნა ბიოლოგიური ორგანიზმის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ხდება, მაშინ ადამიანის მოქ-

მეგამა ამ მოთხოვნილებებითაა განსაზღვრული ადამიანი ბუნებრივ პირობებს გარდაქმნის ხოლმე აგრეთვე საზოგადოებრივი „ორგანიზმის“ მოთხოვნების მიხედვით — ამ მხრივ ადამიანი მისი მოქმედება ამ მოთხოვნებით ანუ მოცემული სოციალური პირობებითაა განსაზღვრული. მაგრამ ადამიანი გარდაქმნის აგრეთვე სოციალურ პირობებს და შესაძლოა ეს ხდებოდეს ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილების ანუ ხუნებისათან ნეოთიერებათა ცვლის უფრო მაღალ დონეზე რეგულირების მიზნით. ასეთ შემთხვევაში ადამიანის მოქმედება, შეფარდებითი აზრით დამოუკიდებელი რომაა მოცემული სოციალური პირობებისაგან, ამასთან საბოლოო ანგარიშში ბიოლოგიური მოთხოვნილებებითაა განსაზღვრული. მაგრამ ადამიანი საბოლოო ანგარიშით გარდაქმნის ბუნებრივსა და აგრეთვე არსებულ სოციალურ პირობებს, ადამიანური ძალის განვითარებას: მიზნით, ხოლო „ადამიანური ძალის განვითარება“ არავითარ შემთხვევაში არ დაიცვენება ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე — მარქსის მიხედვით, ბუნებისათან ნეოთიერებათა ცვლის მაღალ დონეზე რეგულირებათი თვითონ კი არაა „ადამიანური ძალის განვითარება“, არამედ საამისად მხოლოდ აუცილებელ ბაზას“ შეადგენს.

სე რომ, ადამიანის მოღვაწეობა, რომელიც საბოლოო ანგარიშით არის მოქმედება „ადამიანური ძალის განვითარების“ მიმართულებით, შეფარდებითი აზრით დამოუკიდებელია ფაქტორულად არსებულ ბიოლოგიურ და სოციალურ ვითარებათა და გარემოებათაგან.

მაგრამ რა კავშირშია ყოველივე ეს ჩვენს მტკიცებასთან ზნეობას, ზნეობრივი საქციელის ფაქტორულად არსებულ ვითარებათაგან და გარემოებათაგან შეფარდებითი დამოუკიდებლობის თაობაზე? საქმე ისაა, რომ ზნეობრივი ცნობიერებას საბოლოო ანგარიშით მსვლელობაში აქვს სწორად ადამიანური არსების გაშლა და რეალიზაცია ანუ „ადამიანური ძალის განვითარება“, საბოლოო ანგარიშით ეს შეადგენს სიკეთის შინაარსს. ამიტომაც თუკი, როგორც ვთქვით, „ადამიანური ძალის განვითარება“ შეფარდებითი აზრით დამოუკიდებელია ფაქტორულად არსებულ ვითარებათა და გარემოებათაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ ამგვარი დამოუკიდებლობით ხასიათდება აგრეთვე ზნეობა, ზნეობრივი ცნობიერება და შესატყვისი საქციელი.

როგორ უნდა ვიანხროთ კონკრეტულად ადამიანის არსების მიმართება ფაქტორულ არსებობისათან, ამის დამაკმაყოფილებელი გარკვევა ერთობ რთული საქმეა, რასაც გავყავართ ჩვენ მოცემული, შედარებით უპრეტენზიო, ამოცანის გარგველდნი; ჩვენ ამჯერად მხოლოდ იმისი თქმა გინდოდა, რომ რამდენადაც ადამიანის არსება, „ადამიანური ძალა“ არ ემთხვევა ფაქტორულ არსებობას და ამ არსების გაშლა და რეალიზაცია, „ადამიანური ძალის განვითარება“ არ დაიცვენება იმაზე, რაც ფაქტორულად არსებულ ვითარებათა და გარემოებათა ინერციით ანუ მოვლენათა მექანიკურ-კაუზალური მსვლელობით მიიღება, ამდენად ადამიანის ზნეობა, ზნეობრივი საქციელი თავის აუცილებელ პირობებს ადამიანის თავისუფლებას როგორც ფაქტორული ვითარებათა და გარემოებათა ინერციის გადალახვისა და, მასშტაბამე, შეფარდებითი აზრით მათგან დამოუკიდებელი მოქმედების უნარს გულისხმობს.

მართლაც, თუკი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ბიოლოგიური ორგანიზმის მოთხოვნილებებისა და მიღრო კიდეების ანუ ბიოლოგიური ფაქტორების მიხედვით იქცევა და წარმართავს თავის ცხოვრებას, ჩვენ ასეთ ადამიანს ვერ

მიგრაციული წნეობრივად სრულფასოვან ადამიანად, ზნეობრივად სრულფასოვანი არც ისაა, ვინც მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით წარმართავს თავის საქციელსა და ცხოვრებას, საიდან მისდრეკენ და უბიძგებენ უბრალოდ არსებულ საზოგადოებრივ ვითარებაში და გარემოებაში იმისად მიუხედავად, თუ სახელდობრ რომელი და რაკვარი საზოგადოებაა ეს. რა თქმა უნდა, ადამიანი ზნეობრივად არასრულფასოვანია, თუკი იგი, ვთქვათ, ფაზისტურ საზოგადოებაში რომ ცხოვრობს. უპირობოდ მიჰყვება, უპირობოდ და ასრულებს ამ საზოგადოებაში არსებულ დაწერილსა და დაუწერელ კანონებს, წესებსა და ნორმებს. სხვათა შორის, პროგრესულ საზოგადოებაშიც ადამიანის ზნეობრივი სრულფასოვნება გულისხმობს მტკს, ვინც არსებული პირობებისადმი, მათი ინტერესისადმი უბრალო მიდევნება; პროგრესულ საზოგადოებაშიც ადამიანს მიუთხოვება მშველლობაში ჰქონდეს „ადამიანთა ძალის“ შემდგომი განვითარება და ამის შესატყვისად არსებული პირობების გარდაქმნა-გაუმჯობესება. ხოლო, ცხადია, თუკი ადამიანი ფიქრობს, ზრუნავს და მოქმედებს „ადამიანრი ძალის“ შემდგომ განვითარებასა და შესატყვისად არსებული პირობების გარდაქმნა-გაუმჯობესებაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მუშაობს აზრით დამოუკიდებლობას ჩვენს ამ პირობებისაგან.

დაბოლოს — ადამიანი არ შეიძლება იყოს ზნეობრივად სრულფასოვანი და კეთილი, თუკი იგი მხედველობიდან უშეგებს ადამიანის თვისობრივ უპირატესობას ნივთთა და ცხოველთა წინაშე და თუკი, მაშასადამე, მხოლოდ ადამიანს ისე ეპყრობა როგორც ნივთსა და ცხოველს ანუ როგორც საშუალებას საკუთარ მოთხოვნილებათა და მიზანთა დასაცავად. ზღადა, ხოლო თუკი მას მხედველობაში აქვს ადამიანის თვისობრივი უპირატესობა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი აღიარებს ადამიანს როგორც ბუნების გარდაქმნელსა და ახალი სამყაროს, კულტურის სამყაროს, შემოქმედს, და, მაშასადამე, თავისუფალ არსებას.

„სციენტისტურ ანთროპოლოგია“ უნდა, რომ ადამიანის საქციელი ახსნას მხოლოდ და მხოლოდ მისი ორგანიზმის ფაქტორი მოწყობილობით და, მხოლოდ მხრივ, ფაქტურად არსებულ გარემომცველი პირობებით. ხოლო ასეთი საქციელი სხვა არაფერია, ამო უარა შექმნიერ-აქტომატური ფუნქციონირება. სწორედ ამიტომ ამ ანთროპოლოგიური კონცეფციის მიხედვით ადამიანი უკეთეს შემთხვევაში ცხოველს, უარეს შემთხვევაში კი ნივთს, მანქანას უთანადრება. ხოლო მანქანას სხვა მნიშვნელობა არა აქვს, თუ არა ის, რომ კომფორტის საშუალებაა. მანქანას არ შეუძლია დამისახუროს თავისთავადი ღირებულებისა და თვითმიზნის სახით აღიარება და ამიტომაც არ შეიძლება გასდეს ჰუმანიტარული ადამიანური სიყვარულის და პატივისცემის საგანი. ხოლო ცხადია უნდა იყოს, რომ ზნეობა მხოლოდ ადამიანის სწორედ ამგვარ აღიარებას გულისხმობს.

ადამიანი განხილული მანქანური შესაძლებლობების თვალსაზრისით, განხილული როგორც კომფორტის საშუალება, რა თქმა უნდა, ჰკარგავს თვისობრივ უპირატესობას; უფრო მეტიც, იგი თანამედროვე სრულყოფილი მანქანების წინაშე გამოიყურება როგორც ნაკლები და არასრულფასოვანი არსება; და შემთხვევითი არაა, რომ თანამედროვე კაპიტალისტურ ინდუსტრიულ საზოგადოებებში მანქანებს უფრო მეტად აფასებენ და მეტ პატივსაცემენ, ვიდრე ადამიანს.

„სციენტისტურ-ანთროპოლოგიური“ იდეები, აღმოცენე-

ბუნები ბუნებათმცნიერებისა, ტექნიკისა და ინდუსტრიის დიდი განვითარების ნიადაგზე, ვერ ეტყვიან განდობილთაფიცი განკუთვნილ სპეციალურ წიგნებში და მსგავსად მასობრივ ცნობიერებას თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ისინი ეწინააღმდეგებიან რა ზნეობრივი ცნობიერების პირიქცაპებს, ხელს უწყობენ ადამიანთა ზნეობრივ გადაგვარებასა და დაცვას.

თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ყურადღების ცენტრში დგას ინდუსტრიის განვითარება, ხოლო ადამიანი პერიფერიაში მოექცა, იგი ზედმეტად განსაზღვრული და დამოკიდებული აღმოჩნდა „ინდუსტრიულ გარემოებათაგან“. ადამიანი განხილვება არა როგორც ინდუსტრიის განვითარების საშუალება, როგორც მანქანა, რომელიც ინდუსტრიის შეკვეთების შესასრულებლად და დანიშნული. ადამიანის სწორედ ასეთი პერიფერიული ლეგონარება აისახება და, მხოლოდ მხრივ, მტკიცდება „სციენტისტურ-ანთროპოლოგიური“ იდეებით.

ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანი ყურადღების ცენტრში მოექცა, მან პერიფერებიდან ცენტრში გადაინაცვლა. მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ „სციენტისტურ-ანთროპოლოგიური“ იდეები აღარ ასახავენ და აღარ შეეფერებათ სოციალისტური საზოგადოების ადამიანს. ამიტომაც ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი წარმართოს ბუნებათმცნიერული და ტექნიკური აზროვნების წესის აბსოლუტიზაციასა და შესატყვისას, „სციენტისტურ-ანთროპოლოგიური“ ტენდენციების გარეშე.

სხვათა შორის, ადამიანის თაობაზე „სციენტისტურ-ანთროპოლოგიური“ შეხედულებების დაძლევის საქმეში ხელოვნებას ერთობ ეფექტური როლი შეუძლია თამაშოს — ვერ ერთი, მატერიალი შემოქმედების მდგომარეობაში ადამიანი განსაკუთრებულ სიღმადით ამვლანებს თავის თავს „სციენტისტურ-ანთროპოლოგიური“ სურათისაგან განსხვავებული სახით და, მხოლოდ, ხელოვნების ნაწარმოებში ადამიანი, საბოლოო ანგარიშით, სწორედ ამ სახითაა წარმოდგენილი; წარმოდგენილია არა იმ აზრით, თითქოს ხელოვნება სასურველ ილუზიას ქმნის ადამიანის თაობაზე — ხელოვნებისეულ პოზიციაში დანიშნება ის, რაც ნამდვილად არის ადამიანი თავისი არსებითი შესაძლებლობების მიხედვით, მაგრამ რაც პრინციპულად დაფარული რჩება ტექნიკური წესით აზროვნებისათვის.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ატმოსფეროს უარყოფითი გავლენის ნეიტრალიზაციის ამოცანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების სახით ტექნიკურ მეცნიერებათა და ტექნიკის გადაჭარბებული პროპაგანდირების ხარჯზე ხელოვნების პროპაგანდირებასა და, შესატყვისად, განვითარებას მოითხოვს.

ვაჟა
სამსონიძე

სამსხმ, ისევე, როგორც მთელი მესხეთი, მდიდარია ისტორიული ძეგლებით. სად არ შეხვდებით წარსულის ნაშთებს: გაუცატრიელებულ ხეებში თუ უზარმაზარ კლდეებზე, ტყეებსა თუ ბაღებში, მთაში თუ ბარად... მარტო ურავლის ვიწრო და ტყით დაბურულ ულამაზეს ხეობაში, ერთი მესხი მოხუცი მელექის გიგა მასისრაძის გადმოცემით, ორმოცამდე სოფელი ყოფილა. ყველა მათგანს ჰქონია თავისი ეკლესია თუ ციხე, ან ორივე ერთად. დღესთვის აქაური ისტორიულ ძეგლების უმეტესობა დაზარეულია. იგივე ითქმის სამცხე-მესხეთის სხვა ძეგლებზეც. ყველა ძეგლს ვერ მიმოვიხილავთ, შევხებით მხოლოდ უმნიშვნელოვანესს, სამცხნოერ ლიტერატურაში კარგად ცნობილ ძეგლებს.

აქაური. აწყური ძეგლ დროში ციხე-ქალაქი ყოფილა. აქ ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში საეპისკოპოსო ტაძარიც არსებობდა. ისტორიულ წყაროებში იგი მოხსენიებულია როგორც „მესხთა დიდებული საყდარი აწყური“.

აწყურსა და მის მიდამოებს დღესაც კარგად ატყვია გარდასულ დროთა სიღაღის ნაკვალავი. შესყურებ ზედ მტკვრის პირას, უზარმაზარ კლდეზე აღმართულ დიდი ციხის ნანგრევებს და გაცივებს მისი სიმტკიცე და მიუვალობა. აქ ბუნებისა და ადამიანის ნახვავი ისე შერწყმია ერთმანეთს, რომ ვერც კი შეამჩნიებ, სად მთავრდება კლდე და სად იწყება ციხის კედელი.

აწყურის ციხიდან რამდენიმე მეტრითაა დაშორებული სამცხის მეორე საოცრების — ღვთისმშობლის ტაძრის ნანგრევები. ვიებერთელა ეზო-შემოგარენი საესეა ჟამთა სიავისაგან დაქცეულ-დანარცხებული თლილი, ჩუქურთმიანი ქვებით, ლოდებით. საბრალოდ გაბნეულან ეს ძვირფასი ჩუქურთმები. გვაოცებს ტაძრის ნანგრევები, მაგრამ რა სანახავი იქნებოდა იგი თავისი პირვანდელი სახით! აწყურის კათედრალი (საეპისკოპოსო ტაძარი) ყველაზე დიდი იყო მთელ სამცხეთაში. ფართობით იგი სვეტიცხოველსაც კი ჭარბობს — წყრს „სამცხის სურთომოქცრების“ ავტორი, პროფესორი ვახტანგ ბერიძე.

XVI საუკუნის მიწურულს სამცხის აღზევებული ათაბაგების სეპარატისტულმა პოლიტიკამ მესხეთი საქართველოს ჩამოაშორა ეკლესიურა-

დაც. მესხეთის სასულიერო ცენტრად აწყური იქცა. აქ იჯდა ამაყი კათალიკოსი მაცყვერელი.

1283 წლის ძლიერმა მიწისძვრამ დიდი ზიანი მიაყენა მესხეთს, მრავალი ისტორიული ძეგლი დაინგრა, მათ შორის — აწყურის ტაძარიც. იმ დროის მემბტიანე „ქამთაღმწერელი“ ასე აგვიწერს ამ სტიქიურ უბედურებას: „საფუძვლითურთ შეიძრა ქვეყანა და შემტყუნდა ესოდენ, რომელ დაიქცეს საყდარი და მონასტრნი, ეკლესიანი, ციხენი, სახლნი, ნაშენენი მოხრდეს... საყდარი აწყურისა დაიქცა, რამეთუ ყოვლად-წმიდა აწყურისა ღმრთისმშობელი, ლიტანიობით შესუნებული, საშუალო საყდრისა ესუნა, გუმბათი ჩამოიგრა და ვითარცა ქუდი კაცისა ესრეთ თავსა დაერქუა და დარჩა უნებლად ძლიერებითავე მისითა... სამცხეს ურიცხვი სული მოსწყდა და ყოვლად საყდარი, ეკლესია და ციხე არსად დარჩა დაუქცევარი“.

აღდგენილი აწყური არც შემდეგ საუკუნეებში ყოფილა მშვიდად. მეტრები ანგრევდნენ, მესხები კი კვლავ აღადგენდნენ.

აწყურის ციხე და ტაძარი დიდებული სანახავი ყოფილა ვახუშტი ბაგრატიონის დროსაც (XVIII ს.): „მტკვრის კიდვზედ სამხრთი არს აწყვერი, ქალაქი და ციხე დიდშენი... აქა არს ეკლესია დიდშენი, მშვენიერად ქმნილი, გუმბათიანი, ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა... აქ არს სიდი მტკვრისა ზედა“ — წერს დიდი ისტორიკოს-გეოგრაფოსი.

აქა-იქ მეგრდმენგრეული და ქონგურებომორღეული ციხე დღეს კვლავ მყარად დგას კლდეზე, ტაძარი კი სრულიად გაბარცული და გუმბათი-ჩამოქცეულია. ტაძარი დაინგრა თურქთა ბატონობის ბოლო წლებში. ნაწილი მისი გათლილი, ჩუქურთმიანი ქვებისა ზოგიერთ მოსახლეს თავისი საცხოვრებელი სახლის კედლებისთვის ჩატანებია.

თისმეღი. თისლის მიდამოებში რამდენიმე ისტორიული ძეგლია. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი ეკლესია (ერთი — გუმბათიანი, მეორე — უგუმბათო) და ორი ციხე. გუმბათიანი ეკლესია, რომელიც სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, კილიმეტრ-ნახევარზე, ტყეში მდებარეობს, ძალიან დაზიანებულია. მის-

თვისაც თითქმის მთლიანად შემოუძარცვავთ ქვის პერანგი. თლილი, ჩუქურთმიანი ქვები თისლელთა საცხოვრებელი სახლების კედლებშია ჩატანებული. პროფ. ვ. ბერიძე ამ ძეგლს XIV-XV საუკუნეებით ათარიღებს.

ამავე პერიოდისაა თისლის მეორე (უგუმბათო) ეკლესიაც, რომელიც იქვე, ცოტა მოშორებით, კლდოვანი ხეობის სიღრმეში მდებარეობს. ეს ეკლესია შედარებით უკეთესად არის დაცული. კედლები უჩუქურთმო, მაგრამ გემოვნებით გათლილი ქვებით არის ნაშენი. ეკლესია შიგნიდან მოხატული ყოფილა, რაზეც მეტყველებს გადარჩენილი მხატვრობის ნაწილი.

ციხეთაგან ერთი დგას გუმბათიანი ეკლესიის იატვე, მაღალ კედლეზე, ხოლო მეორე—გუმბათო ეკლესიის ახლოს, ისიც მაღალ, ფრიალო კლდეზეა აღმართული. ორივე ციხე დაზიანებულია.

სასუნიძე. საყუნეთის გუმბათო ეკლესია XV ან XVI საუკუნისაა. ნაგებია გუმბათდგინედ გათლილი ქვისაგან. დასავლეთის კედელზე, სარკმლის ზემოთ, გათხარებულია დიდი ჩუქურთმიანი ჯვარი. შესასვლელისა და სხვა საკმელების საპირე ქვებით მოჩუქურთმებულია. ეკლესია გადახურულია ქვის ფიქლებით. ერთ-ორ ადგილას ეს ფიქლები ამოვარდნილია. შეკეთებას მოითხოვს საძირკველიც. საერთოდ კი ძველი კარგად არის დაცული. საყუნეთის ეკლესია აღრიცხულია, როგორც ქართული კულტურის ძეგლი და ამიტომ მისი უკეთ დაცვის მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ მის ეზოს არ აბინძურებდეს სოფლის პირუტყვი, საჭიროა შემოიღობოს მავთულის ბადით.

ბიძიძე. ბიეთის გუმბათიანი ტაძარი წინუბნის ხეობაშია, გურგულს ზემოთ, გორაკებით გარშემორტყმულ დაბლობ ადგილას. ირგვლივ ფიჭვნარია. ტაძარი აგებულია XIV საუკუნეში, ამჟამად ძალზე დაზარებულია, ჩამოქცეულია გუმბათის დიდი ნაწილი, კამარები, დასავლეთისა და სამხრეთის კედლების ზემო ნაწილები. ნანგრევებით სასჯა ეკლესია და მისი შემოგარენი. გადაჩრჩინილი კედლები უხვად არის შემკული ჩუქურთმებით. აქვს წარწერებიც... აღსანიშნავია აღმოსავლეთის კედელზე, სარკმლის ზემოთ გამოსახული დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი. ტაძრის

გუმბათი რამდენიმე წლის წინათ ჩამოინგრა. დროზე რომ მიშველებოდნენ ბიეთს, ეს არ მოხდებოდა. ტაძარი ნახევარმდგა ჩაფლული თავის-სავე ნანგრევებში.

პირველ რიგში საჭიროა ტაძრის ეზოს გაუმენდა (რათა კედლები უკეთ გამოინდეს) და გადარჩენილი კედლების გამაგრება...

ასლციხე. ახალციხეში, გამსაკურთხებით მის ძველ ნაწილში — რაბათში, მრავალი ისტორიული ძეგლია. რაბათის ციხე-სიმაგრე, რომელშიც სამცხის ათაბაგების სასახლე იყო, ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. ვახუშტი ბაგრატიონი ახალციხეზე, სხვათა შორის, ამბობს: „არს ციხე ქალაქის თავს... ქალაქი არის მოზღუდელი ციხიდან ქეთიკირის სამის ზღუდით“. ციხე მრავალჯერ დანგრეულია და მრავალჯერაც აღუდგინათ. დღეისათვის იგი საგრძნობლად არის დაზიანებული, გალავანი აქა-იქ მორღვევია, ქონგურები ჩამოქცეულია, სამი შესასვლელიდან ორი (ერთ მათგანს „ორიციხეა“ ჰქვია, დასავლეთის მხარეზეა ორ კლდეს შორის) შეკეთება-გამაგრებას საჭიროებს.

ციხეში სხვადასხვა დანიშნულების რამდენიმე ნაგებობაა. მათ შორის აღსანიშნავია ჯაყელთა სასახლისა და კოშკის ნანგრევები. აქვე ყოფილა მდიდარი, ხელნაწერი წიგნების ბიბლიოთეკა, რომელიც ახალციხის ალების შემდეგ პასკვიჩის პეტერბურგში წაუღია.

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ხსენებული ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე გადმოსვლამდე დიდად დაზარადა რაბათის ძველები. სათანადო სიმამლუვე არ იდგა ძველთა დაცვა და კონტროლი ამ დაცვის მიმართ, რის შედეგადაც დატაცებულ-გაყიდულია მრავალი დამუშავებული ქვა. თითქმის დანგრეულია ქვის ნახევარცილობეტრანი კიბე, რომელიც იწყება კლდის ძირშივე, რკინიგზასთან, მიიკვანება ზევით, დასავლეთის მიმართულებით და შედის ციხის ყველაზე მაღალ და გამაგრებულ ნაწილში, შიდა ციხეში.

ამას წინათ ძველთა დაცვის სამმართველოდან იყვნენ სპეციალისტები, რომელთაც ადგილზე შეისწავლეს მესხეთის ზოგიერთი ძეგლის, მათ შორის საფარის, წყნობის ეკლესიის მდგომარეობა და შეადგინეს მათი სარესტავრაციო გეგმა.

რამათის ციხის ტერიტორია უნდა გაიწმინდოს. გასაწმენდი და შესაკეთებელია აგრეთვე აქაური (ციხის გარეთ მდებარე) ძველი გუმბათიანი აბანოები. ეკლესიათაგან ზოგი მთლიანად დანგრეულია, ზოგიც — ნახევრად. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაშია 1865 წელს აგებული წმ. მარინეს გუმბათიანი ეკლესია.

რამათის ღირსშესანიშნაობათა შორის აღსანიშნავია „მესხური დარბაზი“. მისი კედლები მორთულია ხეზე ამოკვეთილი ჩუქურთმებით.

ში ქაიხოსრო ათაბაგის მუდულუკა, დედისიმედს თეგლი უგუმბათოდ აღუდგენია. ეკლესიის მესხურ-სასვლელი, სარკმლები, შენობის ფასადები ჩუქურთმებულია. კედლებზე ვხვდავთ წმინდანების, წმინდანი მხედრებისა და ქალების რელიეფურ გამოსახულებებს. აქვს წარწერები, მათ შორის ეკლესიის აღმდგენელის, დედისიმედის წარწერაში მესხეთისა და ქართლის რამდენიმე ისტორიული პირია მოხსენიებული. ეკლესია გადახურულია ქვის ფიქლებით. ძეგლის მცველს



ვალს ეკლესია. X ს.

წყობის ეკლესია. XIII ს.


დარბაზის კონუსისებური გუმბათი („მერცხლის-ბუდრი“) თორმეტსაფეხურიანი ყოფილა. ასლაკი 5 თუ 6 საფეხურზეა წაკვეთილი. დარბაზი გადახურულია ხის მასალით (ფიცრით), რომელსაც მიწის სქელი ფენა აწვეს. საჭიროა სახურავის (ერდოს) შეკეთება, რის გაკეთებაც არ ძალუძს დარბაზის დღევანდელ მფლობელს, 87 წლის გიორგი ბალიაშვილს. კარგი იქნებოდა ხსენებული დარბაზის შექმნა და მისი მუზეუმის ფილიალად გადაკეთება (ამის შესახებ ადრეც იყო ლაპარაკი), ან გადაეცეს იმას, ვინც უკეთესად დაცავს ძეგლს. ეს დარბაზი ალბათ ერთერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანია საქართველოში. მეტიც, თავისი აგებულებით, გადახურვით, ჩუქურთმებით ყველასაგან განსხვავდება.

პალმ. სოფელ ვალს ცენტრში X საუკუნის ეკლესია დგას. თავდაპირველად იგი გუმბათიანი ყოფილა. XVI საუკუნის მეორე ნახევარ-

თქმით, ეკლესიის სახურავი თბილისელებმა შეაკეთეს, მაგრამ წვიმის დროს წყალი მაინც ჩამოდის და კედლები ფუჭდება. სხვა მხრივ ძეგლი კარგად გამოიყურება, ჯეროვანად არის დაცული. სპსარ. ძველ დრელსა და ანდრიაწმინდას შორის, ურავლის ხეობაზე დამავალი პატარა და ციცაბო ხევის ზემო ნაწილში, ხელოვნურად დაბაჰნებულ ადგილას მდებარეობს საფარის სახელგანთქმული მონასტერი. აქ სხვადასხვა დროისა და დანიშნულების მრავალი ნაგებობაა თავმოყრილი: წმ. საბას ტაძარი და სამრეკლო, მიძინებისა და წმ. გიორგის ეკლესიები, რამდენიმე სამლოცველო, სამცხის ათაბაგთა სასახლის ნანგრევები, ნასახლარები, გამოქვაბულები, ციხე-კოშკები გალავნითურთ, წყაროები და სხვ. საფარის მონასტრის ტერიტორია, მისი შემოგარენი დაფარულია შერეული ტყით. მონასტრის ტერიტორიაზევეა შემორჩენილი ასწლიანი, კავეულ-

რეკონსტრუქციის, თუთისა და კაკლის ხეები. ირგვლივ მთებია...

აი ამ მთათა უბენში, ამ ზღაპრულ წიწვნარში 700 წელია ამაყად დგას წმ. საბას დიდი, გუმბათიანი ტაძარი, რომლის შესახებაც ვახუშტი ბაგრატიონი წერდა: „ამ ხევზედ (ვახუშტი „ღრელოს-ხევის“ უწოდებს მას) არს საფარას მონასტერი, შეწეირად დიდიშენი, გუმბათიანი, ყოვლად წმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საქელესისა და წმიდათა ნაწილებითა, და დაეფლ-



დნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარა“.

XIII საუკუნის ბოლოს ბექა მანდატურთუხუცესის მიერ მამის სიცოცხლეშივე და მის სახელზე აგებულია წმ. საბას ტაძარი (საბა იგივე სარგის ჯაყელია, ბექას მამა) დღესაც დიდებულად გამოიყურება და შვეულ კლდეზე ამოყვანილი საძირკვლით, მაღალი, მოვარდისფრო კედლებით, მდიდრულად მოჩუქურთმებული შესასვლელებით, სარკმლებით, გუმბათის ყელით, ისტორიული ფრესკებითა და წარწერებით, მთელი თავისი აზოვანებითა და სილამაზით წარსულელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

საფარა სამცხის ისტორიულ ძეგლთა შორის, შეიძლება ითქვას, ყველაზე უკეთესად არის შემონახული. მიუხედავად ამისა, საბას ტაძარს მანინც სჭირდება მზრუნველი ხელი. პირველ ყოვლისა, უნდა შემოწმდეს, შეგვიდეს და გამაგრდეს ციბათო კლდეზე ამოყვანილი კედელ-საძირკვე-

ლი, უნდა ჩამოირეცოს ზოგიერთი „დამთავალი“ მრებლის“ მიერ ტარის (აგრეთვე მონასტრის სხვა შენობათა) კედლებზე საღებავებით მიწისა წერ-მინაჯღანებით. ადგეს კედლების შიგნით ძველი მხატვრობა.

წმ. საბას ტაძარზე პატარა, მაგრამ მასზე სამი საუკუნით ძველი მიძინების ეკლესია, რომელიც მთავარი ტაძრის სამხრეთის კედელზეა მიმჯვინილი. იგი უგუმბათია. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ კუთხე, რომელსაც ქმნის სამხრეთისა და დასავლეთის კედლები, რამდენადმე დაბლაა დაწეული. ძველს ახლავე უნდა მიხედვა, რომ კუთხემ მეტად აღარ დაიწიოს და კედლები არ გადასკდეს.

ამ ორიოდე წლის წინათ დასავლეთის მხრიდან საძირკველი ჩაქცევია წმ. გიორგის ეკლესიას. იგი მიძინების ეკლესიასთან ახლო დგას. აქვს წარწერები, ჩუქურთმები (ვახის მტკვნები...). ძველი მნიშვნელოვანია და თუ დროზე არ ამოვუშენებ საძირკველი, მთლიანად ჩაიქცევა.

საფარისაკენ მიმავალი გზა შეაკეთეს, მაგრამ იგი ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლისათვის მაინც ვიწროა.

წმწმ. წყორძამი ორი უგუმბათო ეკლესიაა: ერთი სოფლის ცენტრშია, ხევის თავზე, მეორე — სოფლის განაპირას, ხევის გაღმა. უფრო მნიშვნელოვანია სოფლის შუაგულში მდებარე ეკლესია. იგი XIII საუკუნეშია აგებული; პატარაა, მაგრამ დამაზი. ნაშენია თლილი ქვით.

ეკლესიის შესასვლელი, სარკმლების თავზე გამოსახული ჯვრები და სხვა ნაწილებიც ღამაზ ჩუქურთმებშია ჩამჯდარი. ჩრდილოეთის კედელი შუა ნაწილში თითქმის მთელ სიმაღლეზეა გაბზარული. შუა ნაწილშივე ჩამოჭრილი ეკლესიის სახურავიც. შენობას მეტ შნოსა და იერს მატებდა კედლების კუთხეებში ჩატანებული ქვები, ყურძნის მტკვნების გამოსახულებით, მაგრამ, 1966 წელს ეს ქვები წაართვეს წყორძის პატარა ტაძარს და ახალციხეში, რუსთაველის მოედნის კედელში ჩაქოვდეს. მოედანი კი დამწვენიდა, მაგრამ ძველი დაზარალდა. კარგი იქნებოდა ხელი არ გვეზო მისთვის, და თუ მიზინდამიანც წყორძის ეკლესიის სამკაულები მოგწონდა, ასლები, დავეშვაღებინა (ამასი სპეცილისტები არიან), ან სხვა დანერგულ-გაუკავრიებელი ეკლესიების ჩუქურთმისანი ქვები გამოვეყენებინა. ასეთი ნაგებობები სომ უამრავია მესხეთში! ახლა ეს ხევისპირას მდგარი ეკლესია რვევამდვა მისული. დასანანი, რომ წყორძის ამ პატარა მარგალიტმა დაქცეულ ეკლესია-მონასტერთა ხვედრი გაიზიაროს ჩვენს დროში. ისდა დავგრძინა სანუგეშოდ, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველოს ამ ეკლესიის შენობის აღდგენაც ჰქონია განსაზღვრული.

სმწმ. ხეთის მიდამოებში არსებულ ძეგლთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ორცე-

ფის ციხე საამოცველო-სამრეკლო. ციხე მდებარეობს ხევის გამოღმა, ხეობისა და ურაველს შორის გადასასვლელის თავზე. ეს ნაგებობა უფრო კომპური ფორმისაა: ციხეზე პატარაა, კომპუზე — დიდი. ციხის აღმოსავლეთი კედელი ნახევრამდენა გაბზარული, შესასვლელის ირგვლივ ქვები მოურღვევით, არა აქვს სახურავი. ციხე მყარად დგას ნიადაგზე.

სოფლის ბოლოს, ბაღებში, თითქმის ერთიმეორეზეა მიშენებული ეკლესია და სამრეკლო.



საფარის მონასტრის მთავარი ტაძარი. XIII ს.

ეკლესია მთლიანად დანგრეულია. გადარჩენილი კედლები დაბალია. უფრო საინტერესოა სამრეკლო. იგი ორსართულიანია. ნაგებია რუხი, მომწვანო და მოწითალო ქვით. სამრეკლოს ქვედა სართული სამლოცველო ყოფილა (აღბათ გვერდითი ეკლესიის დანგრევის შემდეგ). გადარჩენილია გუმბათის თაღის ნაწილი. ეზოში მრავალი ჩუქურთმიანი ქვა გვხვია. სამრეკლოს სარკმელები, აგრეთვე ორივე სათაულის კარნიშები მოჩუქურთმებულია. შიგნით, ერთ-ერთი სარკმლის ორივე მხარეს ჯვრების რელიეფებია გამოსა-

ხული. იქვეა მშენებლების — ოლიმპიასა და წმ. ბარბაღეს წარწერაც. ხეობილები ამ სამრეკლოსათვის წმ. ბარბაღეს ეკლესიას მრეკველნი პრპოფ. ვ. ბერიძის აზრით, სამრეკლო XV-XVI საუკუნეებში უნდა იყოს აგებული.

აბბა. ურავლის ხეობაში მრავალი ისტორიული ძეგლია. მათ შორის ყველაზე უმნიშვნელოვანესია აგარის მონასტრის კომპლექსი, რომელიც მდებარეობს სოფელ ურავლის ზემოთ, 5-6 კილომეტრის მანძილზე, მდინარის მარჯვენა მხარეს, მთის ფერდობზე დაბაქნებულ ადგილას. აქ რამდენიმე საეკლესიო ნაგებობაა თავმოყრილი. მათგან ყველაზე მთავარია X საუკუნის დიდი უეუმბათო ეკლესია. „აგარის მთავარი ეკლესია ერთი უდიდესი ერთნაგებობაა, რომელიც საკართველოში... მიუხედავად იმისა, რომ აქ მხოლოდ ერთი უეუმბათო დარბაზია, აოცებს მნახველს თავისი დიდებულებით“ (გ. ბერიძე, „სამცხის ხუროთმოძღვრება“). ხალხური გადმოცემით, შოთა რუსთაველს აგარის მონასტერში მიუღია პირველდაწყებითი განათლება.

ეკლესია თლილი ქვით არის ნაშენი, მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმებით, ფრესკებით, წარწერებით. კედლები მყარად დგას ნიადაგზე, სახურავი ოთხ-ხუთ ადგილას ჩამოგრებულია. ტაძრის სამი შესასვლელიდან ერთი მთლიანად ამოკლილია, მეორე — ნახევრად, მესამე, რომელსაც საპირე ქვები აკლია, სხნილია. ტაძრის სამხრეთიდან მიშენებული აქვს „ღრეფანი“, რომლის სახურავი მთლიანად ჩამოტყვეულია, ხოლო სამხრეთის კედელი შუა ნაწილში დიდ ფართობზეა გამოჩენილი.

მთავარი ტაძრის ირგვლივ რამდენიმე, ნაწილობრივ დანგრეული ეკლესია-სამლოცველოა, არის სამრეკლოც. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია „ტრაპეზი“ (ბერების სასაბილო), რომელიც შედგება ერთი დიდი დარბაზისაგან და მასზე მიდგმული სათავისაგან. ამ შენობასაც აქვს ჩუქურთმები და წარწერა, რომლის მიხედვითაც იგი აგებულია XI-XII საუკუნეთა მიჯანზე. შენობა გადახურულია. სახურავი ორ-სამ ადგილას ჩანგრეულია, ხოლო შიგნით თაღ-კამარისა და კედელ-სვეტის ქვები აკლია...

ჰმინტა. ჰკინტა-ელაწმინდის ზემოთ, ტყის პირას, მთის თავზე მდებარეობს მოწორისის ეკლესია. XVIII საუკუნეში ეს ძეგლი სასაიმოვნო სანახავი ყოფილა. ვახუშტი ბაგრატიონი მის შესახებ წერს: „ჰკინტას არს მონასტერი კეთილი, შეენიერშენი და აუწმინა“. ახლა ამ სიტყვებს ვეღარ გავიგებებთ, ეკლესია ძალზე დაზიანებულია. ამჟამად იგი შენობის ჩონჩხსა წარმოადგენს. გულმოდინედ ნათალი ქვის პერანგი, ჩუქურთმები, ფრესკები ეკლესიას უკვე აღარ გააჩნია. მხოლოდ ეზოში გვხვია ორი თუ სამი ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც სამხრეთის კედლის სარკმილიდან ჩამოვარდნილია. ჰკინტის მონასტ-

რის სხვა ნაკვობიანიც (ღარიან, ეკვერი, შენობა-სათავსოები) მთლიანად დანგრეულია.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში უნდა იყოს აშენებული ანდრიაწმინდისა და ოხერას მოწყოლო კუთხე ნაშენი ეკლესიები. ანდრიაწმინდის ეკლესია შედარებით კარგად გამოიყურება, ის დიდ მფარველობას უწევს ადგილობრივი ცხოვრებლები მასწავლებელ მიხეილ ინსპირაციის მესვეურებით. რაც შეეხება ოხერას ეკლესიას, იგი მართლაც ოხრად, უპატრონოდ არის მიტოვებული. მისი დასავლეთის კედელი შესასვლელი-თურთ და ჩრდილოეთის კედელი სარკმლითურთ გაუპარავათ, ქვები წაუღიათ...

მრავალი ისტორიული ძეგლია ადგიენის რაიონშიც. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ზარზმის მონასტერი, ჭულეს გუმბათიანი ეკლესია, ოქროს ციხე... ესენი XIII-XIV-XV საუკუნეებში აუშენებიათ. თუმცა ზარზმაში მანამდე (დიდი გუმბათიანი ტაძრის აგებამდე) ყოფილა მონასტერი, სადაც ჩვეუდა ლეტერატურული ცხოვრება, იწერებოდა წიგნები: საკმარისია თქვას, რომ ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი „სურამიონ ზარზმელის ცხოვრება“ სწორედ აქ დაიწერა IX-X საუკუნეთა მიჯნაზე.

ჩუქურთმებით, ფრესკებითა და წარწერებით შემკობილმა ზარზმის გუმბათიანმა ტაძარმა თითქმის დაუზიანებლად მოაღწია ჩვენამდე. თვალსა და გულს უსურია მისი მთლიანობა, ახოვანება და სილამაზე. ტაძრის გვერდით დგას ამავე ხანებში აგებული ოსასართულიანი სამრეკლო — ერთი უძველესთაგანი საქართველოში და, იმავე დროს, ერთი უდალესთაგანიც (ვ. გერბიძე). ზარზმაში, გარდა სხენებულა გუმბათიანი ტაძრისა და სამრეკლოსი, არის კიდევ ორიოდე პატარა ეკლესია-სამლოცველოს ნანგრევი.

ზარზმის ისტორიულ ძეგლს, მართალია, ჰყავს თავისი მცველი, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მონასტრის ტერიტორიის დაუყოვნებლივ შემოღობვა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ჭულეს ტაძრის მდგომარეობასაც. ჭულეს ტაძარი სიდიდითა და მხატვრული ღირსებით თუმცა ვერ შეედრება საფარისა და ზარზმის მთავარ ტაძარებს, მაგრამ მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი დღეისათვის მასშტაბში გადარჩენილი მესამე გუმბათიანი ეკლესიაა და შეიცავს ისტორიული პირების ამსახველ ფრესკებსა და წარწერებს.

მესხეთში ზალბი „კაკეთის ციხეს“ უწოდებს ხან თმოგვს, ხან ხერთვისს, ხან ოქროს ციხეს. ესენი, მართლაც, ერთიმეორეზე დიდი, მაღალი და მიუვალი ციხეებია. პროფ. ვ. ბერიძე, რომელსაც ფეხით აქვს შემოვილილი მთელი სამცხე და არაერთი ნაშრომი მიუძღვნა მის ისტორიულ ძეგლებს, ოქროს ციხეზე წერს, რომ იგი „ერთ-ერთი ყველა-

ზე დიდი ციხეთაგანია საქართველოში“. ოცნსეკამბოიანის ხეობების დარაჯი — ოქროს ციხესანგრძლივი ბრძოლების გარკვეულშია გამოფენილი, ამიტომ, ბუნებრივად, უნებდებ არც ის მოსულა ჩვენამდე — ძველი საგრძნობლად არის დაზიანებული. მიუხედავად ამისა, უზარმაზარ კლდის მასივზე შენდარი ეს ბუმბერაზი დიდებული სანახარია დღესაც.

მთონი, არსად საქართველოში ისე სავალალო მდგომარეობაში არ არის წარსულის ნაშთები, როგორც მესხეთ-ჯავახეთს. მერედა, რა მრავალადაა ისინი აქ! ბევრი მათგანი ძალიან ძველის შთაბეჭდილებას ტრავებს და დღესაც უნებობა ჩვენი ისტორიკოსებისათვის. შევისწავლოთ, გავწმინდოთ, აღვადგინოთ, მიგუჯროთ, დავიცვათ ჩვენი ყველა ისტორიული ძეგლი!

ორიოდე სიტყვა ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმზეც იგი 37 წელია, რაც არსებობს. მის საგანძურში მრავალი საინტერესო ექსპონატი და ძვირფასი ზღუნაწერია დაცული. მუზეუმში მოწყობილი გამოფენები ყოველთვის იმსახურებდა დამთვალიერებელთა მოწონებას, ინტერესს. 1972 წლის გაზაფხულზე ჩვენი მუზეუმი გადავიდა ქალაქის ძველი ნაწილის (ბაბათის ციხის) ტერიტორიაზე, რეკონსტრუირებულ ორსართულიან შენობაში. ახალი შენობის ფართობი ბევრად აღემატება ძველისას. მუზეუმის მუშაებს, სამუშეოში საჭიროების ფართო სპარეზი გადაგვეწვია. ამგვამად ახალი სტაციონარული ექსპოზიციის მოწყობაზე ვმუშობთ. მაგრამ როგორი კარგიც არ უნდა იყოს ჩვენი მომავალი გამოფენები, საცქვია, იმდენი დამთვალიერებელი ვგვადგეს, რამდენიც ძველ შენობაში გვყავდა. ამის მიზეზი, გარდა იმ შორი, აღმართ-დადმართ და მიხვეულ-მოხვეული გუნისა, რომელსაც მუზეუმში მივყავართ, ისიც არის, რომ დღემდე ნაბიჯიც არ გადადგმულა ქალაქის ძველი და ახალი ნაწილების დამაკავშირებელი საბაგირო გზის მოსაწყობად. ასევე შეჩერებულია ბაბათის ტერიტორიაზე ტურისტული ბაზის მშენებლობა.

ფერხობდა არქეოლოგიური ბაზის გახსნაც ახალციხეში, რაც ბევრ ახალსა და ძვირფას მასალას შესძენდა ჩვენს მუნიციპალიტეტს, ხალხს. მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე უამრავი ნასოფლარი, ისტორიული ადგილია. მისი მიწისჩვეუთი კი ბევრ საიდუმლოებას უნდა იტყვდეს. საჭიროა ამ საიდუმლოებათა გამოძიებაც. არქეოლოგიურ გათხრებში ჩვენი მუზეუმიც მიიღება მონაწილეობა და რამდენადმე სამუშეოში ფონდებსაც შეივსება.

დაბლობს, მუზეუმის სახელწოდების შესახებ. ვინაიდან ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სამოქმედო ზონაში მესხეთის სამეფო რაიონი შედის, მუზეუმს უნდა გამოეკალოს სახელი და ეწოდოს მესხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.





დირიჟორი ვანსულ კახიძე.

ორი სივფონიური ჰონესრტი

ნოდარ გაბუნია

პანსულ პასიძის სახელთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მეტამორფოზი, რომელიც კი უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე განუცდია ქართული ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრს.

ჯ. კახიძემ მიმდინარე წელს მეორედ გახსნა სიმფონიური მუსიკის სეზონი. ან მცირე დროში ჩვენ არსებითად ახალი კოლექტივის დაბადებას შევესწარით, რადგან ორკესტრის მხოლოდ მაშინ აქვს ფასი და მნიშვნელობა, როცა იგი შედის. თორემ სხვაგვარად აბა რა აზრი აქვს ესტრადაზე მის გამოჩენას?

როგორ მიაღწია არტისტმა ასეთ გარდაქმნას?

ასალს არაფერს ვიტყვი, თუკი აღვნიშნავ — თავისი ნიჭით! მაგრამ ასეთი განმარტება იმას ჰგავს, როცა ერთ უცნობს სხვა უცნობით გამოხატავენ. არადა, ძნელია ამ მოვლენის სხვაგვარი, უფრო საფუძვლიანი ასხნა. თუმცა დირიჟორის ხელოვნებას, რომელიც „მედიუმის“ მსგავსად მუსიკის „სულს“ იწვევს და მას მსმენელთან ალაპარაკებს, უთუოოდ უნდა გააჩნდეს რაღაც ფიზიკური პარამეტრები. მაგრამ დირიჟორსა და ორკესტრს შორის დამოკიდებულება იმდენად რთულია, რომ მისი მექანიზმის ამოხსნას უმთავრესად ქვეცნობიერად ცდილობენ.

მართლაც, დირიჟორს შეიძლება ბრწყინვალე სმენა გააჩნდეს, მაგრამ მუსიკალური ფანტაზია აკლდეს. ასეთ შემთხვევაში ბევრს ნუ მოელოთ მისგან, ან პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ მუსიკალური ფანტაზიით შეიარაღებული არტისტი უძღვრდება თავისი იდეების რეალიზაციის დროს. უფრო მეტიც, შესაძლოა დირიჟორს ერთიც გააჩნდეს და მეორეც, მაგრამ მოკლებული იყოს არტისტულ ნებისყოფას.

ასეთი მუსიკოსი ვერ დაიმორჩილებს ორკესტრს, ვერ ჩააგონებს მას თავის მუსიკალურ იდეას, ვერ გაუძღვება საშემსრულებელ ხელოვნების საოცარ „ლაბირინთებს“. გარკვეული აზრით დირიჟორი დამდგმელ-რეჟისორადაც გვევლინება. ბოლოს, ნუ გაიკვირებთ და ნუ ითაკილებთ იმასაც, რომ დირიჟორს სჭირდება სამუხრუნეო მუშაის ალღო და ცოდნა, რადგან ძალიან ხშირად მას უხდება ურთიერთობის დამყარება გაცილებით უფრო უხემ „მატერიალთან“, ვიდრე მუსიკალური ბეგრაა.

საოცარია, მაგრამ ყოველივე ეს და ბევრი რამ სხვაც უხვად გააჩნია ჯანსუღ კახიძეს.

ისე კი, ამ თვისებებში უპირატესობას მაინც მის მხატვრულ ალღოს მივანიჭებდი.

როგორც ჩანს, სწორედ ამ ალღოზეა დამოკიდებული სხვადასხვა ელემენტის მყარი ურთიერთდაკავშირება, უფრო მეტიც, თვით დამაკავშირებელი ელემენტების არჩევაცა და დადგენაც.

პოეტრი პოლ ვალერი წერს: „რომ აღმოაჩინო (ჩვენ ვიტყვი: რომ შექმნა, ნ. გ.), ამისთვის შენში თითქოს ორი პიროვნება უნდა იყოს გაერთიანებული. ერთი ურთიერთს უკავშირებს, მეორე კი ირჩევს იმას, რაც მის სურვილს შეესაბამება, რაც მიანიჩა უფრო მნიშვნელოვან და პირველის მიერ დამყარებული ურთიერთკავშირიდან“.

მათემატიკოსს ჰუანკარეს აზრით, აღმოჩენა (ჩვენ: შემოქმედება) არჩევანია. ასეთ არჩევანს ხელმძღვანელობს მენიერული (ჩვენ: მხატვრული) სილამაზის გრძნობა.

მოცარტი ერთ-ერთ წერილში აღწერს: „როცა კარგად ვგრძნობ თავს, კარგად ვარ განწყობილი, ვმოგზაურობ გვი-



პატივით, ან ვსვირნობ კარგი საუზმის შემდეგ, ან კიდევ ღამით, თუკი არ მეძინებთ, მრავალი აზრი მეწვევა ხოლმე, თავისუფლად, ძალდაუტანებლად. საიდან ჩნდებიან? ამის შესახებ არაფერი ვიცი. აზრებს, რომლებიც უფრო მომწონს, მესსიერებაში ვინახავ, ვმღერი კიდევ. ყოველ შემთხვევაში, სხვები ასე მეუბნებიან. ერთ მგლოდიას რომ ამოვიჩრქვე, მაღლ მას მეორეც უერთდება — კომპოზიციის, კონტრაპუნქტის, ორკესტრობის მოთხოვნათა შესაბამისად.

რა საგულისხმო მსგავსებაა ამ აზრებს შორის! დირიჟორიც ასეა. იმ უთვალავ ფონიურ „კავშირებს“ შორის, რომლებსაც ბეგრები ერთმანეთთან ამყარებენ, იგი იმას ირჩევს, რაც უფრო „მყარად“, მიზანშეწონილად მიაჩნია, ამ არჩევანს კი ხელმძღვანელობს გრძნობა სილამაზისა.

ჯ. კახიძე უხვადაა დაჯილდოებული სილამაზის გრძნობით და, რაც მთავარია, ამ გრძნობას ფესვები ეროვნულ ნიშანდობი აქვს ღრმად გადგმული. შესაძლოა, ამით აიხსნება, რომ ჯ. კახიძე იზიარებს მგლოდიკის ვოკალურ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ყოველგვარი მგლოდია უნდა იმდენეზოდეს აუცილებლად. მართლაც, არტისტი ყოველთვის ცდილობს აამღეროს ამა თუ იმ მნიშვნელობის მუსიკალური მასალა, აამღეროს ვალტორნის, ვიოლინოსა თუ სხვა საკრავისთვის განკუთვნილი მგლოდია. მისი იდეალაა მთლიანად „მღერადი“ მუსიკალური ქაოტივი. სხვათა შორის, ამ თვისებაში ძალზე მკაფიოდ იჩინა თავი ვერდის „რეკვიემის“ შესრულებისას. სწორედ დიდი იტალიელი მესტროს ამ შედეგით გაიხსნა წიგლს სიმფონიური მუსიკის სეზონი.

სულის მოსახსენებელ მესას ხანგრძლივი და მდიდარი მუსიკალური ისტორია აქვს. აღრიხილდი ნიმუშები XVI საუ-

კუნის დასაწყისში გვხვდება, უპირველეს ავტორთა შორის აღსანიშნავია პალესტრინა, ორლანდო ლასო, XIX საუკუნის კომპოზიტორთაგან კი — ბერლიოზი, დგორჯაკი, სენ-სანსი, ფორე, ბრუენერი და სხვები. ვერდის „რეკვიემი“ მხატვრული ღირსებებით გვერდს უმშვენებს ტემშირავი შედეგებს: მოცარტის „რეკვიემსა“ და ბრამსის „გერმანულ რეკვიემს“.

ცხადია, ჯუზეპე ვერდის ეს ქმნილება ერთულეს საშემსრულებლო ამოცანებს მოიცავს. საქმეს ისიც ართულებს, რომ გუნდისა და ორკესტრის ამ უზარმაზარ „სიმფონიაში“ „ჩაქარგულია“ ფანტასტიკური, ვირტუოზული ტექნიკით დაწერილი ვოკალური ანსამბლები. ამ „სამშაგის“ საშემსრულებლო სირთულის დაძლევისთვის აუცილებელია არა მარტო ნამდვილი ნიჭი, არამედ ვოკალის ღრმა ცოდნაც. განსაკუთრებით აღსანიშნავი და შთამბეჭდავია, რომ ასეთ რთულ პირობებში ჯ. კახიძე უშუალო მუშაობისას ახერხებს. ჩემი აზრით, სწორედ ეს შეადგენს საშემსრულებლო ხელოვნების ქვეშარავი ანს. მუშაობისას ის, რაც ცოცხალ მუსიკალურ „კსოვილს“ განასხვავებს მისი უსულო მოდელისგან, ორიგინალს რეპროდუქციისგან.


ქებას იმსახურებს მშვენიერი, მაღალპროფესიული სომხური კაპელა (ხელმძღვანელი ჩეკიჯიანი), ჩვენს ორკესტრთან საოცრად ბუნებრივი ანსამბლი რომ შექმნა. თქმა არ უნდა, არც ცნობილი სოლისტები საქირობენ რეკომენდაციებს, რადგან ყოველი მათგანი სარგებლობს მაღალი რეპუტაციით. მაგრამ სოლისტების მიმართ ერთი პრეტენზია მაინც მაქვს, თუმცა ამაში არც ერთ მათგანს არ მიუძღვის ბრალი. საქმე იმაშია, რომ ვოკალური ანსამბლი საშემსრულებ-



მაყვალა ქასრაშვილი.



ნინა ისაკოვა.



მარკ რეშტიანი.

ლო სტილის მხრივ ოდნავ ეკლექტიკური მოშვენივა. ტენორ ვ. ატლანტოვის „ბელ-კანტო“, გარდა იმისა, რომ ბუნებრიობის „არომატს“ იყო მოკლებული, არც თუ ისე მკაფიოდ ზოდა მ. რეშტიანის სასიძულერო მანერას, რომელიც „პირის გოდუნოვის“ პერსონაჟისთვისაა შედგამოჭრილი. ეტყობოდა, რომ მაყვალა ქასრაშვილს იმ საღამოს დებიუტი კჰონდა ვერდის „რეკვიემში“ — ოდნავ აკლდა არტისტული რწმენა. აკადემიური თვალსაზრისით, ყველაზე „გამართულად“ მანც ალტი — ნ. ისაკოვა გამოიყურებოდა. გამოვთქვამ ამ მოსაზრებებს და თან ვგრძნობ, — რაღაც სასიამოვნო ემოციას განვიციდი. ზშირად მემართება ასე, — რაიმე განცდა სასიამოვნო, ან პირიქით, საწყენი თან მდევს მთელი დღის განმავლობაში, მაგრამ სანამ არ დამამძიმებს, არ შემაწუხებს, არც ვცდილობ გავერკვე — რამ წარმოშვა იგი. ახლაც ასეა, — სასიამოვნო განცდა დამებადა მაშინ, როცა ვოკალური ანსამბლის მიმართ პრეტენზია გამოვთქვი. ზუნებრივია, რომ ჩავფიქრდი. მივხვდი: რა დრო დადგა — სოლისტების ვერჩი და ორკესტრის გაქმე. ჩვენში, როგორც წესი, სოლისტების დონე უფრო მაღალია, ვიდრე კოლექტივებისა. ალბათ სწორედ ის მესიამოვნა, რომ პირველ რიგში კოლექტივის ქება მომიხდა და არა სოლისტებისა.

ახლა ორიოდ სიტყვა ბეთჰოვენის IX სიმფონიაზე. თქმა არ უნდა, IX სიმფონიის დადგმა დიდი მნიშვნელობის კულტურული მოვლენაა. ჯ. კახიძემ ამ დიად ნაწარმოებში თავისი ნიჭის კიდევ ერთი მხარე გაგვისინა — იგი აქტიური ინტერპრეტატორის როლში წარმოგვიდგა. მან დაგვანახა ღრმა გააზრების უნარი, დაგვარწმუნა, რომ შესწევს ძალა თავისი ინტუიციის აყვანისა ცნობიერების დონემდე. ჯ. კახიძემ მოსამზადებელ პერიოდში ნამდვილი

ვლადიმერ ატლანტოვი.





კვლევა-ძიება ჩაატარა. შეისწავლა დიდძალი მასალა, ყოველივე, რაც ასე თუ ისე უკავშირდებოდა IX სიმფონიის საშემსრულებლო ტრადიციებს. ამ ნაწარმოების განსაკუთრებულ სირთულეს განაპირობებს არა მარტო შინაარსის სიღრმე და კოსმიური მასშტაბები, არამედ პრაქტიკულ-ტექნიკური სასაბუთის სირთულეები, ამ ტიტანურ ქმნილებასთან შეჭიდებისას რომ წამოიჭრებინა შემსრულებელთა წინაშე. საქმე იმაშია, რომ IX სიმფონია საორკესტრო „რეტუმირებას“ მოითხოვს. ამ მხრივ იგი არ შეადგენს გამონაკლისს. ასეთივე ბედი წარსულის მრავალ მუსიკალურ შედევრს ეწია. ამის მიზეზი ისაა, რომ თანამედროვე საორკესტრო ინსტრუმენტარი თავისი ტექნიკური შესაძლებლობებით არსებითად განსხვავდება იმდროინდელისგან. მაგალითად, ადრე ლითონის ჩასაბერ საკრავთა ბგერითი არსენალი შემოფარგლული იყო ნატურალური რიგით. დღეს კი, სრულყოფილი ტექნიკური აღჭურვილობის გამო, ლითონის ჩასაბერ საკრავთა მთელი დიაპაზონი ქრომატიკულად შევსებულია. ცხადია, ბეთჰოვენი ვერ დაავადებდა საკრავს ნებისმიერი ბგერის გამოცემას ასეთი დიაპაზონის ფარგლებში. ისიც ცხადია, რომ ამით ინსტრუმენტთა შორის ძნელდებოდა დინამიკური ბალანსის შენარჩუნება-დაცვა. ასეთი სიმწიფეები მრავალადაა IX სიმფონიის პარტიტურაში. ამას ისიც უნდა დავმატოვო, რომ ბეთჰოვენს ყურთასმენა სულ უფრო ინტენსიურად აკლდებოდა (ბუნების საოცარი პარადოქსი!) და

შესაბამისად სუსტდებოდა მისი უშუალო კავშირი რეალურ ბგერით გარემოსთან.

ამის გამოა, რომ IX სიმფონიის თითქმის ყველა ინტერპრეტატორი, რიჰარდ ვაგნერიდან დღემდე, ამ უნიკალური პარტიტურის რედაქტორადაც გვევლინება. ყოველ მათგანს თავისი მხატვრული მრწამსი გააჩნდა და ხშირად საკუთარი მეთოდოლოგიური პრინციპებიც.

სხვათა შორის, დაახლოებით იგივე სურათია ბეთჰოვენის საფორტეპიანო შემოქმედებაშიც. ხშირია შემთხვევა, როცა მელოდიური განვითარების ხაზი ბგერათა დიაპაზონის „ფიზიკურ“ საზღვარს აღწევს. მელოდიური მოძრაობის ინერცია თითქოს იმავე მიმართულებით მოქმედებს, ბეთჰოვენი კი იძულებულია მელოდიის ეს მონაკვეთი, ოქტავით ქვევით გამოიტანოს და ამით ხაზი გაწყვიტოს. დღეს ზოგი პიანისტი ასეთ მელოდიურ ხაზს აგრძელებს ფორტეპიანოს გაფართოებულ შესაძლებლობათა შესაბამისად, ზოგი კი მოწინებით იცავს ტრადიციას. ორივე შემთხვევაში ვლინდება ინტერპრეტატორის მხატვრული მრწამსი.

ვინ მოთულის, რამდენია ისეთი შემთხვევა, როცა დიდი ბეთჰოვენის მუსიკალურ აზრებსა და მათ ინსტრუმენტულ განხორციელებას შორის ყრუ კედელი აღმართულა.

ცხადია, ჯ. კახიძეს არ შეეძლო IX სიმფონიის ამ „წინა ისტორიის“ უგულებელყოფა. ისევე არჩევანი. დაუსრულებელი არჩევანი!

შოამბეჭდვები იყო I ნაწილის ინტერპრეტაცია — თავად-ჭერილი, შინაგანი ნებრგიით დამუხტული ტემპით. შოამბეჭდვები იყო II ნაწილი. არტისტმა თითქოს ომი გამოუცხადა ტრადიციას, რომელიც მოითხოვს სვერცის ემოციების შევსებას, ტაქტის, ზომიერების დაცვას. ჯ. კახიძე სვერცის დინამიკური საზღვრები შორს დადიატანა და ემოციას საშუალება მისცა ვულკანივით ამოხეთქილიყო. გაიხსნენთ ლიტაგრები „ფორტისინო“! III ნაწილი — *adagio molto e cantabile* ოდნავ ჩრთხარდ მომეჩვენა. მას ერთგვარად ავლდა შინაგანი სიმშვიდე. შესაძლოა, დირიჟორი იძულებული იყო წინ წამოეწია ამ ნაწილის ტემპი, — გაითვალისწინა რა ირკეტრის რეალური შესაძლებლობანი. ზოგს ჰგონია, რომ ნელი დაკვრა ადვილია. სინამდვილეში პირიქით ხდება. რაც უფრო ნელა ამბობ, მით უფრო მეტი უნდა გქონდეს სათქმელი! ამ ნაწილის მუსიკა უთუოდ საჭიროებს უმაღლეს ბეგნი-თსა და საშემსრულებლო კულტურას. ჩვენი ორკესტრი დღეს ყოველგვარი ქების ღირსია, მაგრამ ჩვენივე სისუსტე იქნება. თუ კარგის მეტს ვერაფერს დავინახავთ. სიმფონიის ფინალი ანბრთაე რომ აპოთეოზად იქცა. დარწმუნებული ვარ, იმ წუთებში მთელი დარბაზი მოიცვა სისარულია და მეგობრობის იმ გრძნობამ, რომლისკენაც შილერის ოდა მოუწოდებს და რომელიც თავის მხრივაც უკვდავყო ბეთოჟენის გენიალურმა მუსიკალურმა ქმნილებამ.

ჯანსუღ კახიძემ უკვე ბევრს მიაღწია. მან საკონცერტო დარბაზებში ფართო აუდიტორია მიიზიდა.

მის მიერ განხორციელებულ მუსიკალურ დადგამთა უბრალო ჩამოთვლაც კი თვალსაჩინოდ მეტყველებს დიდ შედეგებზე. ბერლიოში — ფანტასტიკური სიმფონია, ჩაიკოვსკი — IV სიმფონია, სტრაენისკი — „კურთხეული გასაფხული“, მოცარტი — სიმფონია სოლ-მინორი, ბადნი — სიმფონია № 86, რაველი — „დაფნისი და ქლოა“, ვერდი — „რეკვიემი“, ბეთოჟენი — IX სიმფონია, ა. მაჭავარიანის, დ. თო-რატის, რ. გაბაიჩვაძის, გ. ყანჭელის, ფ. ლლონტის სიმფონიები და მრავალი სხვა!

შესაძლოა, ასეთმა მასშტაბებმა ზოგმი ეჭვის გრძნობაც კი დაბადოს. პირადად მე კი სულ სხვა აზრის ვარ.

„სშირად „დიდები“ იმიტომაც გვეჩვენებენ უფრო „დიდებდა“, რომ მათ წინაშე მუსლოდორეკილი ვარ და ისე შეყურებთ... მამ წამოვდგეთ, წელში გავიმართოთ...!“

თავის დროზე ეს სიტყვები წამოითქვა კამილ დემულენ-მა. შესაძლოა, ფრანგული რეჟოლუციის მოღადადის ამ სიტყვებში „დიდები“ უფრო „მოღივებს“ ნიშნავდეს. მაგრამ დამერწმუნეთ, მანამდეც და მის მერეც იგივე შედეგო წარმოეთქვა ბევრ სხვასაც, თანაც ამ „ნიუანსის“ გარეშე — მაგალითად, ყველა იმას, ვისაც თავისი ნიჭის სჯერა, სწამს, რომ ფორტუნა სწორედ მას არ უღალატებს, დიდი სურვილები, მისწრაფებები ამობრავებს, ეინი აწუხებს და ძალაც ერჩის. ასეთია ჯანსუღ კახიძე — დირიჟორი.



პაპუა წერეთელი
 „შეხრულდა“ მას ბევრი სასიკეთო ქმნილებები გაუწვია ქართული კულტურისათვის.
 ურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქცია ულოცავს პაპუა წერეთელს დაბადების 70 წელს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და კანონიერ ღობას.

მამონდმა ქართული ხელოვნების დეკადა, რომელიც 1937 წელს შედგა მოსკოვში. მასსებს, როგორი დიდი მონღომეტი ემზადებოდა მთელი საქართველო, რათა დირსეულად წარმდგარი ამ დეკადაზე. იგერბოდა კოსტიუმები, მზადდებოდა დეკორაციები, საგულდაგულოდ გადიოდნენ რეპეტიციებს.

ამ დეკადაზე ჩემისთანა ასალგაზრდა და თანაც საზოგადოებისათვის უცნობი კაცის მოხვედრა ძალიან ძნელი იყო. ამასთანავე ეს გარკვეულ თანხებდაც საჭიროებდა.

ბედმა გამიღობა, იმ წელს დიდი ჯაფა დამადგა, ჩემი სასუკვრი ოცნება კი ამისრულდა. ცოტათოდნი თანხა დავაგროვე, შევიკრეთ კარგი კოსტიუმი და მოძღვრალთა გუნდებს გაეყვე მოსკოვში.

შესანიშნავად დავიცვიდა მოსკოვი. ყველგან სახეიმი განწყობილება იგრძნობოდა. სივლაც გაიხედავდა, ტრანსპარანტები და აფიშები იყო გამოკიდებული. ბილეთების მაძიებლებთანაგ ხომ მოსვენება არ ჰქონდა კაცს.

სამწესაროდ, ვერფართო მოვახერხე საოპერო წარმოდგენებს დაესწრობოდი. ისე კი ყველა ამბობდა, ჩვენი ოპერები: „ახესალომ და ვთერი“, „დაისი“, „ქეთი და კოტე“ და „დაარეჟან ციგერი“ დიდი რეკომენტი წავიბოდა. დირიჟორ ვევენი მიქელაძეს ემდლიერებოდნენ ძალზე.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებიც დიდი წარმატება ხვდა წილად. გამოდიოდნენ ად. მოსალეთ და დასავლეთ საქართველოს ცეკვის და მწირობერეთა ანსამბლები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სანდრო კაცსაძე, კირილი პაჭკორია, ავქსენტი მეველიძე.

როცა „სულიკო“ შესრულდა, ვიდაცამ ქანდარიდან ავქსენტი მეველიძე — დაიძახა. მეგრელიც გამოვიდა და მდამლად დაუკრა თავი საზოგადოებას.

გაციფიქრე, ნეტა ამ სიმღერის შემქმნელს, ბიკოლაჩემ ვარიცა წერეთელს ერთი წუთით მაინც შეახედა, „სულიკოს“ როგორი აღტაცებით უტარებდას მოსკოვი-მეთქი.

მოსკოვში ქართული დეკადის დღეების დამ-

„ოტკლოს“ წარმატება აქცედი იყო. ხალხი ერთხმად გაიძახა: „ხორავა! ხორავა!“
ფოიეში იქაურა მსახიობების დიალოგს მხოლოდ კარი ყური:



ბაპუნა წერეთელი

თავრების მერე ჩვენი სიმღერისა და ცეკვის ან-სამბლები ლენინგრადს ეწვივნენ. მე რა მომაცი-ლებდა მათ და მსახიობებთან ერთად აღმოჩენილ ლენინგრადში. იქ კი დღეასდა ჩემი გულშემატ-კივრობა და მათი სრულუფლებიანი წვერი გაგხდი.

არც ლენინგრადს დაუკლია ჩვენთვის ყურად-ღება, არც მსახიობები იზოგავდნენ თავს. ყოველ საღამოს ესტრადაზე ერთმანეთს ცვლიდნენ უმწვე-ნიერეს ქალ-ვაჟთა წყვილები. გასაცარი მომღერ-ლები: ნიკო ხურცივა, კონსტანტინე ლორთქიფა-ნიძე, ლადი ბაბილუა, ძმები გიგუშა და დათა კავ-საძემი, მოცეკვავეები: კონსტანტინე გოგიაძე, დავით ჩიკვაძე, მარინა და თინა მხეიძეები, თამარ ციციშვილი, ანა ანდრონიკაშვილი, ალექსანდრა თოიძე, ნინო კალანდაძე და სხვანი.

ჩვენი მსახიობები არ იცილებდნენ ერთგულ ტანსაცმელს, ასე ჩნდებოდნენ ქუჩაშიც, ბანკეტებ-ზეც, რესტორანშიაც და თავიანთი მშვენიერი შე-სახელობით თუ ქცევით ხიბლავდნენ ხალხს.

ლენინგრადში ძალიან მიეწონათ ჩვენი „ქარ-თული“, „ფერული“, „ხორუმი“, სვანური ცეკ-ვები და სხვა. აგრეთვე „მრავალკამიერი“, „ჭო-ნა“, „იმერული მგზავრული“, „სიატურა“ და. რასაკვირველია, „სულიკო“.

იქაურები ქათინაურების თქმას არ აცდიდნენ ერთმანეთს. მასხოს ერთხელ გამოჩინილ მოცეკ-ვავე სერგეევს გაეუზიარე ჩემი აღტაცება მისი ცეკვის გამო „ბაღისხარის შადრევანში“. — რას ამბობთ, მითხრა, რა დროს ჩემზე ლაპარაკიაო. თუ ცეკვაზე მივდა საქმე, თქვენ ხომ ჭაბუკიანი გაყოთ.

* * *

1939 წ. რუსთაველის თეატრს გაეყვიე გასტრო-ლებზე უკრაინაში. მასინ მე ამ თეატრის მუზეუ-მის გამგედ ვმუშაობდი, თეატრის სალიტერატუ-რო ნაწილს ლევან ასათიანი ხელმძღვანელობდა, სწორედ მისი რეკომენდაციით მიმიღეს თეატრ-ში.

დიდის პატივით დაგვხვდნენ ხარკოვში, ამ მშვე-ნიერ ქალაქში, წარმატებით უჩვენეს „თოფიანი კაცი“ და „არსენა“.

— Ну что, хороший актер Хоравა?
— Хороший, это мало.—изумительный!
ბევრჯერ მინახავს, ვინ მოსოვლის რამდენჯერ, აკაკი ამ როლში, მაგრამ ასეთი შესანიშნავი, რო-გორც იმ დღეს, — არასოდეს.

გამოედოდიოთ ქარხნებშიც სატრაქტორო ქარ-ხნის მუშებმა დიდი ინტერესით უყურეს „არ-სენას“. შევხვდით წითელარმიელებსაც.

ხარკოვის შემდეგ ოდესაში გადავიწაცლეთ. შესანიშნავად მოგივლეს. სადგურზე კაცულა დაგვხვდნენ. მილოცვებისა და სიტყვების შე-მდგომ ავტომობილში ჩაგვსხსნა და კორტკეი თეატრისაკენ გაემართა, მის შენიბას გარს შე-მოუარა. ასეთი რამ უარესებებმა მხოლოდ ერთ-მლოვას მოუწყეს.

ოდესის საოპერო თეატრის შენიბა შესანიშნა-ვია. როგორც ამბობენ, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. მართლაც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს. მაგრამ ერთს კი შევნიშნავ, ამ მართლაც-და მშვენიერი თეატრის სცენა ისე მოუწყობილი იყო ტექნიკურად, რომ ჩვენი მუშები რის ვიცავ-ლახით, ხელით აბრუნებდნენ თბილისიდან ჩამო-ტანილ „წრეს“.

„არსენა“ აქაც კარგად მიიღო მაყურებელმა. ისეთი გულისყურით უსმენდნენ, თითქმის ტექს-ტი მათ ნაცნობ ენაზე ყოფილიყო დაწერილი. განსაკუთრებული წარმატება ხვდათ ხორავასა და გასაძეს. ამბობდნენ: საოცარი აქტიორები არიან-ო.

ბევრი რამ ვნახეთ, გული მხოლოდ ერთ რამეზე მეთანადრება: უკრაინაში ვიყავი და ვერ წავედი და ვერა ენახე ის ადგილები, სადაც დაიეთ გურა-ნიშვილი ცხოვრობდა. მართლაც მიუტყვებელი შეცდომა მომივიდა.

ოდესის შემდეგ გასტროლები იკვივე გაგავრტე-ლეთ.

გულთბილი სიტყვებით, მუსიკითა და ყვავილე-ბით შევხვდნენ. მშვენიერი სიტყვით მოგვმარბა მიკოლა ბაქანა.

ბევრი საინტერესო სახლი გავიციანი იქ. არასო-დეს დამაივიწყებია, მაგალითად, ზესვედრა გამო-ჩენილ მოქანდაკე მერკუროვთან. ერთ დღეს მუზე-უმის სანახავად წავედი. დაკეტული დამხვდა. ამ დროს მუზეუმის კარს მანქანა მოადგა. იქიდან მა-ღალი, სათვალისანი გავი გადმოვიდა. ისიც შე-წუხდა, მუზეუმი რომ დაკეტული იყო. შემოთმა-ვაზა, წაიყვანათ სადაც გნებავთო. გამიხარდა. ვთხოვე კივის — პერსონის ლავარში წავეყვანე, გზაში გამორჩევა, რომ ეს იყო მერკუროვი. ბევრი ვილაპარაკეთ ხელთნებაზე, ქანდაკებაზე, თეატრ-ზე. რა თქმა უნდა, უფრო მეტს ის ლაპარაკობდა, მე კი ყურს ვუვებდი.

რამდენიმე საათი გავატარე ამ საინტერესო

ადამიანთა, ჩემთვის ეს იყო დღევანდელი შესვენება, რასაც ძალიან იშვიათად არგუყვები ხოლმე ბედი ადამიანს.

კიევში ვნახე აგრეთვე გამოჩენილი სომეხი მსახიობი ვაჰრამ ფაფაზიანი. მიუხედავად იმისა, რომ თამაშობდა ძალიან ცუდ შენობაში, სადაც აკუსტიკა არ ვარკობდა, შეტისმეტად მიმეწონა მისი მეტყველი მიმიკა, დიდი ტემპერამენტი. საოცარი იყო „ცხვირსახოცის სცენაში“. რა ემართებოდა ამ კაცს: მამ ყველაფერი ტყუილია, ცხვირსახოცი დუღდმონას ჰქონია, ინახებოდა მის სინარულით გაცისკრონებულ სასუფე. მაგრამ აი, ცხვირსახოცს დახედავდა. ეს ხომ ის არ იყო, მისი ნაჩუქარი, მაშინ უნდა გენახათ ოტელო-ფაფაზიანის გამძიმინვარება. მთელ სპექტაკლში ასეთი იყო.

წინა დღით ჩვენებს დებატიკნათ. ეთქვა: „სირცხელი არ იქნება, ამ აქეთ-იქით ხეტიალში ამომძებრეს სულიო“. გადახვებია თურმე ვასაძეს და უთხრა: ოტელო მიიდა შენთან ერთად ვითამაშოთ.

კიევში შეხვედრა მოგვიწვევს იქაური გაზეთების „სოფეტკაია უკრაინასა“ და „კომუნისტის“ რედაქციებმა. აქ იყვნენ ი. გამრეკელი, ლ. ასათიანი, ა. ვასაძე, ა. ხორავა, ე. აფხაიძე.

სიტყვები წარმოთქვებს მ. ბაჟანმა, მწერალმა კაჩერგამ, ა. ხორავამ.



1958 წელს (კვლავ ჩემი ინიციატივით) დავესწარი ჩვენი ხელოვნების კიდევ ერთ დღესასწაულს — ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადს. სამხატვრო აკადემიაში გაიხსნა ქართული ხელოვნების გამოფენა. ცალკე გამოფენა ჰქონდა ლადო გუღიაშვილის. მოსკოვის სახორგადოებას ძალიან მოეწონა მისი შემოქმედება.

მოსკოველები გულითადად შეხედნენ ქართულ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. ლიტბარს რომ ვუყურებდი, უნებურად წინა დეკადს მაგონდებოდა. მაშინ ამ გუნდის ლიტბარები იყვნენ სანდრო კავსაძე და მისი უმცროსი ვაჟი დათა, ახლა კი იმავე დარბაზში იმავე გუნდს მშვენივრად ხელმძღვანელობდა ანზორ კავსაძე, სანდროს უფროსი შვილის გიგუშას ვაჟი.

დასკვნით საღამოზე თავი გამოიჩინეს ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლმა¹. მე იმ წარმოდგენებს ვერ დავესწარი, რომლებშიც ა. ხორავა და ე. მანჯავალაძე თამაშობდნენ. მითრეს, ხალხმა აღტაცებით მიიღო სპექტაკლი. სამაგიეროდ, ვნახე ზაქარიაძის იოდისპოსი. ეს იყო ნამდვილი ტრიუმფი, ააათ-ნახევრის განმავლობაში ხალხი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს სო-

ფოკლის ტრაგიკის მსვლელობას. წარმოდგენილი დამთავრდა, ხალხს წასვლა არ უნდოდა, დიდხანს არ იშლებოდა. ისხდნენ თავიანთ ადგილებზე და განუწყვეტელი უკრავდნენ ტაშს გამოძახებას და „ბრავოს“ ძახილს ბოლო არ უჩანდა.

საერთოდ, ქართულ საღამოებს უდიდესი წარმატება ჰქონდა. ბილეთების შოვნა ძალიან ჭირდა. მინამებს, რომ ერთ-ერთ დაწესებულებაში მხოლოდ ერთი ბილეთი მიუტანიათ, და, თურმე, ლატარიით გაუთამაშებიათ.

ასეთივე დიდი წარმატება ხვდათ ჩვენს მუსიკოსებსაც.

ერთ საღამოს მოსკოვის სასტუმროში შეხვდა ალექსი მაჭავარიანი და ბალეტ „ოტელოზე“ წამიყვანა დიდ თეატრში. თეატრის დარბაზი გაქვდილი იყო. თეატრის წინ კი გავლა არ შეიძლებოდა, წარმოდგენას ესწრებოდა მუსიკისა და ბალეტის დიდი მცოდნე ბელგიის დედოფალი ელისაბედი, მრავალი უცხოელი. ბალეტს წარმოუდგენელი წარმატება ჰქონდა. ჭაბუკიანი 13-ჯერ გამოიძახეს.

ვნახე თამარ წერეთელი და მისი ქმარი, წარმოდგენას ესწრებოდნენ, ხარობდნენ ჩვენების წარმატებით. თამარი მშვენივრად გამოიყურებოდა, იმ დროს იგი ისევ წარმატებით მღეროდა.

მსახიობთა სახელში ვაიმართა ვერიკო ანჯაფარიძის საღამო, დიდძალი ხალხი დაესწრო, დარბაზში ტევა ადარ იყო, მთელ თეატრალურ მოსკოვს იქ მოყვარა თავი.

ი. ზავადკიმ ვ. ანჯაფარიძეზე თქვა: «Верико Анджапаридзе не только замечательная грузинская актриса, она великая актриса». შემდეგ ვერიკომ თამაშა ნაწყვეტები პიესებიდან „ანტონის და კლეოპატრა“ და „ხეები ზეზუერად კვებებია“.

ერთ დღეს გიორგი ლეონიძემ და მე გადავწყვიტეთ ღონის მონასტერში წუგვეყვანა დეკადის მონაწილენი.

მოდი, — მიიხრა გიორგიმ, — მე თავმჯდომარე ვიქნები, შენ კი ჩემი თანამეწყვე და ეს საქმე მოვაწყობო.

თქმა მისი იყო, დატრიალება კი ჩემი. წავედი ფილარმონიის ირექტორ გუგული ყიფიანთან, დამპირდა, ზევ თორმეტ საათზე „შეიდგაცა“ და მე სასტუმროში ვიქნებოთ, ფოტოკორესპონდენტებიც შევიპაბო.

ღონის მონასტერი უკვე არქიტექტურის მუზეუმად იყო ქცეული.

ჩემი სტუდენტობის დროს ვიყავი აქ. არჩილის და ვახუშტის საფავეებს გუშანით მივაგენით და ყვავილებით შევაკეთე. ბაქარის და სხვების სარკოფაგების მსგავსი საფლავის ქვები კი რატომღაც ეწოთო გაეტანათ. ველისის მარჯვენა მხარეს ალაყაფის კართან.

ახსნა-განმარტებას გიორგი ლეონიძე იძლეოდა.

ქონრალ „სტორჩესტოვს“ ფურცლებზე შეტად საინტერესო დისკუსია გაიშალა ცნობილი ესთეტიკოსის მ. კავანის სტატიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სოციალისტურ რეალიზმს ლიხში ორი მიმართულების — „მკაცრად რეალისტურისა“ და „რომანტიკულის“ არსებობას („სტორჩესტოვ“, 1973, № 11). საკითხის ამგვარად დაყენებისათვის კავანმა არსებითად საბაზად გამოიყენა თერთმეტი ლენინგრაძელი მხატვრის ნამუშევართა 1972 წლის გამოფენა, რომელიც თავისი რომანტიკულობით ღირსშესანიშნავ მოვლენად მიიჩნია. კავანი აღნიშნავდა, რომ უკანასკნელ წლებში რომანტიკული მსოფლშეგრძნება მომძლავრდა ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის, შუაზიხის და რუსეთის რესპუბლიკათა მრავალი მხატვრის შემოქმედებაში, რის უტყუარ დადასტურებასაც ბოლო პერიოდის გამოფენები წარმოადგენენო.

რომანტიკული ხელოვნების ნიშნებად კავანი ასახელებს „პოეტურობის, ლირიზმის, ფერწერულობის, დეკორატიულობის, მეტაფორულობის, ფილოსოფიური განზოგადებისა და სიმბოლურობის აქტიურ გამოვლენას. „რა თქმა უნდა, — წერს იგი, — ფერწერას, გრაფიკასა და ქანდაკებას შეუძლია სხვა არანაკლებ მხატვრულად ღირებული ამოცანები დაისახოს და გადაწყვიტოს, როგორცაა... „ეპიკურობა“, „პროზაული თხრობა“, „სიუჟეტურობა“, „ფსიქოლოგიური დრამატურგია“, „სავნობრიობა“, რომელთა ამოსავლად კავანი ასახელებს სინამდვილისადმი „რაციონალისტურ, ლოგიკისტურ, ტექნიკისტურ“ მიმართებას. ამ ორიენტაციის ხელოვნათმთვიან დამახასიათებლად იგი მიიჩნევს აგრეთვე ჰერმედეზიკული ტრადიციებისადმი დოგმატიკურ დამოკიდებულებასაც. ასეთი ნიშნების მქონე ხელოვნებას იგი „მკაცრ რეალიზმს“ უწოდებს და განმარტავს, რომ ხელოვნების ამ ორიენტაციამ მაყურებლის გემოვნების ცალმხრივი განვითარება გამოიწვია. ხოლო როცა ასეთი კრიტიკიუმებით ვრუბელისა და პეტროვ-ვოდკინის შეფასება ხდებოდა, საგალოლო დასკვნებამდე მივდიოდითო.

კავანს მიაჩნია, რომ „მკაცრად რეალისტურისა“ და „რომანტიკულის“ ერთდროულად არსებობაში ცუდი არაფერია, ისინი ერთი მეორეს აგებენ და სოციალისტური რეალიზმის მთლიან დინებას წარმოადგენენო. ამასთანავე, კავანი რომანტიკული მიმდინარეობისადმი თავის სიმპათიებს ოდნავაც არ მალავს.

პირველ ყოვლისა, ძნელია ე. წ. „მკაცრი რეალიზმის“ როგორც ცნების გაზიარება, რამდენადაც, იქ, სადაც შემოქმედებით პროცესში „სიმკაცრე“ ჩაერევა, მისი უცვლელი თანმშლები ნიშანი დოგმატიზმია, ხოლო სადაც დოგმატიზმია, იქ შემოქმედების ნორმალიზება საეჭვოა. თუ ეს ასეა, კავანს თავისი ავტორიტეტული სიტყვა უნდა ეთქვა დოგმატიზმის წინაპირობათა შესახებ და რომ ხელოვნების ასე წარმართვა უსარგებლოა. ან, თუ სჯერა, რომ „მკაცრი რეალიზმი“ „რომანტიკულ მიმდინარეობასთან“ „მეზობლობაში“ ისეთ გარდასახვას ახერხებს, რომ დოგმატიზმში არ ვარდება, სახიფათო შემოქმედებით გზასთან არ გვეჭინა საქმე. ასეთ შემთხვევაში კი რეალიზმის ცნებისათვის ზედსარაავ სახელად „მკაცრის“ დამატებას გამართლება არა აქვს.

ლოგაიკური აზროვნების ისეთი ოსტატი, როგორც კავანია, ასე ადვილად ვერ შეცდება. როგორც ჩანს, მან სათქმელი განზრახ სანახევროდ თქვა, რათა ამით პრობლემისადმი ინტერესი გაედვივებინა. ასეც მოხდა. მას უკვე გამოუმუშურნენ, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს მხოლოდ დასაწყისია, რად-

**რას ნიშნავს
„მკაცრი
რეალიზმი“***

ოთარ ფირალიშვილი

* იხილეთ კამათის წესით.

გან კავანი მემოსამტად მტკიცეულ საკითხს შეეხო. ამდენად ასე მთლიანად და იოლად ამ საკითხებზე შეთანხმება ვერ მოხერხდება. მაგრამ ისტორიის ლოგიკა უღმობელია, იგი თავის საქმეს აკეთებს.

ვიდრე სხვა, უფრო სერიოზულ საკითხს შევეხებოდით, ეპიკურის კავანივეულ თვალსაზრისზე გვინდა შევიჩინოთ. მან რომანტიკული მიმართულებისაგან „მკაცრი რეალიზმის“ განმასხვავებელი ნიშნებს შორის ეპიკურმა დაასახლა. ჩვენის ფიქრით, ნაწარმოების ეპიკურობა რომანტიკულ განწყობას არ გამოირჩევა და რომანტიკა მხოლოდ ლირიკული ხანისის ნიშანი არ არის. რომანტიკული გზებზე დიდი ისტორიული გარდატეხის ექვს ბავს, რიკული, როგორც სოციალური განწყობა, ლირიკაში ავტორის მკერ საკუთარ სულში „ქვერტიტ“ თუ სორცილელება, ეპიკურ ქმნილებაში გარესამყაროს მასშტაბურ სახეებში სახიერდება და რომანტიკულ ეპოსად გვევლინება. ამის შესანიშნავი ნიმუშებია: თამარ აბაქელიას „შუისისებვა“, ვალენტი თოფურდია „გამარჯვება“, შოთა მიქაბერი „სამშობლო გემასი“ და მრავალი სხვა. ამ ხასიათის ნაწარმოებებში რომანტიკული გზებზე გამოთქმული სიღრმისეული ადამიანური ინტერესები მილიონიან მასებში ბოლოსდა ბოლოს გაშვებული.

კავანის სტატიაში ყურადღებას იქცევს ხელოვნებაში „რომანტიკული ორიენტაციის“ ბედ-იბოლის დახასიათება. მისი შეხედულებით, ომამდელ პერიოდში, აკრევე თვით ომისა და ომის შემდგომ წლებში, „რომანტიკული ორიენტაციის“ განვითარებისათვის სათანადო პირობები არ არსებობდა. ისინი, თითქმის, მხოლოდ ბოლო ათეულ წლებში შეიქმნა. კავანს, თუოღად, ისევ და ისევ შეხედველობა აქვს რომანტიკული მსოფლმეტრების ლირიკული და არა ეპიკური ზღანი. ეპიკურ პლანში რომანტიკული მსოფლმეტრებზე ჩვენში მუდამ დიდი ყურადღებით სარგებლობდა. რომ არაფერი ვთქვათ შემოთ უკვე ნახსენებ ჭანდაკებათ შესახებ, საკავანისა გავიხსენოთ ის ფაქტი, თუ როგორ აღფრთოვანებია შესვლა საზოგადოება ლდო გუდასშვილის ომის თემაზე შექმნილ გრაფიკულ სერვისს. მისი ბრწყინვალე ლირიკისადმი სათუთი ყურადღებისათვის ეს სათანადო ისტორიული „ამინდი“ ჯერ არ იყო. საზოგადოებრივი და პოლიტიკური განვითარების ყოველი ეტაპი მხატვრის თავის მოთხოვნებს უყენებს და ამ კუთხითვე აფასებს მის შემოქმედებას. ასე რომ, ამგავად, ჩვენის სახელომწიფოს ირგვლივ სოციალისტური ძალების აღზევების პირობებში, რომანტიკული მსოფლმეტრების ლირიკულ გამოვლინებასაც თუ სათანადო ყურადღება ვთმობა, ისტორიის კანონზომიერებებში ჩანსედულ ადამიანს არ უნდა აკვირვებდეს.

სამჭოთა სახვით ხელოვნებაში ორ ურთიერთისაგან საკმაოდ განსხვავებულ ორიენტაციის არსებობის შესახებ შეხედულება ორიგინალური არ არის, მაგრამ ეს აზრი ასე პირდაპირ და კატეგორიულად არავის გამოუთქვამს. კავანის სტატიაში სწორედ ამიტომ გამოიწვია ესოდენ დიდი ყურადღება და ხმაური. მაგრამ ავტორი ფაქტობრივ მდგომარეობის კონსტატაციას არ გასცდენია. ასეთი მნიშვნელოვანი ესთეტიკისისაგან კი მოსალოდნელი იყო თითოეული ორიენტაციის იდეოლოგიურ საფუძველთა განაღწევა და დიფერენცირებული გარკვევა, თუ რთმული როგორ მხარდაჭერას იმსახურებს.

საკითხის ისტორიისათვის კავანმა გაიხსენა გორკის და ფადეევის თვალსაზრისი სამჭოთა ხელოვნებაში რეალიზმისა და რომანტიზმის სინთეზის შესაძლებლობის თაობაზე. მაგრამ

მან არ განამარტა ცნებათა — „რომანტიზმისა“ და „რომანტიკულს“ შორის განსხვავება. კამათში მონაწილეთა სტატეტიკების მიხედვით ეს უნებლიედ გამოიყვანდა, რომ საჭოთა-ხელოვნებათმცოდნეობაში დღემდე ძლიერია თვალსაზრისი რეალიზმის რომანტიზმთან სინთეზირების შესახებ. როგორც ჩანს, ზოგიერთი ჩვენთავანი ანგარიშს ვერ უწევს იმ გარემოებას, რომ საჭოთა ლირიკისსიცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობის გარეგნურ თუ შეიძლება სერიალური მსჯელობა რეალიზმის სინთეზირებულ მე-19 საუკუნის დასაწყისის ისტორიული აუცილებლობით აღმოცენებულ რომანტიკულ თან, დღეს უკვე ამისი განმეორება, მეტი რომ არ ითქვას უხერხულია.

კავანის სტატეტიკის არსი შემდეგში მდგომარეობდა: სოციალისტური რეალიზმის „მკაცრი რეალისტური“ ნაკადი ეწყარება ეპიკურილი სინამდვილის ინტელექტუალურ წვდობა და ცხოვრებას ასახავს „უტყუარად“, ისე, როგორც ის არის, ანუ ყოფით ფორმებში, სოლო „რომანტიკული“ უგულებელყავს ეპიკურილი სინამდვილის გულმოდგინე განმეორებას, ფართოდ იყენებს ფანტაზიის განმარტავებულ უნარს და პირობითობას მთელ სისხლში. მაგრამ კავანი „საუთრე“ „რომანტიკულ“ მიმართულებას „მკაცრი რეალიზმისაგან“ გამოარჩევს ისეთი ნიშნებით, ურთობისოდაც ვერც „მკაცრი“ და ვერც „ნაკლებ მკაცრი“ ხელოვნება, თუკი ის ნამდვილად ხელოვნებაა, ვერ იარსებებს. აი როგორია ეს ნიშნები:

«...романтическое мироощущение, — წერს კავანი, — отвечает духовным запросам, потребностям устремлениям советского человека не в меньшей мере, чем строго реалистическое. Эмоциональный порыв, способность переживать трагедии мироздания и одновременно углубляться в интимнейшие сферы внутреннего мира личности; способность человека ощущать свою слитность с природой и одновременно утверждать духовность как высшее и специфически человеческое качество, доверие к воображению, фантазии, мечте и утверждение высокой ценности их созидательных, творческих возможностей — все это и многое другое, характеризующее романтическое мироощущение, не исключают, а дополняет другую ориентацию сознания — ориентацию на познание реальности в том виде, в каком она конкретно существует, особое доверие, оказываемое разуму, мысли, здравому смыслу».

გამოდის, რომ ე. წ. „მკაცრი რეალიზმის“ ამოსავალი ყოფილა სინამდვილისადმი არა მხატვრულ, არამედ მხოლოდ ინტელექტუალურ დამოკიდებულება და სინამდვილეს იგი წარმოადგენს ისე, როგორი კონკრეტული სახითაც არსებობა მამე დროს, თუ რაიმე სიკეთე შეიძლება გააჩნდეს ხელოვნებას, ყველაფერი „რომანტიკულ მიმართულებას“ დაურქმეობია. „მკაცრი რეალიზმი“ კი კონკრეტული სინამდვილის გონივრული განმეორების ანაზარა დარჩენილა.

კავანის თვალსაზრისი, რომ ხელოვნებაში ამ ორიენტაციათა თანარსებობა გამართლებულა ერთიმეორის გამარავალფეროვნების მოტივით, მოთხოვნა სათანადო დასაბუთებას. ოდენ დასაბუთება ნაყოფს მოგვეცემს იმ შემთხვევაში, თუ ეს მონდება სახვით ხელოვნების „ეპიკო“ თეორიის საფუძველზე და არა მის გარეშე. სასებეთი ვასაგებია, რომ ამ პოზიციებიდან მსჯელობა მოკამათებს უჭირთ, რადგან თეორიის ეს მცენიერება მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია, მაგრამ რა დონეზეც არის, მისი უგულებელყოფა დაუწყებელია, რადგან



სტრუქტურის განვითარების დღევანდელ ეტაპზე წარმოქმნილ პრობლემათა გაუმჯობესება „წმინდა“ ესთეტიკის, ინტორის ან კრიტიკის ფუნქციის არ არის. იგი, პირველ ყოვლისა, საკითხი ხელოვნების „კერძო“ თეორიის საქმეა, რომელიც თავისთავად იყენებს ხსენებულ დარგთა სასაუბროებს. მე სწორედ ამ კუთხით შევეცდები დისკუსიაზე აღძრული საკითხების გაუმჯობესებას.

ერთ ძირითად პრობლემას „მეცერი რეალიზმისა“ და რომანტიკული რეალიზმის ერთდროული არსებობა წარმოადგენს, მეორეს — შესვლულმა მათი ურთიერთ გამადრბების შესახებ. მესამეს კი იმის გარკვევა, თუ რომელ მათგანს უნდა ეფუძვლებოდა უპირატესობა. ამის გარეშე კი, ჩვენი ფიქრით, ამ პრობლემებზე მსჯელობას გამართლებას ვერ მოუძებნი რაზრი ექნება ფაქტების კონსტატაციას, თუ მათ სათანადო შესაფასებას არ მოვახდენთ?! შედსართავი სახელი „მეცერი“ ლობდატონზე მიუთითებს? ასეთი შედარათვის გაზარება იმას ნიშნავს, რომ რეალიზმის ორ მიმართულებას შორის ერთში სრული დომინანტიზმი თუ არა, დომინანტიურ ტენდენციას მაინც იტყულებ? ეს თუ ასეა, მაშინ, როგორ წარმოვიდგინოთ დომინანტიკურის მიერ არადომინანტიკური განაყოფიერება?

ჩვენი ფიქრით, მოკამათებმა ეს დაუშვებს „ყრულის ნელ-ნელა ვადლობის“ ტაქტიკური მოსაზრებებით. რაც გარკვეულ წრეებს მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდათ უარყოფითი, არ თქმა უნდა, იმის ერთი ხელია მოსმით უარყოფა დად სიმძვინვარებთან არის დაკავშირებული. ძველია ისინი დაარწმუნო მათი შესვლულბების სიმცდარეში. გარდა ამისა, განა დისკუსიას შეუძლია უცვარი გარდატეხა მოახდინოს ისეთი მხატვრის, ხელოვნებისმოყვანის თუ მოყვარულის შესვლულბებში, რომელიც აზროვნება, მსჯელობის ისე, როგორც თავიდან ურწმუნია და დიდი ხნის მანძილზე ფიქრბრებულ გემოვნებით განწყობა შემუშავებია?

ესადაი, ჟურნალი „ტვირთვების“ დისკუსიას თანაბარი წინაწინებობა აქვს ყოველი რესპუბლიკის ხელოვნების მოღვაწეთათვის, რადენადაც მასში აღძრული საკითხები ყველას აღუღებს. მართალია, ჰართულ ხელოვნებისმოყვანებში „მეცერი რეალიზმის“ სახელით აზავის მოუხსენებია სახითი ხელოვნების ის ნაკადი, რომელიც არსებითად იგივე ნიშნებით მსასათლებოდა, რთაც კავანა ახანათებმა, მაგრამ იგი კარგა ხანს მხატვრული აზროვნების აშკარა დაბრკობებს არ წარმოადგენდა, საქმეში ჩახედულ ადამიანებს ეჭვი არ გაბრბობდა.

ახლა, ჩვენდა საბედნიეროდ, მხოვანი ემპირიზმი, რსაც „ტვირთვების“ დისკუსია „მეცერი რეალიზმად“ იხსენიებს, ჰართულ ხელოვნებაში იმდენად მაინც არის დაძლეული, რომ დროებითრსა და ნორმების დამწესებლის ფუნქციები ჩამორბეულია აქვს. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, თითქმის იგი აკადემიზმის „მალაი“ პოზიციებიდან გულწრფელი ნიჭბრების წინააღმდეგ ძალმობრებაში არ მქდაუნდებოდეს და ჩვენი ხელოვნების განვითარებას ხელს არ უშლიდეს.

ნიშანდობლივია, რომ ე. წ. „მეცერი რეალიზმი“ დასაყრდენს, როგორც სხვა რესპუბლიკებში, ისე ჩვენთანაც სამხატვრო სასწავლებლებში პოულობს. ეს ერთგვარი რეაქცია იმ „მის აყოლილი“ ახალგაზრდობის საპირისპიროდ, რომელმაც ამასთანა, ჩამორჩენილი მხატვრად ჩათვლიდა, მიდგომისნიშნადმი თავისი „ასლო ნაცნობობა“ თუ არ ვგომოჩინა. მოსწავლისა და მასწავლებლის ასეთი დაპირისპირება, საშუაბ-

როდ, ხატვისა, ფერწერისა თუ ძერწერის სწავლების მეთოდებისა მთერ უკიდურესობისაკენ გადახრას იწვევს, რაც „ნატურის“ მორჩილად განმორჩენბი გამოისატება. ეს კი ასახლებრბობსა აქტიური შემოქმედბებითი ძალების დაბრკობებას ნიშნავს. ზოგს შეიძლება ვგონოს, თითქოს სწავლების ასეთი მეთოდი ნაკლებად მავნეა, ვიდრე მოდერნიზმის ბრმა მიმბმდელობა. ახალგაზრდობისათვის ორივე მავნე და ბრბევანი შესამე უფრო სწორ მეთოდზე უნდა შეხერდეს.

ჩვენი ოდნავადც არ გვაკვირბებს, კავანმა სოციალისტური რეალიზმის იმ ფრთისადმი რომ გამოხატა თავისი სიმბათობეი, რომელიც დამოკიდულად გამოირჩევა სინამდვილისადმი რომანტიკული პრინციპბებებით. ოღონდ არ შეგვიძლია დავეთხსნოთ მას, თითქოს XX საუკუნის 70-იანი წლების ხელოვნებაში ჯერ კიდევ გამართლება ჰქონდა მიმართულბებს, რომელიც სინამდვილისადმი პოეტური დამოკიდბულბებისაგან დაცილებულია და „რეალიზმის“ სახელს მაინც „ომსახერბებს“. პოეტური დამოკიდბულბების გარეშე ხელოვნება არ არსებობს, ხოლო რეალიზმი „მეცერი“ იქნება თუ „ნაკლებად მეცერი“. ხელოვნების გარეშე ვერ იარსებებს. ეს ჰქმნარიტება კავანმა არავიზე ნაკლებ არ იცის. მაგრამ ასეთი შეუსაბამობა ალბთ იმისათვის დაღუშვა, რათა მსჯელობის საგნად გახდებოდა იმ საკამოდ ფსევდოდარი შემეღბლების უმართებლობა, რომელიც ცდილობს არაპოეტური ხელოვნბის სიღიადბში დავგარწმუნოს.

ძველად იტყობდნენ: „ყველა გზა რომში მიდისი“. სწორედ ასეა ჩვენი ხელოვნების პრინციპულ ნაკლოვნებათა ძიების საქმეც. ის შეუსაბამობებანი, რაც თვით დისკუსიის მსვლბობაში შევანდებო და პრაქტიკულად არსებობს შემოქმედბების, მასწავლო, თუ ხელოვნებათმცოდნეობის სფერობებში, შემდეგი ძირფული გავგებობებიდან მომდინარეობენ:

ამაგვან ერთი უძირთადგვია სამყაროს შემეგნებასთან ხელოვნების დამოკიდბულბების საკითხი. ვიდრე ამის სხვადასხვა ასპექტს შევეჩბოდით, არ შეიძლება არ აღინიშნოს ცნებების უმართებულ აღრევის შესახებ, რაც თითქოს ნორმადაა ქცეული ხელოვნებათმცოდნეობაში. მხედველობით მაქვს ცნება „შემეგნება“ ერთი და იგივე წინაწინებობით ხმარება შენეიერებისა და შემოქმედბების მიმართ. მწერალს, მხატვარსა თუ კომპოზიტორს, ბოტანიკოსს თუ ფიზიკოსს ბუნების „შემეგნებას“ თანაბრად მიავრჩენ. რა მტკიცება უნდა, რომ მეცნიერბების მიმბაოვარ ყველა თვისებებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს ბუნებისმეტყველის მსგავსად, მხატვარიც ბუნების შემეგნებას ისახავდეს უშუალო მიზნად.

ბუნებისადმი ხელოვნების დამოკიდბულბა ორფენოვანია: ერთ-ერთი მეთოანი ინტელექტუალური და შემეგნებითია, რადენადაც საბუნებისმეტყველო მეცნიერბებთა მიღწეების ათვისებას ეხება. ანდნად, ხელოვანი „ომხმარბებელი“ უფროა, ვიდრე მომბოველო.

ხელოვანს ბუნებისადმი დამოკიდბულბების ისეთი რაკურსი აქვს, რომელიც არსებითად განსხვავდება ბუნებისმეტყველების დამოკიდბულბებისაგან. ჰქეა-ჰქუხილისადმი მიმართების ცნობილი მავალთი რომ გავისენთო, ნათელი გახდება ეს აშკარა განსხვავება: მაშინ, როდესაც ჰქეა-ჰქუხილი ფიზიკოსისათვის ატმოსფეროში მიმდინარე ელემტრული განმუშტვება, მხატვრისათვის — ფრთით კონტრასტების ელემტური სანახაობა, კომპოზიტორისათვის — სმიფერი კონტრასტების საოცრება. ამავე დროს, შესახებებლია, არც მხატვარსა და არც კომპოზიტორს არა თუ შემეგნებელი, საკმარისად გაცნობი-

რბულიც არ ქონდით ქვეა-ქულიც, როგორც ფიჭვიანი კვლევის საგანი იგივე თქმის დიდი სოციალური წინააღმდეგობებისადმი ხელოვნების დამოკიდებულებას შესახებაც. როგორც ყოველთვის, აქაც მისი მიზანრიგია ესთეტიკურია და იგი თავის თავში შეიცავს სამყაროს „გაცნობიერებას“ ან „მხატვრულ წვდომას“, შედარებით ნაკლებად კი „შემეცნებას“.

შემეცნებების სამყაროს გაეცნობიერების ორი ეტაპის გარჩევა შეიძლება მოხერხდეს: ერთში უნდა იკვლიდნენ მხოლოდ სინამდვილისადმი ხელოვნების დამოკიდებულებების ე. წ. „პროფიგურატიული ეტაპი“. მეორეში — უკვე წამოყალიბებული ნაწარმოები, როგორც სამყაროს შესახებ ინფორმაციის გარკვეული ფორმა, ანუ, აღმქმელი სუბიექტის „შემეცნების“ წყარო (სხვათა შორის, ხელოვნებაში „შემეცნებაზე“ როცა მსჯელობენ, რატომღაც, უმეტესად სწორედ ეს მეორე ასპექტია აქვე მხედველობაში). მაშასადამე, ერთი საქმეა, თუ რამდენად აქვს გაცნობიერებული მხატვარს გარესამყაროს რთული სოციალური, პოლიტიკური, თუ ბუნების ცვალებადობის პროცესები, ხოლო მეორე საქმეა, თუ რამდენად შეიძლება გამოდგეს მხატვრული ნაწარმოები „მომხმარებლისათვის“ იმავე პროცესების გაცნობიერების წყაროდ.

სულ ორიოდ წლის წინ, მწერლის მიერ სამყაროს შემეცნების სახეობებს „ვობისი ლიტერატურის“ ფურცლებზე შემოხ. მ. მოტილიოვა. მან წამოაყენა დებულება მწერლობაში, „ბოლომდე შეუმეცნებელი“ სამყაროს ასახვის უფლებამოსილების შესახებ, „მხატვარი (რომელიც სხვათა ნაწარმების დასუსტებით კი არ გამოყოფილდება, არამედ დამოუკიდებლად აზროვნებს), რომელსაც ეპოქის დიდ სოციალურ კონფლიქტებში თავის ადგილი მკვიდრად და ურყევად აქვს სხასდაული, — წივის მოტილიოვა, — ადამიანის ცხოვრების შესახებ სხვა სფეროში სვდება რთულსა და თვითონ მისთვის ბოლომდე გაურკვეველ პრობლემებს, რაში გარკვევაც საკუთარ ნაწარმოებში ცდილობს. იგი არც თუ იშვიათად აწყდება იმეთ საკითხებს, რომელზეც შევნიშვებ, ან (კერძოდ — ო. ფ.) ისტორია ჯერ ვერ იძლევა საბოლოო პასუხს“¹. ამ მსჯელობის საფუძველზე მოტილიოვამ წამოაყენა თეზისი სოციალისტურ რეალიზმში „შემეცნებელი სამყაროს ასახვის უფლების“ შესახებ.

ჩვენს ლიტერატურასა თუ ხელოვნებამოცილებობაში კარგად რომ იყო გათვალისწინებული ის განსხვავება, რაც სინამდვილის შემეცნებასა და სინამდვილისადმი მხატვრულ დამოკიდებულებას შორის არსებობს, და რაც ქართულ ესთეტიკურ ლიტერატურაში დიდი ხანია გაირკვა², მაშინ სინამდვილის შემეცნებლობაზე მსჯელობაც სრულიად უსაფუძვლო და გაუმართლებელი გამოჩნდებოდა. ახლა კი მოტილიოვას აზრი ჯერაც პრინციპულად მნიშვნელოვან თვისადაა მიჩნეული³.

კულტურის ისტორიიდან განა რომელიმე ქმნილების დასახელება მოხერხდება სამყაროს შემეცნების ეპოქალურ დონეს ენციკლოპედიური სისასიით რომ ემყარებოდეს? რამდენად არასაყაროა და სასოგადოდებრივი ცხოვრების შემეცნება არასოდეს ჩერდება, იგი პროცესია და შეიცავს უამრავ შედარებით ქვეშარტილებს, რომელთა დაზუსტება და ახსნა-

ტურ ქვეშარტილებად ქცევა არასოდეს შეუწყდება. ასე რომ არც ერთი ეპოქის მწერლისა თუ მხატვრის შემეცნების დონე ახსნალოტურით არ ყოფილა და ვერც იქნებოდა. მხატვრული ეპოქის ხელოვანი მუდამ „ბოლომდე შეუმეცნებელ სამყაროს“ ასახავდა. ჩვენი ეპოქის დიდ სოციალურ კონფლიქტებში თავისი ადგილის მკვიდრად მონახვა კონფლიქტების არსებობა ჩაწვდომის ისეთ ხარისხს ნიშნავს, რაც ხელოვნების ეპოქებურ პოზიციას გარკვეულობას ანიჭებს. ხოლო ეს თუ მიღწეულია, მისთვის ფარეოლოგიის, „სატრონომის“ ან თუნდაც თვით სოციალური მეცნიერების ლაბირინთებს ში „ბოლომდე“ ჩაწვდომა, არა თუ აუცილებელი არ არის შესაძლოა ხელისშემშლელიც კი აღმოჩნდეს.

მხატვრული ნაწარმოები, როგორც „შემეცნების“ წყარო, პოპულარული ასპექტია და იგი იმდენად ანგარიშგასაწევი რამდენადაც მხატვარს ეპოქის რთული სოციალური კონფლიქტების მიმართ შეუძლია თავისი, მსჯავარი“ გაჯივრებით და ასე თუ ისე, „საკუთარი“ პოზიციისაგან გადაგაბინოთ.

ამდენად, როდესაც მხატვრული ნაწარმოები შემეცნებით აღიერებლობაზე ლაბარაკი, ეს ასპექტი უფრო მეტადაა ანგარიშგასაწევი.

მხატვრული ნაწარმოები „შემეცნებითი“ ფუნქციის შესახებ ყველაზე პრინციპულსა და უზრთველად თვალსაზრისწარმადგენს მისი საშუალებით უმოკერული და ბიოლოგიური სამყაროს საგნათა გაცნობიერება. ასეთ შემთხვევაში ნაწარმოებს მხოლოდ ცნობარისა და ინფორმაციის მნიშვნელობა ენიჭება. „მკაცრი რეალიზმის“ მიმდევართა უძირათესაეს შედეგობა ხელოვნებისათვის სწორედ „ცნობარის“ ფუნქციის მინიჭებაა.

ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ „მკაცრი რეალიზმის“ მოყვადგენს თავიანთი პოზიციის ორთოდესალურ მარქსიზმად მიანიჭა და თვითდაჯერებულებში ზოგჯერ სხვათა დარწმუნებასაც ახერხებდა. სინამდვილეში მათი ფილოსოფიური ამოსავალი ემპირისტული მატერიალიზმისა და ობიექტური იდეალიზმის ნაერთია. რამდენადაც ისინი ვრძნობდ-საგნობრივ სინამდვილეს ყოველივეს ამოსავლად მიიჩნევენ, მატერიალიზმის ნივადგუზ დღანან მკარამ რადგანაც იდეებისა და აბსტრატიერების როლს შემოქმედებაში ანგებიდად უგულებელყოფენ, დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს სცილდებიან (როგორც ცნობილია, ემპირისტული მატერიალიზმი მე-18 საუკუნეში განვითარდა. იგი მარქსიზმის კლასიკოსებში ცალმხრივობის გამო უარყვეს). სხვათა შორის, ემპირისტული მატერიალიზმი, ხელოვნების დარგთა შორის, ყველაზე უკეთ მოკალათებას სწორედ სახთვის ხელოვნებაში ახერხებს, მისი სპეციფიკური ფიგურატიულობის გამო.

ე. წ. „მკაცრი რეალიზმის“ შეხვედრის წერტილები მოქმედება ობიექტური იდეალიზმის გარკვეულ მიმდინარეობასთან, კერძოდ იმ მიმდინარეობასთან, რომლის თვალსაზრისით მშენიერება სამყაროში ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ხოლო მხატვარს არსებითად „გამოღობის“ ტექნიკის დაუფლების მეტი არაფერი მოეცნებება. ზოგჯერ თვალსაზრისით, მშენიერების ობიექტურად არსებობის აღიარების მოტივით, ქვეშარტილად მარქსისტული ჰგონია. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისის გამზიარებლობა აიწყვედება, რომ მშენიერება იღება და მას ადამიანისაგან დამოუკიდებელი არსებობა არა აქვს. მშენიერების ობიექტურად, ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობის მალაირებულებს ალბათ არც კი ჰგონიათ, რომ უნებლიეთ ობიექტურ იდეალიზმს უახლოვდებიან, მათ,

¹ «Вопросы литературы», 1972, № 5, стр. 47.
² ე. წ. კვებაძე, ესთეტიკის საკითხები, თბ. 1958, გვ. 104—121.
³ იხ. მაგალითად, «Вопросы литературы», 1974, № 7, стр. 5.

როგორც ჩანს, ბოლომდე კარგად არა აქვთ შეშენებული, რომ სოციალურად იდეა, და მათ შორის მშენებებისა თუ სილა-
მანის იდეა, ადამიანის რთული სოციალური აქტივის მო-
ნაპირისა; იგი ადამიანს ეკუთვნის და მის გარეშე არსებობს
არ შეუძლია. ესეტიკოსთა და ხელოვნებთმცოდნეთა ეს ფრთა
მშენებების პლატონსა და პეტელონი მატერიული სამყა-
რის გარეთ კი არ იგულებს, არამედ ბუნების თვისებებს მიიჩ-
ნის და პტონს, რომ ეს საკმარისი საფუძველია ობიექტური
იდეალისთვისაგან მკვეთრად გამოიჯინათვის. ნაგრამ თვითონ
ის გარეობა, რომ მშენებება სოციალური არსების ადამიან-
ის გარეთ ეგულება და მას ბუნებისაგან დიალექტიკურ ერთი-
ანობაში წარმოშობილ ადამიანურ იდეად არ განიხილავს, ეს
მარქსიზმი კი არა, მისი ვულგარისაციაა.

ასეთ თვალსაზრისზე მდგომია მთავარი შეცდომა ისაა,
რომ ისინი ბუნებას, როგორც ადამიანის სილამაზის გრძნობის
ჩამსახველსა და მადმივ სტრუქტურის, ხელოვნების სოცია-
ლური ფუნქციისაგან საკმარისად ვერ ანახვავებენ. მათი წარ-
მოშობით, მშენებება ბუნებაშია დაბუდეული, ადამიანი კი
სუფთა დაფაა, რომელზეც ბუნების მშენებება აიწყობება.
ვერ თვითონ წინდები, რომ მას მერე, რაც „ადამიანს ოთხზე
ფორხების ნაკვად ფეხზე დაიწყო საიარული და აკარჯანად
იდეები გაიხიდა“ (მ. გორკი), მას მშენებებისა იდეა წარ-
მოექმნა, რომელიც თანდათან ბუნებრივ მოთხოვნილებად
გადაქცა. ახლადდაბადებული ბავშვიც კი სულ სუფთა დაფა
არ არის. იგი მოქმედებს, თამაშობს რიტმობა: მასში შთა-
მოშავლობითაა გადმოტყეული რიტმის გრძნობა და საჭიროდ
შეშოქმედებისადმი შინაგანი მზაობა. ამ ფენომენს აკადემი-
კოსა და უნაქამე ბავშვის „ფუნქციონალური ტენდენცია“
წოდებ, ხოლო პროფ. ვ. ქვამაიას, სავეტინო მართებულად
იგი ესთეტიკის პირობებებს მოხსილავს.⁴

ემპირისტული რეალისმის⁵ წარმომადგენლებს თითქოს
სჭირდება შესენება, რომ ხელოვნება გამობატავს არა ბუნე-
ბისა და სავენების ინტერესებს, არამედ სოციალურს, სასოგა-
დღობრებს, ადამიანურს; რომ ხელოვნანი საგნება და მოღვე-
ნებს მიმართავს არა თვითმიზნურად, არამედ ადამიანური
ინტერესების გამოსათქმულად. ხელოვნების ფუნქცია ადამი-
ანური იდეების ქადაგებაა. ამ მიზნის მისაღწევად იგი ფანტა-
ზიის ძალა მიმართავს და ბუნების ემპირიული ნორმების
გადაკეთებას არ ერიდება. ასეთი „გადაკეთება“ ოდითგანვე
შუათავრება პოზიტურ-ესთეტიკურ ხელოვნებს ენსახეობდა,
მაგრამ იმპირიზმის ეპოქის სიბი დადგარის, როდესაც
„გადაკეთების“ ნეგატიური ასპექტი მოჭარბდა და „სომისი-
ქის“ ესთეტიკას დადო საფუძვლად. მათგან პირველ სინამდ-
ვილის ტრანსფორმაცია ეწოდება, მიორეს კი დეფორმაცია.
„მკაცრი რეალისმი“ მიმდევრთა ბრძოლა დეფორმაციის
წინააღმდეგ უნებლიეთ ტრანსფორმაციასაც იწინავეს, როგორც
ყოველგვარი ტუმარტივი ხელოვნების პრინციპა. ასეთ ვითა-
რებაში ფანტაზიის, განსოგადებისა თუ ტიპისციის შესახებ
დაპირაკი ლიტონ სიტყვად რჩება. შემოქმედებაში ემპირისტუ-
ლი მეთოდის შეუსაბამობის აღიარებას და დაძლევის, ჩვენის
აზრით, ხელს უშლის მცდარი შეხედულება, თითქოს ხელო-
ვნება შექმენების სფერო იყოს; რომ იგი სინამდვილასადმი

მიმართებაში ვითომც მენიერებისაგან არსებიადა არ გამო-
იწროვდეს, თავისი რაგურის არ ჰქონდეს. ამავე დროს არავის
გვეჩი არ ეპარება, რომ ხელოვნება არ იკვლავ არაფერს, არაფერს
მისი საშუა სიღრმისივე ადამიანური ინტერესების წინა-
დროული ესთეტიკური იდეალების მიხედვით გამოთქმა. ბევრი
ჩვენგანი ცნება „სინამდვილეს“ მაინც მიმართებულად გან-
მარტავს, სინამდვილის მეცნიერულ და სინამდვილეს მსატ-
რულ ასახვას შორის პრინციპულ-შინაარსობრივ განსხვავებას
ვერ ხედავს.

მეცნიერებაში „სინამდვილეს“ თვითონ მეცნიერის ემოციე-
ბისაგან თუ დამოკიდებული არ არის, „სინამდვილეს“, როგორც
ხელოვნების საგანი, ასეთი დამოუკიდებლობით არ არსებობს,
„მსატრულ სინამდვილეს“ იგულისხმება თვითონ ხელო-
ნიც. უფრო მიანსებლად, ესაა კონკრეტული ხელოვანის მიერ
თავისებურად აღქმული რეალთა. კიდევ მეტად, ესაა ობი-
ექტური რეალთის შესახებ გამოთქმული მსატრული შეუ-
დულება პრინციპული, მოქალაქობრივი, სინამდვილად ადა-
მიანური ინტერესების მიხედვით. ზოლო ვინაიდან ნაწარმო-
ების საფუძველს წარმოადგენს არა ის, რაც თავისთავად
არსებობს, მსატრის ნებასერვილისაგან დამოუკიდებლად; არ-
ამედ ის, რისი თქმაც სრულად არსებულს შესახებ, ატვობთ თა-
ვისი ნაწარმოების სრული „უფალია“. როგორც განზარხვაც
აქვს, სათქმელს ჩამოაყალიბებს. ასეთი „თავებისობის“ უფ-
ლებას მსატრის აძლევს ის იდეური მიზანსწრაფვა, რაც ეს
სასოგადობრივი ურთიერთობის რთულ პერიოდებში ადგე-
რია. მაშინ, როდესაც მეცნიერებისათვის სავენებს ფაქტობრივ
არსებობა აქვს, მსატრული ნაწარმოების კომპონენტებს შეიძ-
ლება ასეთი არსებობა არ განჩინდეს, მაყურებელზე გარკვეუ-
ლი ზეგავლენის მოხდენისათვის შეიხსნის იფენი. ძველ
ბერძნებს აზრად არ მოუვიდოდათ, რომ კონტარების არსე-
ბობა მეცნიერული მტკიცების სავენად ექცათა. ადამიანის მეც-
ნიერულ კრიტერიუმებით არ შემოიწმება ადამიანის სახე-
რად გარდაქმნის შესაძლებლობა; ცხრაიავანი დევების თე-
მაზე შექმნილი მსატრული ნაწარმოები სოლოგოთა კვლევა-
ძიების შედეგად არ წარმოშობილა.

არ არის საჭირო მავალითების კორიანტლის დაყენე-
ბისათვის, რათა მათელი გახვედს, რომ ცნება „სინამდვილეს“
ხელოვნებაში ემპირიულ-ობიექტური არსებობის მნიშვნელობა
არ აქვს. ამ ელემენტარულ ტუმარტებას არაკრთი ხელოვნე-
ბისმცოდნე ივიწყებს და „მსატრულ სინამდვილეს“ ემპირის-
ტული კრიტერიუმებით „ამოწმებს“.

მსატრათა ის კატეგორია, რომელსაც კვანი „მკაცრი
რეალისტების“ სახელით იხსენიებს, სწორედ ისინია, რომლებ-
საც „მსატრული სინამდვილეს“ ბუნების ან სასოგადობრივი
ცხოვრების ასლებად მიჩანიათ. მათი თვალსაზრისით, მსატრა-
ნი ემპირიულად არსებულს გადმოხატავს და „გამოა“ ხელო-
ვნებაში. ასეთ „ხელოვნებაში“ გადამწყვეტი გადმოხატვის ტემ-
ნიკაა და, აზენად, ნაწარმოების დორებულების ერთადერთი
კრიტერიუმი აკადემიური განსწავლულობის ღონეა. ასეთი
კრიტერიუმით თვითურეს უნიტობას შეიძლება „უპირატესო-
ბა“ მიეყოს უკეთ შთავაზნებით სასვე ფორმისათან შედარე-
ბითაც კი. ამითივე იყო გამოწვეული ლადო გუდამვილის
უარესად ერთეული და ობიექტშით ასახვე შემოქმედების
დეკადენტობად მიჩნევის შემთხვევები. ესაა სავენების აკადე-
მიურად განმარტების თავის თავში დაჯერებულ შეადგებულ-
თა „კონცეფცია“, რომელიც მარქსისტულ-ლენინური ესთე-
ტიკის მომავის გულწრფელი სერიფილი, მის უნებლიე ვულ-

4. დ. უნაქამე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ. 1940, გვ. 493, შ. ვაბე-
ლია, ვ. ქვამაია, ესთეტიკურის სოციალური არსი, თბ. 1965,
გვ. 196-207.

გარჩევის ეწვეა. სრულებითაც არ არის სავალდებულო, რომ ხელოვნების მსაკულის თვითონაც შეეძლოს მხატვრული შემოქმედებით მოღვაწეობა, მაგრამ კონკრეტული ხელოვნების ენა უნდა ფლობდეს, ამ ენაზე უნდა აზროვნებდეს. სულწაბრად, სახვითი ხელოვნება, თავისი ფიგურატულობის გამო, ზოგ ჩვენგანს, ყოველმხრივ „დასაგებ“ დარგად მიაჩნია; მუსიკის არაქმისათვის მსიკალური ყური რომ აუცილებელია, ცხვეარ აკაბრება, სახვითი ხელოვნების აღქმისათვის კი ჰგონია, რომ მხატვრული თვალის „აუცილებელი არ არის“. რომ სახვითი ხელოვნების ქმნილებას ყოველგვარი ნორმატული ანატომიური თვალის „ეკონომიკა“ აღიქვამს. ეს შეხედულება ხელოვნების მთავარ ფუნქციად ინფორმაციის მიწვევას ემყარება. მართალია, სახვითი ხელოვნების მრავალი პირველ-სარისკოვანი ნაწარმოების დასახელება შეიძლება, რომელთა ერთ-ერთ ნიშანს ინფორმაციულობა წარმოადგენს. მაგრამ, ჯერ ერთი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინფორმაციულობა სახვითი ხელოვნების ძირითადი თვისებაა, და მით უმეტეს, არც იმას, თითქმის იგი ადამიანის მოღვაწეობის სპეციალურ-სათვის უცხოა და სახვითი ხელოვნებისათვის კი სპეციფიკური და უმთავრესი. ხოლო ვინც ასე ფიქრობს, იგი იღვას მნიშვნელობას უგულებელყოფს და მის ფუნქციას სიუჟეტის მიაჩნის. ამავე დროს დარწმუნებულია, თითქმის სიუჟეტის „წაკითხვა“ მხატვრული ფენომენის აღქმა-შეფასებისათვის სასებებით საკმარისი პირობაა.

დიდი ხანია ცნობილია, რომ ჭეშმარიტი ხელოვანი, როდესაც ბუნების რომელიმე კონკრეტული მონაკვეთის სილამა-ზეზე „მოვიხირობს“, მას გადმოვიქმს არა ისე, როგორც იგი მხატვრის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლად არსებობს, არამედ ისე, როგორც თვითონ მხატვარს ესახება. რეციტიონტის მდგომარეობაში მხოლოდ უკიდურესად პასიური ნიჭი შეიძლება აღმოჩნდეს. ნიჭიერი მიმართება აქტიურ შემოქმედებას გულისხმობს, იგი ბუნების კონკრეტულ მონაკვეთის აღმქმელი ესთეტიკაა, მაგრამ თვით აღქმა რეციტიონტული კი არა, არამედ აქტიური ინტენციის სასიათისაა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მხატვარი ფოტოაპარატის ობიექტივით კი არ გადმოვიქმს, რაც არის და როგორც არის, არამედ იმას, რასაც ექ თავისი სულიერი მდგომარეობის შესაძლარს და საინტერესოს გულისხმობს. ამდენად, მხატვრული ნაწარმოების ამოსავალი მხატვრის სოციალური განწყობის პირადული მიმართება და არა ბუნება თავისთავად.

ბუნებისადმი ადამიანური დამოკიდებულება საერთოდ სოციალური ინტერესების გამოვლინების სფეროა. მაგრამ იგი ერთნაირი არ არის გეოლოგიისათვის, აგრონომისათვის, ასტრონომისათვის, ანდა მეტყვევებისათვის. კულტურის სათანადო დონეზე არც ერთ მათგანს არ უნდა აკლდეს ბუნებისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება, მაგრამ ბუნებისადმი ხელოვანის ესთეტიკური დამოკიდებულება, მაინც განსაკუთრებულია — მის სოციალურ პოზიციას მკვეთრად ესთეტიკური რაკურსი ახასიათებს.

სინამდვილისადმი მხატვრის ესთეტიკური რაკურსის ე. წ. „მეცერი რეალიზმი“ არ უარყოფს. მაგრამ საქმი ისაა, რომ სინამდვილისადმი ხელოვანის ესთეტიკური დამოკიდებულება მას ესმის, როგორც ემპირიულად არსებული საგნების „მარჯვედ განმეორება“ და „შეღამაზება“. პეისაჟისტებს შორის მარჯვედ განმეორებულთა კატეგორიაში შეიძლება დასახელება შიშვინისა, ნაწილობრივ ბარბიზონის სკოლის მეთაურის თ. რუსოსი. განმეორების უარყოფელთა შორის კი ისეთი

ნიჭიერი პეისაჟისტებისა, როგორც იყო კუნჯი, ლევიტანს კიორ და სხვ.

ჩვენი დროის მხატვრებს შორის მარჯვედ განმეორებულთა შორის ყველაზე ტიპური წარმომადგენელი იყო ლევიტანოვი.

რა არის მარჯვედ განმეორებულთა ძირითადი ნიშანი? ესაა სინამდვილის გარეგნურობის „სწორი გადმოხატვა“. უარყოფითლთა ძირითადი ნიშანი კი არა სწორი, არამედ საინტერესო ხატვაა.

როგორც ვხედავთ, სწორი ხატვა და საინტერესოდ ხატვა ერთი და იგივე არ არის. შეიძლება ნახატი სწორად წარმოედგინებდეს ემპირიულად არსებულ საგნებს, მაგრამ არავითარ მხატვრულ იდეას არ განასახიერებდეს და ამიტომ ინტერესს არ იწვევდეს. სხვა კი ობიექტურად არსებულ საგნებს ასხვა-ფერადედა და დიდ ინტერესს იწვევდეს. ამის საილუსტრაციად საკმარისია დავასახელით მიქელანჯელოს, გიოანის, რუბენის და მრავალ სხვათა ფიგურები, რომელნიც ნორმატული ანატომიის პროპორციებს ძლიერ არიან დაცილებულნი, ანუ მხატვრული ტრანსფორმაციის (და არა დეფორმაციის) ბრწყინვალე ნიმუშებია.

რით არის გამოწვეული სინამდვილისადმი ასეთი ორგვარი დამოკიდებულება? რატომ საქმით არ უწევს „მეცერი რეალიზმი“ ანგარიშს კლასიკური მემკვიდრეობის გამოვლილებას. ვიდრე ამას ვუასახებდეთ, უნდა შევიხიროთ, რომ „მეცერი რეალიზმი“ წარმომადგენლები „გვარწმუნებენ“ თითქმის სინამდვილის გარდასახვას ემხრობიან და ამას ჩვეულებრივ განმარტავენ როგორც „კონკრეტული ტიპურის დანახვის უნარს“. მაგრამ ვერ თვალისწინებენ, რომ გვირის განსახიერებისათვის ბევრად მეტე მოქმედება საჭიროა, ვიდრე კონკრეტული ტიპურის „დახასია“. ერთი საქმე შენ „ხელოვნება“ და მეორე კი სხვადასხვა დახასიანება და არსებობა. კონკრეტული ტიპურის ხილვის უნარი იმას ნიშნავს, რომ შენ, როგორც ხელოვანი, ახერხებ იმას, რასაც სხვა ვერ ახერხებდა. როგორ ვინდა, ის, რასაც სხვა ვერ ახერხებდა, კონკრეტული სასიკური განმეორებით, ანუ მხატვრული გადაჭარბების გარეშე და ანახევი.

ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაშიც ბევრჯერ შეხებინა რეალიზმის პრინციპებს და ეტალონად გიგო გაბაშვილის შემოქმედება დაუსახელებიათ, იმ მოტივით, ვითარც ტრაღიკონის ენკელისებური განმარტების, ანუ „ტიპურის რეალიზმით ვითარებში ასახვის“ ნიმუშად შეიძლება იქნას მიჩნევა. ეს თვალსაზრისი ობიექტურ ვითარებას არ ემყარება. გიგო გაბაშვილი თავისი დროის უდიდესი ქართველი ოსტატი იყო. მისი დიდი დამსახურება ისიცაა, რომ მიუხედავად მოწვევით მარცხენე ახალგაზრდობის იგი ცოცხალი სინამდვილისადმი პატივისცემის სერიოზულ მაგალითს აძლევდა. ამ თვალსაზრისით, გაბაშვილმა რეალიზმის ხელოვნების განმარტებისადმი დიდი როლი შეასრულა. მაგრამ ეს სრულებითაც არ უნდა აძლევდეს ვინმეს საფუძვლად, რომ გაბაშვილის შემოქმედება ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების საბოლოო ინსტანციად წარმოადგინოს. მით უფრო, რომ მას აკადემისტურ-მა აღზრდამ რეალიზტური მეთოდებიდან ძირეული ნიშნები დაკლავ. საკმარისია გავისენთო, რომ ვესვრულთ თმაზე შექმნილი მისი სურათები, რომლებიც მრავალი დღისაგან გამო იმ დროს მსოფლიოს ყველაზე დიდი აკადემისტების შემოქმედებასაც კი არა თუ გაუტოლდებიან, გადაჭარბებენ კი-

დღე, ხეკსურეთის ტიპურ სახეს ვერ იძლეოდა. ხეკსურული ტრანსპონში გამოწეობილი თბილისის „შუბარხელი“ პერსონაჟები ხეკსურეთისათვის სრულებითაც არ არიან ტიპურნი. აქედან ცხადია, რომ ენგელისეული ფორმულა მკვლევარს შეიძლება ლტონი სიტყვად შემორჩეს, ცოცხალი სინამდვილისადმი ხელოვანის მიმართებას სწორად თუ ვერ ვათავსავს წინაშე. ესეც რომ არ იყოს, დღევანდელი მსოფლიოს დაძვირულ სოციალურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებში, სინამდვილის სრულად უმოთხოვლი, ენთოგრაფიული ასახვა საერთოდ ანაქრონიზშია. ჩვენს ეპოქა მხატვრების წინაშე იმპულსურ პრობლემებს აყენებს, რაც უმთავრესია არსში წვდომით ხორციელდება. ამასთანავე, არა თუ ხეგატიური, პოზიტურ-ესოთეტური ხელოვნება ეკ ტრადიციულ ჩარჩოებში ვერ ეტყევა. ისე თამაზად ტრანსფორმირებულ სინამდვილეს ძველი დროის ვერცხვს ქანდაკებაში ვერ ვიხილავთ, როგორც ეს გამოვლინებულია, მაგალითად, ბურდელის „ბეთიფენში“, გუსტავ ზემოს „ბრონცის ძეგლში“, მუხტრეივის „ინდიელში“, ბერტინიფიციის „მედალი“, ამოშველის „რეკლუციონში“ და ასე შემდეგ.

ასეთ გარდატეხათა ფონზე, ანუ როცა ეპოქის მატრული მაკის ფორმა ვერაფრითა კონსერვატუნს ვერ იმეხს, ტრადიციულ ეფორმაში ვერ ეტყევა და ტრადიციის განვითარების საფუძველზე ახალს, უფრო მეტყველ სახეობრივ პრინციპებს უსწავლავს, უსწავლავს საგნთა განმეორება („რედუციახიამ ხეობა“) ანუ არა ანაქრონიზშია. იგი ეპოქალურ მხატვრულ ღირებულებათა კრიტერიუმად ვერ გამოდგება. მაგრამ ეპოქის ახლებურ მაკისცეხას ვინ ჩივის, ე. წ. ეპიპრობული კონცეფცია შემოქმედების ისეთ საფუძველზე უგულებელყავს, როგორცაა ადამიანური ინტერესებისა მხატვრული განხორციელებისათვის ემპირიის მინიმალური ტრანსფორმაციის ფუნქცია.

ხელოვნება სიღრმისეული ადამიანური ინტერესების მხატვრული თქმა. ასეთი ინტერესები საგნების წყდაპირზე არ იკითხებიან; ბუნებაში შუაზარეული ფორმით არ არსებობენ. ამდენად, მათი პირდაპირი განსწორება ადამიანური ინტერესების აუსახელებლად მიგვიყვანდა. მოვლენათა გარეგნობის შეუცვლელად განმეორების მხარდაჭერა ამავე დროს ნიშნავს მოვლენების და მათი არსების მარქვისტული სწავლების უგულებელყოფასაც. როგორც ცნობილია, მოვლენათა გარეგნობაში არსების (ყუხილვა) წყდობა ხერხდება, მაგრამ მოვლენის გარეგნობა ყოველთვის არ ემთხვევა მის არსებას, არსება და მოვლენა ერთმანეთს რომ ემთხვეოდეს, მაშინ ყოველგვარი მეცნიერული ხელმეტი იქნებოდა. — აღნიშნავდა ზ. შარქი. შესაძლებელია ვინმე ფიქრობდეს, თითქმის ეს დებულება მხოლოდ მეცნიერულ შემეცნებას შეეხება და სინამდვილის მხატვრულ წყდობას ეკ არა. ეს ასე არ არის. ხელოვანი მოვლენათა გარე ფორმებში ტერტრებს მხატვრულ არსებას, რომელიც შესაძლებელია არახელოვანიათვის სრულიად შეუმჩვევლი რჩებოდეს.

„მხატვრული არსების“, „მეცნიერული არსებისაგან“ განსხვავების დადგენა ხელოვნების თეორიის ურთულესი პრობლემაა და საკუთარლო სტატისის მოცულობა მისი გახსნის საშუალებაა ვერ იძლევა აღნიშნავ მხოლოდ, რომ მხატვრულ არსება სოციალური ბუნებისაა. ერთსა და იმავე საზოგადოებრივ მოვლენაში ხელოვნებას ერთი მეთრის საპირისპირო არსების წყდობა შეუძლია: იმის მიხედვით, თუ როგორია ობიექტისადმი მისი ადრევე შემუშავებული სოციალური და პირადი

განწყობა. რამდენდაც მხატვრული არსება ხელოვნების მიუკეტებადმი განწყობითაა განსაზღვრული, ამდენად იგი-მხატვრული, ისწორიულად ცვალებადია. მაშინ, რომ დავთვალოთ ბუნებისმეტყველებაში არსებობის კვლევების თვით ანტიგონისტური პოლიტიკური თორენტი ტაციონის მუცნიერება ეკ ერთსა და იმავე კანონსომიერებაამდე მიყავს, ხელოვნებაში ერთსა და იმავე საზოგადოებრივი მოვლენისა არსება შეიძლება ერთი მეთრის საპირისპიროდ სახიერდებოდეს.

მაგალითად, სამამულო ომის დღეებში ფაშისტების მხარეზე გადასული რომელიმე მემორია, როგორც ბიოლოგიური, ანატომიური ან ფიზიოლოგიური მოვლენა, სხვა ადამიანებთანა პრინციპით თუ არ გამოირჩევა, საზოგადოებრივად არსების მიხედვით მათგან დამატრულიად განსხვავებულ შეფასებას დებულდება. ჩვენთვის თუ იგი ზღვის მომგებელი იყო, ფაშისტებში სასიამოვნო ემოციებს იწვევდა; ანირიგად, ერთი და იგივე მოვლენის არსება სულ საგანდასხვა შეფასებას იმსახურებს იმის მიხედვით, თუ რთულ პოზიციაზეა ესა თუ ის შემფასებელი. ამ მხრივ ხელოვნება ყველა სხვა სფეროზე უფრო მახვილ შემფასებელი და მსაგინდებელია.

მოთქვანათ კიდევ ერთი მაგალითი: დაჩაგრულისა და შურაჩეხვილის გამოსარჩებას, წესით, თათქოს, ფოიკურად არა სუსტი, არამედ ძლიერი ადამიანი უნდა ეჩივებოდეს. მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის ასე არ ხდება. პირქით, შესაძლოა ფოიკურად ძლიერს მამართლის აულიერი ძალეში არ აღმოაჩნდეს და გულიერად გაყრებობის როლი ამაოზინოს. სამაგიეროდ, გამოსარჩება იკისრის ასეთი სუსტი გარეგნობის ადამიანსა, რომლისაგანაც ამას არც მოვლოდი და ვერც მოითხოვდი. როგორც ვედავთ, აქ მოვლენისა და არსების, „შეუსაზამობისთან“ გვაქვს საქმე: გარეგნულად ძლიერი, სულთაბაში აღმოჩნდა, სუსტი კი — პირქით. მსგავსი მაგალითის მოტანა მრავლად შეიძლება. ისინი ეპიპრობული პრინციპით, ანუ არსებაში რაუწვილობად რომ ასახო, ფიზიკურ ტუმპირებებს აღნიშნავ, მორალურს კი უგულებელყოფდა ის ადამიანები კრიტიკები, რაც უმთავრესია ხელოვნებაში, სრულიად უგულებელყოფილი აღმოჩნდება. ტუმპირტა ხელოვანის (და არა ფოტოაბარატის) ამოსავალია არსებუნებათა მოჩვენებითი ნიშნები, არამედ არსება. რამდენ ხორცმუსხმისათვის იგი „ენპირიული სიმართლს“ ესოთეტიკური ტრანსფორმაციის წინაშე დგება, რათა „არსებითი სიმართლე“ განახორცილოს.

აქ იწყება სწორედ სახვითი ხელოვნების ძირეული „გაჭირება“ — ფოიკურად ძლიერის სულიერი სიგლახის, ხოლო ფოიკურად სუსტის რაინდული შემართების უნარის ნათელსაყოფად ისეთ ტრანსფორმაციას მიაგნოს, რომ თითოეულის მკაცრი სახიერება შექმნოს.

ყველაზე მარტივი ხერხი, რასაც ეპიპრობტები მიმართავენ, ესაა გვირგვინის პირისახეთა გამომეტყველების კონტრასტული დაპირისპირება.

არსების ამ დონეზე გახსნას თეატრალური ხელოვნებაც ახერხებს. კიდევ მეტიც, თეატრალურ ხელოვნებას თავისი სპეციფიკა იმის საშუალება აძლევს, რომ გვირგვინის ხასიათი დროში და ნამდვილ მოძრაობაში განავითაროს. სახვითი ხელოვნება დროში მკაცრად შემოსაზღვრულია, „მომენტურია“ და აპის გამო ეპიპრობტული მათოდით შექმნილი ნაწარმოები ისეთ დონეზე „იყინება“, რასაც მე-19 საუკუნეში „ცოცხალ

სურათს“ უწოდებდნენ. ეს აკადემიზმის უხეირო მეთოდის შედეგია. სამწუხაროდ, დღეს ზოგიერთი ჩვენთაგანი ქართულ ხელოვნებას სწორედ აკადემიზმის მანიკური მეთოდისავე უწოდებს და „რეალიზმის მწვერვალად“ მიიჩნევს.

ამასთანავე, ჩვენში, არაერთი ხელოვნებათმცოდნე და მხატვარიც კი მოიპოვება, რომელიც თეატრალური ხელოვნებისაგან სახეთი ხელოვნების განმასხვავებელ ნაწინებს მანიკ და მანიკ ვერ არჩევს და „ცოცხალი სურათების“ დღნე სახეთი ხელოვნებისათვის საკმარისი ჰგონია. საქართველოში, სადაც მხატვრულ აზროვნებას ისეთი ტიტანური სიმადლისათვის მიუღწევია, როგორცაა არქიტექტურაში — მცხეთის ჯვარი (VI—VII ს.), მინიატურაში — ასტრონომიული ტრაქტატი (XII ს.), ფრესკებში — ყინფისის მისატულობა (XII—XIII სს. მიჯნა), ხოლო ჩვენს დროში ფირისმანის, ლადო გულდამივილისა და მრავალ სხვათა ხელოვნება, „ცოცხალი სურათების“ დონის მხატვრული აზროვნების ზენიტად მიჩნევა, სულ ცოტა, ქართული ხელოვნების შესაძლებლობათა არა მარტო გათვალისწინებლობაა, არამედ პროფანაციაც.

სოციალისტური რეალიზმის მამამთავარი შაქინ გორაკი საბჭოური კულტურის გარიჟრაჟზეც კი ბევრა ფიქრობდა „მხატვრული გადაჭარბების“ საკითხებზე ლიტერატურაში. „მხატვრული გადაჭარბება“ ყოველგვარი იდეური ხელოვნების აუცილებელი ნიშანთვისებაა, მაგრამ მას განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ჩვენს დროში ენიჭება, როცა სოციალური წინააღმდეგობანი ესოდნე ძლიერა გამოკვეთილი.

სახეთი ხელოვნებას ამ მხრივ სანახაობრივი ხელოვნების ყოველ დარგზე მეტი საშუალებები გააჩნია. შაქინ, როდესაც თეატრალურ ხელოვნებაში შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის გმირს ნორმალური ანატომიის სასურველებს ვერ გადააკლვებ, სახეთი ხელოვნებაში ამის ზღვა საშუალებები არსებობს. მათი გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ იდუის ხორცმესხმისათვის რამდენად ნიჭიერად იყენებს მხატვარი ემპირიულ მასალას. ხოლო თუ არ იყენებს, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს არა მარტო უხეირო შემოქმედებითი მეთოდით, უნიჭობით, არამედ უიდეურობითაც.

მაგრამ ეს ისე არ უნდა გავივით, როგორც დეკადენტური დეფორმაციის მიმბაძველებს ესმით. სოციალისტურ რეალიზმში სინამდვილის ტრანსფორმაცია პროგრესული სამყაროს იდეოლოგიის გამოვლენებაა. იგი პოზიტურ-ესთეტიკურ პოზიციას ემყარება, სიმანიჭური ესთეტიკას პრინციპულად უარყოფს და სამყაროსადმი პოზიტური მიმართების უძველეს ტრადიციებს ანეთარბებს. სულ სხვაა მადეფორმირებელ ბურჟუაზიული ხელოვნების სოციალური უხეირო. იგი გარგუნულად „გპარიალებულ“, მოჩვენების წყრიკში მასინჯი არსების ინტუიტური წვდომაა. ხელოვნათა გარკვეული ნაწილი კაპიტალისტურ სამყაროს მოჩვენებით წესრიგსა და ბზინვარებაში ადამიანის დამცირებასა და გადაგვარების არსებას ჩაწედა და ასახებს ძირითად სავანად გაიხადა. ეს საკითხიც ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში მშვენიერადაა გაშუქებული.⁵ თუმცა, ზოგიერთი ჩვენგანი ამ რთულსა და დრამატისმით აღსაყვე ეპოქალური მოვლენის შემცენებას მის შეუმცენებელ დაცინვას ამჯობინებს.

იქ, სადაც ხელოვნებას სოციალური იდეის მიზანდასახუ-



საქართველოს
წერეთლის
კავშირის
კავშირის

ჩვენში თურნალის მეთხველებმა უკვე **ჩვენს**, ჩვენს
25 ოქტომბერის თბილისში გაიმართა სსრ კავშირის
კინემატოგრაფისტთა კავშირის გამკობის სამდენის
გაფართობელი გამსული სხდომა.

კინომოღაწეთა ამ ფორუმში მონაწილეობდნენ
საბჭოთა კინემატოგრაფიის თვალსაჩინო მოღვაწეები.
თურნად „საბჭოთა ხელოვნების“ თანამშრომელმა
რამდენიმე მთვანს მიმართა კითხვებით:

1. თქვენი თვალსაზრისით, რა სანატრესო ტენდენციები შეინიშნება დღევანდელ ქართულ კინოში?
2. უკანასკნელი წლების რომელმა ქართულმა ფილმმა მოახდინა თქვენზე უკმაღე მკვეთრი შთაბეჭდილება?
3. რომელი ქართული კინემატოგრაფისტის შემოქმედება ინტერესდებათა იპყრობს თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას?

ლება წარმართავს, ჭეშმარიტი მხატვარი მოვლენათა ქერქის განმეორებით ვერ დაკმაყოფილებდა. იგი იდუის კარნახით ტენდენციურად ეძებს მოვლენის არსებას და ემპირიული ფაქტების მიზანდასახულ ტრანსფორმაციას ეწევა. ხოლო სადაც ტილისა თუ მარმართლოში ფაქტი პირდაპირა განმეორებული, იქ სულ ტყუილად დაწევენ ძენსა იდეას.

ე. წ. „მყარი რეალიზმის“ უმართებულ ფაქტოლოგიურ „პრინციპში“ კი მოჩანს ხელოვნების მაკასტრ არბელი „პოზიციას“. ნაცულად იმისა, რომ მან ყურადღება მოვლენის არსებასადე გაამახვილოს, იგი მოვლენის გარეგანი ხედის უტყუარ განმეორებას სოციალისტური რეალიზმის მეთოდად გვაცნობს. გარგუნულად მიმჩი დეკლ მოვლენაში ბოროტად არსებობის, ან პიროქით, გარგუნულად მცირეში მნიშვნელოვანი არსების გამოვლენა და ასახვა განაშესაძლებელია ფაქტის ტრანსფორმაციის გარეშე?! ეს არც შესაძლებელია და არც საჭიროა მხედველობაში თუ არ მივიღებთ მხოვან ემპირიზმსა და ნატურალიზმს, ისტორი-

⁵ მხედველობაში გვაქვს ზურაბ კაკაბაძის «Человек, как философская проблема», 1970, стр. 55—61.

მეზობრის აზრი



სარაი პარასიოზი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
კინორეჟისორი.

1. ქართული ფილმები ხშირად „გვიძეულენ“ — სამყარო გავიზიაროთ და შევიგრძნოთ ჩვენი საოცარი საუკუნის შესატყვისად. ხელოვნების დანიშნულებაც სწორედ ესაა. ქართულ კინოში სამაგალითოა ეროვნული კულტურის ორგანული შეთავსება თანამედროვე ფორმების მეცნიერულ ძიებებთან, შთამბეჭდავ კინოენასთან. კარგია,

რომ ამ ესტაფეტას ღირსეულად იღებს დღევანდელი ახალგაზრდა თაობა. რა თქმა უნდა, ვველისსმობ მხოლოდ მის მოწინავე ძალებს.

2. სახელდახელოდ, ერთი რომელიმე ფილმის გამორჩევას არ ვეისრულობ. საერთოდ კი ბოლო წლების ბევრი ქართული კინოსურათი მომეწონა და დამამახსოვრდა თავისი აზრობრივ-ემოციური შემოქმედებით, მაღალი ოსტატობით.

3. განსაკუთრებით მახარებს ჩემი ყოფილი მოწაფეების შემოქმედებითი ზრდა. მახარებს ის, რომ თითოეული თავისი ინდივიდუალური თავი-

ას არ ახსოვს ხელოვნების არც ერთი მიმართულება, რომ სინამდვილის ტრანსფორმაციისათვის ზურგი შეებრუნებინოს.

ქუმარტივი ხელოვნება მოვლენის გარე ქვეყნის ასახვით ვერ დაკმაყოფილდება. იგი მოვლენის სიდრმეს ჭერტს და მისდამი თავის პოზიტიურ ან ნეგატიურ დამოკიდებულებას წარმოგიდგენს.

მისი ყველაზე საპატიო ფუნქციაც სწორედ ეს არის, თუნდაც უკიდურეს გროტესკამდე აღწევდეს.

ამრიგად, სინამდვილისადმი პოეტური დამოკიდებულების მასშტაბი მოვლენების არსებაში წვდომის სიღრმით მიიმართება და მისი ტემპი ჩვენს ეპოქაში კი არ კლებულობს, არამედ მატულობს, რამდენადაც თვითონ ჩვენი ეპოქა შინაგანი სოციალური წინააღმდეგობითაა აღსავსე. მას კი ცხოვრების ზედაპირის გულბრყვილო დათვალეობით ვერ ჩაწვდები. ამ რთულ ვითარებებში გარკვევა და მართებული გეზის აღება ხელოვნებათმცოდნეობის უპირველესი ამოცანაა, ხოლო იმისი მცდელობა, რომ ისტორიის ბორბალი უკან დაატრიალო და ხელოვნება ეპოქალური სირთულეების წყდომიდან გულბრ-

ყვილო ეთნოგრაფიზმისაკენ, ან უიდეო ემპირიზმისაკენ გადახარო, გარდა იმისა, რომ დროის ფუჭი კარგვაა, უმართებულო ცდაა, რომ ხელოვნებაში დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიცია მატერიალისტური ემპირიზმის ცალმხრივი პოზიციით შეცვალო.

ზოგიერთ ჩვენგანს მთელი სიღრმით არ ესმის: ხელოვნება სოციალური ფუნქცია და მისი უშუალო დამოკიდებულება თანადროულობის იდეურ და ესთეტიკურ მიზანსწრაფვასთან. ასეთი მოღვაწეები ასახვის ლენინურ თეორიაში გულისსმობენ სინამდვილის ემპირისტულ განმეორებას და არა შემოქმედებით აქტივობას, შემოქმედებით ჩარევას. ეს კი, ჩვენი ფიქრით, იმით ემართებათ, ვინც ასახვის ლენინურ თეორიას ხელოვნების პარტიულობის ლენინსავე მოძღვრებასთან ორგანულ მთლიანობაში ვერ იაზრებენ და სინამდვილისადმი პოეტური, რომანტიკული დამოკიდებულების ნაცვლად, მხარს უჭერენ ხელოვნებაში სინამდვილის გარეგნურობის პასიურ განმეორებას, რასაც „მკაცრი რეალიზმის“ შარავანდელი მოსავევს.

სებურებით იპყრობს ყურადღებას, ყველა ერთად კი მეტად მნიშვნელოვან საზოგადო საქმეს აკეთებს.

ძალიან მომწონს მიხეილ კობახიძის მცირე-

მეტრაჟიანი ფილმები. მოუთმენლად ველოდები მის ახალ ნაშრომებს.

გულწრფელად ვაღიარებ, რომ მე ბული ვარ ქართულ კინოზე.

ლიჯია ავლახიანი,
კინომსახიობი.

1. ჭეშნარიობა, პოეტური ამაღლებულობა და მოქალაქობრივი „მე“-ს განმტკიცების ტენდენცია ახასიათებთ ქართულ ფილმებს. თბილისში, და საერთოდ საქართველოში, პირველად ვარ, მაგრამ ახლა, როცა ჩამოსვლისთანავე შევიგრძენი თუ რა რეალური გამართლება ჰქონია ყოველივე იმას, რაც აქამდე მხოლოდ წიგნებითა და ფილმებით ვიცოდი, კიდევ უფრო შემი-

ყვარდა საქართველო. ქართული კინო განუყოფელია ქართველი ხალხის პოეტური ბუნებისაგან.

2. „ქორწილი“, „იყო შაშვი მაგლობელი“, „შერეკილება“... ცუდი ფილმების შესახებ წინასწარ ინფორმირებული ვარ ხოლმე და მათ შეგნებულად აღარ ვნახულობ, რათა ჩემი საუკეთესო შთაბეჭდილება შევინარჩუნო ქართული კინოს მიმართ.

3. როგორც მსახიობს, აქცენტით მსახიობებზე გადამაქვს. მომწონს სოფიკო ჭიაურელი, გოგი ქავთარაძე, ვასო ჩხაიძე და კიდევ ბევრი სხვა...

მარლან ხაშიძი,

რუსეთის სფსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე,
კინორეჟისორი.

1. მე თბილისში გავიზარდე და კარგად ვიცნობ ქართულ კინოხელოვნებას. ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელი და გასაგებია ჩემი თაობის კინოოლეგების ტენდენციები. უახლესი ქართული კინოს გარდამტეხი პერიოდი თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის „მაგდანას ლურჯათი“ იწყება. აღსანიშნავია, რომ ჩვენი მომდევნო თაობისა და სრულიად ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტების შემოქმედებითი ცხოვრება საუკეთესო, ლოგიკური შედეგია იმ

გარდამტეხი პერიოდისა, როცა მკაფიოდ იჩინა თავი რეალისტური ტრადიციებისადმი შემოქმედებითმა დამოკიდებულებამ და გაბედულმა ექსპერიმენტებმა.

2. ყოველთვის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენენ თ. აბულაძის, რ. ჩხეიძის, ძმები შენგელაძეების, ო. იოსელიანის, ლ. დოლობერიძის, მ. კოკოჩაშვილის ფილმები.

3. ქართული კინოდრამატურგია საინტერესო გზით მიემართება. რეჟო გაბრიაძე და სულიკო ჟღენტი მნიშვნელოვანი ძალეობა ქართული კინოსთვის. ბუნებრივია, როცა დრამატურგია საინტერესოა, საინტერესო გზით ვითარდება რეჟისურაც და სამსახიობო ხელოვნებაც.

სამიონ ფარიდონი,
კინორეჟისორი.

1. დღევანდელ ქართულ კინოში შეინიშნება ფართო შესაძლებლობები ამაღლებულის, ტრაგიკულისა და კომიკურის ერთად არსებობისა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ტრაგიკომედია ნაკლებადაა შესწავლილი კინომცოდნეთა მიერ, თანაც, ქართული კინოს გარდა, ამ ჟანრს არხად ისე ფართოდ არ დაუკავებია მნიშვნელოვანი ადგილი ბოლო წლების პრაქტიკაში. ეს მეტად საყურადღებო მოვლენაა, შექსპირული მასშტა-

ბებისაკენ სწრაფვის საუკეთესო გამოხატულებაა.

2. თენგიზ აბულაძის, რეზო ჩხეიძის, ოთარ იოსელიანის, ელდარ შენგელაიას, მერაბ კოკოჩაშვილის ფილმები, რამდენადაც მათში განსაკუთრებით მკვეთრად მქალაქდება ტრაგიკომიკური ჟანრის ფართო შესაძლებლობები. უფროსი თაობიდან ამ მხრივ საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენენ ნიკოლოზ შენგელაიას, მიხეილ ჭიაურელის, დავით როინდელის, სიკო დოლიძისა და შოთა მანაგაძის ფილმები. არ მინდა დავარდყო სტუმრის ეტიკეტი. ამიტომ, ამჯერად აღარ ვა-



სახელები ბოლო წლებში იმ ქართულ ფილმებს, რომლებიც არ მომეწონა. მით უმეტეს, რომ ისინი არ განსაზღვრავენ თანამედროვე ქართული კინოს დონეს.

მიხაილ კაზნაიშვილი,
ლიტერატურის კრიტიკოსი.

1. ქართული კინო ახლა იმ სიმწიფის ასაკშია, როცა მხატვარი ვლინდება მთელი თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობებით და ეროვნულია და ინტერნაციონალურის ერთიანობაში წარმართავს შემოქმედებით ცხოვრებას. ასე რომ, ქართველი კინემატოგრაფისტები ეროვნულ ხასიათში გამოხატავენ მთელ ჩვენს სოციალისტურ, საზოგადოებრივ თვისებებსაც. ისინი ყურადღების ცენტრში აყენებენ ჩვენი საზოგადოებისათვის საჭირო პრობლემებს.

„სხვისმა შეიღებმა“ შემოგვარუნა მკაცრი რეალიზმისაკენ, ბავშვური სიწმინდისა და მშვენიერებისაკენ, ყველაზე უბრალო და ამავე დროს ყველაზე ადამიანური, მასობრივი ხელოვნებაკენ.

„გიორგობისთვე“ ხასიათიკაა და მდგომარეობაც, ოპტიმიზმიცა და მანკიერი მხარისადმი ირონიული დამოკიდებულებაც. ეს კი უკვე დამახასიათებელია მხოლოდ მიღწევათა უმაღლეს დონეზე მდგარი კინოხელოვნებისათვის. ამ სიმწიფის ლოგიკური ნაყოფია „იყო შაშვი მგალომელი“, რომელიც სრულიად ახალ ხასიათს გვიჩვენებს სოციალისტურ საზოგადოებაში. გია — ეს ზნეობრივი კატალიზატორია, დროის წარმავლობასთან შერკინებული გმირია.

მაია ბარკვაძე,
კინომცოდნე.

1. იმ ესთეტიკურ ძიებებს, დღეს რომ მკაფიოდ შედარდება ქართულ კინოში, ღრმად აქვს ფესვები გადგმული სახელოვან წარსულში. ქართველი კინოოპირფეხების რეალისტური ტრადიციები ბრმად კი არ გრძელდება, არამედ შემოქმედებითად ვითარდება. მოვიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა და თან მოიტანა დროის შესატყვისი თავისი მღელვარე სულისკვეთებაც.

2. გულსატკეპია, რომ თამაშ მელიაევა სწორედ თავისი ნიჭის გაფურქქვის პერიოდში გა-

3. ცხადია, იმ ავტორებს გამოვარჩევა, რომელთა ფილმებიც მომწონს: ისევ თენგიზ აბულაძეს, ისევ რეზო ჩხეიძეს, ისევ ოთარ იოსელიანსა და ელდარ შენგელაიას.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კინო წარსულის ასხვეული ფილმებითაც ჩვენი თანამედროვის სულ ჩასწვდა („არ დაიდარდო“, „შერეილები“, „მთვარის მოტაცება...“).

2. მომწონს „არ დაიდარდო“, „ყველაში ჩემი სატრფოსათვის“, „ნერგები“, „შემოდგომის მზე“, განსაკუთრებით კი — „იყო შაშვი მგალომელი“; ქართული კინოსთვის შემთხვევით და მხოლოდ გასართობ ფილმებად მიმჩნევა „მოიტაცეს თამარ ქალი“, „მხარული რომანი“ და „ჩარი-რამა“.

3. განსაცვიფრებელი ნიჭის შემოქმედი იყო სერგო ზაქარაიძე. მიყვარს და ბევრსაც მოველი თენგიზ აბულაძისაკენ. ყოველთვის სასიხარულო შედგეს მოველი რეზო ჩხეიძისა და სულიკო ქლუტის შესანიშნავი დუეტისაგან. მომწონს ლანა ლოლბერიძის ფილმები. ოთარ იოსელიანმა უკვე ღირსეული ადგილი დაიკვიდრა თანამედროვე საბჭოთა კინოსტატებს შორის.

სასიხარულოა, რომ იზრდებიან საიმედო ახალგაზრდებიც. მე ენახე მათი ორნაწილიანი ფილმები. ისინი ბევრს გვირდებიან.

ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტები „გალობას“ ჭეშმარიტი „ბულბულებისაგან“ სწავლობენ. ეს კი უფრო უკეთესი ზვალინდელი დღის საწინდარია.

მოკლად ქართულ კინოს. ბედნიერებაა, რომ მისმა მეგობრებმა ღირსეულად დაამთავრებინეს მას უკანასკნელი სიტყვა—ფილმი „მთვარის მოტაცება...“ ახლანდ ნანახი ფილმებიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე თემურ ფალავანდიშვილის ფილმმა „მზე შემოდგომისა“, ელდარ შენგელაიას „შერეილებმა“ და გიორგი კალატოზიშვილის „ციმბირელმა პაპამ“. მეტს მოველოდი მერაბ კოკოჩაშვილისაგან. სხვა ახალი ფილმი ჯერ არ მიხახავს.

3. ყველას თავისი ღირსება გააჩნია. პირადად მე დიდი თაყვანისმცემელი ვარ თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის შემოქმედებისა.



დ. ორლოზი,

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის
შთავარი სასენატრო-სარედაქციო კოლეგიის
შთავარი რედაქტორი.

1. ცხოვრებისეულ პროცესებში წვდომა კარ-
ნახობს ქართველ კინემატოგრაფისტებს იმ პრობ-
ლემებს, საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას
რომ უდევს საფუძვლად. დღევანდელ ქართულ
კინოს ახსიათებს მოვლენის ღრმა განჭვრეტა და
არა ახალი ამბების გარეგნული ფიქსაცია.

2. კინემატოგრაფისტები თვითონვე აღიარე-
ბენ, რომ ძალიან ძნელია ფილმებში იმ გმირთა

დმიტრი პისარაძე,

ქურნალ „სოვეტსკი ვერანის“
შთავარი რედაქტორი.

1. ქართული კინოს მიერ წელიწადში გამო-
შვებული შვიდი ფილმიდან ორი თუ სამი ყო-
ველთვის მოვლენაა. თავისთავად ეს ფაქტი უკ-
ველ ბეჭდს ნიშნავს და ქართული კინოც ამით იმ-
სახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

2. ჩვენი ქურნალის მკითხველებმა კარგად
იციან, თუ რა ფართო ადგილს ვუთმობთ ყო-
ველთვის ქართულ კინოს. არათუ ვგრანზე გამო-
სულ ფილმს, ხშირად წარმოებაში ჩაშვებულსაც

ბრიგოლ როსალი,

სსრ კავშირის სახალხო არტიტი,
კინორეჟისორი.

1. მწვავე პრობლემური საკითხები დგას თა-
ნამედროვე ქართული კინოს ყურადღების ცენტრ-
ში. ქართველი კინემატოგრაფისტები სამართლი-
ანად გაურბიან მყივრალა, შიშველ ტენდენ-
ციურობას. რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც
არის, მაგრამ, საუბრისთვის, ისინი არ განსაზ-
ღვრავენ დღევანდელ ქართულ კინოს.

2. „გიორგობისთვე“, „მთავრის მოტაცება“,
„ნერგები“ ყურადღებას იპყრობენ თავიანთი

ვ. მოხაძე,

ლენინური პრემიის ლაურეატი,
კინორეჟისორი.

1. ნათლად იგრძნობა, რომ სკკპ ცენტრალუ-

სახეების შექმნა, რომლებიც მისაბაძი უნდა გა-
დნენ. თითქოს ამოიწურა დადებითი გმირის ყვე-
ლა ეპითეტი. და მაინც, სასიამოვნოა, რომ
მხატვარი დადებით გმირს ახალი მხრიდან გვი-
ჩვენებს. ამ მხრივ საყურადღებოა ო. იოსელია-
ნის „გიორგობისთვე“, რ. ჩხეიძის „ნერგები“;
ხოლო ისეთ ფილმებში, როგორცაა „ლევან ხი-
დაშელი“ და „ანარკლი“, ვფიქრობ, რომ და-
დებითი გმირის სახე სტანდარტულად და უფე-
რულად გამოიყურება.

3. ზოგადად არავინაა ისეთი, რომელიც რაიმე-
თი მაინც არ იპყრობენ ყურადღებას. კონკრე-
ტული პასუხისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ.

კი ვესმარებთ. ზოგჯერ ურთიერთ საპირისპი-
რო რეცენზიებსაც გვტყდავთ ამა თუ იმ ფილმის
პრობლემური მნიშვნელობის გამო. ასე მოვიქე-
ცით, მაგალითად, ლ. ლოღობერიძის ფილმის
„როცა აყვავდა ნუშის“ მიმართ. ასეთი მიდგო-
მა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ობიექტური
შეხედულების დადგენას. მე, როგორც რედაქტო-
რი, ჩვენი ქურნალის რედაქციის პოზიციები-
საგან განსაკუთრებით ვარ. ამ პოზიციებში კი მძლავ-
რდება რომელიმე ფილმისადმი პირადად ჩემი
სიმპათია თუ ანტიპათია.

3. ის, რაც მეორე კითხვასთან დაკავშირე-
ბით ვთქვი, მესამე კითხვაზეც ვრცელდება.

მასშტაბურობით. ბევრი რამ საგულისხმოა ლანა
ლოღობერიძის ფილმში „როცა აყვავდა ნუში“.
ძალიან მომეწონა ო. იოსელიანის „იყო შაშვი
მგალობელი“.

3. ისეთი საინტერესო რეჟისორი, როგორც
მიხეილ კობახიძე, დიდხანს არ უნდა სდუმდეს.
მისი ყოველი ფილმი ჩვენთვის დიდ ღირებულე-
ბას წარმოადგენს. კარგია, როცა მტკიცდება
დრამატურგისა და რეჟისორის შემოქმედებითი
თანამეგობრობა. რ. გაბრიაძე და ე. შენგელია,
ს. ქლენტი და რ. ჩხეიძე ამის საუკეთესო მაგა-
ლითებს იწილვიან.

რი კომიტეტის დადგენილების „საბჭოთა კინემა-
ტოგრაფიის შემდგომი განვითარების ღონის-
ძიებათა შესახებ“ შესასრულებლად ქართველი
კინემატოგრაფისტები თავიანთ ნიჭსა და ენერ-





გის არ იშურებენ. კინოსტუდია „ქართული ფილმი“ საკმაო ყურადღების უთმობს თანამედროვე თემაზე ფილმების შექმნას. გულწრფელი არ ვიქნებოდით, არ შეგვენიშნა ისიც, რომ ზოგიერთ თანამედროვე თემაზე შექმნილ ფილმს დიდი პრობლემური მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აკლია სათანადო მხატვრული ღირებულება. მხედველობაში მაქვს ფილმი „ანარეკლი“ და „ლევან ხიდაშელი“. ამ ფილმებში ჩამოყალიბებულია ხასიათები, გმირები უფერულნი და სტერეოტიპულნი არიან.

2. მომწონა „შერეკილები“, „იყო შაში მგალობელი“. საყურადღებოა „მთვარის მოტა-

ცება“, „შემოდგომის მზე“. უკმაირისობის გრძობას ბადებს ფილმი „გზა მშვილობისა, ჯაკობ მასში სათანადოდ ვერაა გაშუქებული ხასიათისა ადამიანის ხასიათის ჩამოყალიბების დიდმნიშვნელოვანი პრობლემა.

3. სიამყავს და სიხარულს გვეგვის ყველას, ვისაც უყვარს ქართული კინემატოგრაფი, ოთარ იოსელიანის, გიორგი და ელდარ შენგელიანის წარმატებები. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დიდებულ ქართულ კინემატოგრაფს გულითადად ვუსურვო მომავალი გამარჯვებები. ეჭვი არაა, ქართული კინო თავისი მდიდარი წიაღიდან კვლავ წარმოქმნის ახალ ტალანტებს.



ალექსი ბახალავი,

რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო და სრულიად საკავშირო ლენინური კომპაქვირის პრემიების ლურჯეტი.

1. განუმეორებელი ინდივიდუალური თავისებურებების, თვითმყოფადობისაკენ მისწრაფების ტენდენციებით იპყრობს ყურადღებას ქართული კინო. ყოველი მხატვრის შემოქმედებითი ხელწერის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნია, თვითმყოფადობა. ქართულ ფილმებში საოცარი ძალითაა დაცული დრამატურგიული, რეჟისორული, ოპერატორული, სამსახიობო ხელოვნების მთლიანობა.

2. მომწონს „იყო შაში მგალობლის“, „შერეკილებისა“ და ბევრი სხვა ფილმის ის საუკეთესო სცენები, რომლებშიც მაღალ დონეზე დგას სამსახიობო ხელოვნება...

3. ამ კითხვაზე მიმძიმს პასუხის გაცემა, რადგან მე უფრო მეტად ვცნობ ქართულ ფილმებს, ვიდრე მათი ავტორების შემოქმედებით ბიოგრაფიებს. ამასთანავე მიიჩნია, რომ ქართული კინო თავისი მრავალფეროვანი და მკვეთრი თავისებურებითაა მნიშვნელოვანი, ყოველი ახალი სახელი ახალი ინდივიდუალური თავისებურებით ავსებს და ამდიერებს ქართულ კინოს.



ა. აბაბაიანი,
კინოკრიტიკოსი.

1. ქართველი კინემატოგრაფისტები კარგად ერკვევიან საზოგადოების განვითარების კანონებში, ისწრაფვიან ძირითადი ყურადღების ცენტრში მოაქციონ ჩვენი თანამედროვის სახე, საუკეთესო ადამიანური თვისებები. ქართული ფილმი ეკრანიდან გაბედულად აძევებს რეალურობის მოძველებულ მოდელს და საინტერესო სიახლეებს გვთავაზობს.

2. ქართული კინოს თემატური მრავალფეროვნების მიუხედავად, კინოსტუდია „ქართულ

ფილმს“ დიდი ხანია არ მიუმართავს რეკლუციური თემისათვის და თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიუჟეტური და რეჟისორული ხასიათის ცალკეულ ხარვეზებს, ფილმ „ციმბირელი პაპას“ ავტორებმა წარმატებით დაძლიეს სიძნელეები. ისე კი, განსაკუთრებით მომწონს საერთოდ ქართული ფილმების პოეტური მეტაფორუზიმი, ამაღლებულობა და ჯანსაღი პათეტიკა, რომელსაც, სამწუხაროდ, მოკლებულია ფილმი „ლევან ხიდაშელი“.

3. არავინ მეგულება ისეთი, რომელიც რაიმე ღირსებით არ იპყრობდეს ყურადღებას.

უპირობო მავრუბელი

გიორგი გეგეჭკორი

„ამ ბოლო დროს ხშირი ლაპარაკი გაიმართა ჩვენის ქართულის თეატრის თაობაზედ. უჩივიან, ცოტა ხალხი დადისო, და მართალიც არის. მართალია ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ ამის მიზეზს მოძებნა უნდა, და თუ შესაძლებელია მოსპობას“.

ილია ჭავჭავაძე.

„ქართული თეატრი“

(1881 წ. ნოემბერი, „მინაური მიმოხილვიდან“).

დისკუსია „თეატრი და მავრუბელი“, როგორც ვერნალ „საბჭოთა ხელოვნების“ ფურცლებზე გაიშალა, ესეა ძალზე საინტერესო, აქტუალურ და, მე ვიტყვი, საგანგაშო საკითხებს. ამგვარი დისკუსიების პერიოდულად წამოწყება კანონზომიერ და უცილობელ საჭიროებად მიგვაჩნია. იქნებ კამათში, ახრთა გაცვლა-გამოცვლაში დადგინდეს შემართება, გამოჩნდეს თეატრისა და მავრუბელის მომავალი ურთიერთობის უკეთესი გზები და საშუალებები.

როგორც ცნობილია, თეატრი სინთეზური და კოლექტიური ხელოვნებაა. სპექტაკლს ქმნიან დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, კომპოზიტორი, ქორეოგრაფი და ის, ვისთვისაც ყველაფერი ეს კეთდება — მავრუბელი. თეატრი სწორედ სინთეზურობით და კოლექტიურობით განსხვავდება ხელოვნების სხვა დარგებისაგან. წარმოდგენა ყოველთვის თამაშდება მხოლოდ და მხოლოდ მავრუბელის წინაშე, მავრუბელი სპექტაკლის მონაწილეა, ამიტომ მისი ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. სასცენო ხელოვნების ეს აუცილებელი პირობა ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდანაც ცნობილი, ამის შესახებ ორი აზრი არ არსებობს.

ისმება კითხვა, როგორი უნდა იყოს თანამედროვე ქართული თეატრი, რით უნდა იზიდავდეს მავრუბელს? დღევანდელი ქართული თეატრი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ეროვნული, უნდა ეყრდნობოდეს დიდ ლიტერატურას, უფრო სწორად, დიდ დრამატურგიას, ეგზოტელს თანამედროვების აქტუალურ საკითხებს და ყველაფერი ეს სცენურად უნდა იყოს აყვანილი უმაღლეს პროფესიულ დონეზე. გვინდა მოვიყვანოთ შექსპირის სიტყვები „კამლეტიდან“: „თეატრის აზრი უწინავე ყოფილა და დღესაც ის არის, რომ ბუნებას სარკვედ გაუხდეს, სათნობას მისი სახის მტკიცელება აჩვენოს, ბიწიერებას მისი უმსაგესობა, დროებასა და ხალხს მათი ვითარება და ნაკვალავი“.

აი, ჭეშმარიტი აზრი და დანიშნულება ყველა დროის თეატრისა.

ჩვენმა დიდებულმა ილიამ ასე განსაზღვრა თეატრის არხი: „ამის გარდა, სცენა იგივე შოკოლაა, რომელიც ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე. ამ მხრივ არის იგი სანატრელი, ამ მხრით არის იგი კაცის გრძობისა და ჭკუის გამაფრთხილებელი, გაწმენდი. სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამწვრთნი უნდა იყოს და ამასთან, იმისთანა შემამკცეაროც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმუნებს, ფრთას აშლევინებს, უკეთესი შემამკცეარი, უკეთესი დროს-გასართობი, სულისა და გულის ამამალელებელი, სხვა ისეთი — არა ვიცი რა, სცენის მეტი“.

აკმაყოფილებს კი დღევანდელი ქართული თეატრი შექსპირისა და ჭავჭავაძის მოთხოვნებს? მთელ ქართულ თეატრზე არას ვიტყვი, კონკრეტულად, მხოლოდ რუსთაველის სახელობის თეატრს შევხებით: უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე რუსთაველის სახელობის სცენაზე დაიდაგ შემდეგი პიესები: დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, შ. დადიანის „გუმწინდელი“, ა. ცაგარლის „ხანშა“, ლ. ქიქელიძის „გვიდი ბიგვა“, პ. კაკაბაძის „ყვარყვარ თუთაბერი“ და „კოლმურნის ქორწინე-

* გაგრძელება. დამაწყისი იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ №№ 2-17.

ბა, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ნ. დუმბაძის „მზანი და მუ“, ა. სპარალკოვი დასკვნა“, მ. ელიოზინიშვილის „ბებერი მუხურ-ნევი“, ა. ჩხაიძის „ხდილი“, თ. ჭილაძის „მოუ-ლოდნელი სტუდენტი“, „დავიწყებული ამბავი“, რ. თაბუკაშვილის „რაიკომის მდივანი“, ი. დვო-რეცკის „უცხო კაცი“, ბულგაკოვის „მოლოდინი“, ტრუსტის „ოვანე მრისსანეს სიკვდილი“, ანუის „ანტიგონე“, ა. შედრა, რასინის „ფედრა“, მილერის „სეილემის პროცესი“, ლორკას „ბერ-ნარდა ალბას საბლი“, შუჰჰაისრის „იულიუს კეი-სარი“ და „რომეო და ჯულიეტა“.

როგორც ხედავთ, ჩვენს თეატრს აქვს მაღალი ხარისხის ლიტერატურის დაშვებების ტენდენცია, რეპერტუარს ვერ დაგვიდგურებოთ, მაგრამ როგორია დღევანდელი? სამართლიანობა მოითხოვს იქნას, რომ რუსთაველის თეატრი კარგა ხანია ადგას სანდქტერუს ძიებების გზას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სადავმო კულტურა. ჩვენ სინამდვილე თანამედროვე მოქალაქეობრივი პოზიციებიდანაა დანახული. აქტუალური საზოგადოებრივი საკითხები მრავალფეროვანი, მაღალმხატვრული ხერხებითაა გადაწყვეტილი.

ასე რომ, ამ მხრივ საგანგაშო არაფერი გვაქვს, მაგრამ როგორია რეჟისურის პროფესიული დონე და მსახიობთა საშემსრულებლო ხარისხი? რუსთაველის თეატრმა თავისი წარმოდგენები უცხო ქვეყნებში გაიტანა და დიდი წარმატებები შეეწია. ეს ყველაზე უტყუარი დადასტურებაა თეატრის რეჟისურისა და მსახიობთა მაღალი პროფესიული კულტურისა. როგორც ვხედავთ, ყველაფერი თითქოს რიგზეა. მაშ რატომ გახდა ჩვენთვის სანატრლო სახე დარბაზში, რატომ ვერ გაიგონებთ ჩვენს სალაროსთან სიტყვებს „ხედვეტი ბილეთი ხომ არა გაქვთ“, როგორც ეს მოსკოვის თეატრების სალაროებთან გვესმის. მართალია, მოსკოვში 7 მილიონზე მეტი მოსახლეა და ყოველდღიურად ქალაქში ნახევარი მილიონი კაცი ჩადის, მარტო ისინი გაავსებენ თეატრებს, მაგრამ იგივე რომ ხდება ლენინგრადში, კიევი და სხვა ქალაქებში. ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში, მაგალითად, სპექტაკლზე დასასწრებად ხალხი სხვა რაიონებიდან, ქალაქებიდან და უცხოეთიდანაც კი ჩადის.

თბილისი მოსახლეობის მიხედვით საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქია, უკვე მილიონს გადააჭარბა, ჩვენს დედაქალაქშიც ათასობით ადამიანი ჩამოდის ყოველდღიურად, მაგრამ ისინი რატომღაც ქართული თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებად ბილეთებს არ ეძებენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამის მოთხოვნა არაა აქვეთ.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი არასასურველი ფაქტი, რაც ჩვენს პრაქტიკაში დაინერგა. ეს გახლავთ ბილეთების საწარმო-დაწესებულებების

ბუმბი იძულებითი გავრცელება. ზოგჯერ ბილეთების ნისბადაც კი უტოვებენ მაყურებელს და ფულს შემდეგ არბრუნებენ. ჩემის აზრით, ბილეთების თების გავრცელების ამგვარი მეთოდი როგორც თეატრისათვის, ასევე მაყურებლისათვის დამანაცირებელია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მაყურებელი ძალით მოიპაუტო თეატრში. გარდა ამისა, მაყურებელი შეგვიან ამ მეთოდს იცის, რომ ადრე თუ გვიან სამსახურში მორთმევენ ბილეთს და თავს აღარ იშუხებს იმისათვის, რომ ბილეთი სალაროში შეიძინოს. ზოგჯერ ასეც ხდება, ბილეთები გავრცელებულია, წარმოდგენა კი ნახევრად ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. როგორც ვხედავთ, ბილეთების იძულებითმა გავრცელებამ სასურველი შედეგი არ გამოაღო. ამიტომაც მაყურებლის თეატრში მოსაზიდავად სხვა გზები და სხვა მეთოდები უნდა გამოვიხატოთ.

ახლა კონკრეტულად ვიფიქროთ, როგორია მაყურებლის დასწრება თბილისის თეატრებში? პრემიერაზე ან მიმდევრო ორ-სამ სპექტაკლზე შეიძლება ანშლაგიც კი იყოს, შემდეგ მაყურებელი თანდათან კლებულობს და ბოლოს წარმოდგენა ნახევრად ცარიელ დარბაზში მიმდინარეობს. რა თქმა უნდა, არსებობენ ობიექტური მიზეზიც იმისა, რაც მაყურებელს ხელს უშლის რეგულარულად იაროს თეატრში — ეს გახლავთ ტელევიზორი, კინო, სპორტული სანაშაობები, დროის სუფრასთან გატარება და სხვა, მაგრამ ჩვენ ვივლით თეატრში მაყურებლის მოუხსევლოების სუბიექტურ მიზეზებში გავერკვეთ. ერთი ძველი ნაწინი შემხედია, დვალბოსილი კაცია, ბეცნიერი, ინტელიგენტი. ჩვენს საუბარში ერთმა რამ გამოთავა: მითხრა, ავერ უკვე 10-15 წელიწადია, თეატრში არ ვყოფილვარო. საშინლად მეწყინა. გავიფიქრე, ნუთუ 15 წლის მანძილზე ერთი ან ორი თავისუფალი საღამო არ აღმოაჩნდა, რომ თეატრში მოსულიყო, ნუთუ ამ ხნის განმავლობაში მისი მოსაწონი ჩვენს სცენაზე არაფერი დაიდგა-მეთქი?

ოღია ჭაჭუცავი დიდი მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მკვლევარი იყო და, მიუხედავად ამისა, თეატრში სასიარულოდ მაინც პოულობდა დროს. თეატრის სიყვარული და მხარის დაჭერა თავის მოვალეობად მიიჩნდა. რატომ არ უნდა ჰქონდეს ქართველ კაცს, თუნდაც საკმაოდ გამოიწინილს, იმის სურვილი, რომ თვეში ერთხელ სპექტაკლს დაესწროს. თუკი მცენერი, ინტელიგენტი თეატრში არ დადის, რაღას უნდა ველოდეთ საშუალო განათლების ან განუათლებელი კაცისაგან. ჩვენი თეატრი ოთხჯერ იყო სასტუდენტო — რუმინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამ ქვეყნებში მაყურებლის წარმოდგენაზე დასწრების საკითხი საერთოდ არ არსებობს. ყურადღება მივაქციე იქაურ მაყურებლის ერთ განსაკუთრებულ თვისებას,

ეს მას მაყურებლის თეატრში თავის დაქვეა. ჩვენი ყოველი სპექტაკლის დამოატრების შემდეგ თითოეული მაყურებელი თავის სავამტელში იჯდა და ასე გვიყარავდა ხანგრძლივად ტანს, მადლობას გვიხდოდა ჩვენ, წარმოდგენაში მონაწილე მსახიობებს, ამას იგი თავის მოვალეობად თვლიდა. პირველად ვიფიქრე, სტუმრები ვართ და გვანერვივნებენ-მეთქი, მაგრამ როდესაც მათი თეატრის წარმოდგენებს დავესწარი და იქვე იგივე განმეორდა, ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. მაყურებელი პატივს სცემდა და მადლობას უხდოდა თეატრს, რეჟისორს, მსახიობებს. ამგვარი დამოკიდებულება თეატრისადმი მას, როგორც წარმოდგენის ერთ-ერთ კომპონენტს, როგორც წარმოდგენაში მონაწილეს, თავის აუცილებელ მოვალეობად მიაჩნდა. აპლოდიმენტები პატივისცემის, მადლობის ნიშანი და მსახიობებს ამაზე დიდ საიმპონებებს არაფერი არ ანიჭებთ.

ახლა ვიკითხთ როგორ იქცევა თბილისელი მაყურებელი წარმოდგენის დამოატრების შემდეგ? როგორც კი ფარდა დაეშვა, ჩვენი მაყურებელი თავპირისმტრევეთ გარბის გარდერობისაკენ. თავის დასაკარავად სცენაზე გამოსულ მსახიობებს უხალისოდ, ღრან-ღრან თუ აღირსებს ვინმე ტანს. ამასთანავე ეს ხდება საზოგადოებისა და კრიტიკის მიერ აღიარებულ ისეთ სპექტაკლებზეც კი, როგორცაა „ანტაგონი“, „სეილემის პროცესი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „გუშინდელი“ და „ბერნარდა ალბის სახლი“. თეატრში, საკრებულოში, საზოგადოებაში თავის დაქურთ მოზარდ თაობას ბავშვობიდანვე უნდა ასწავლონ, სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა სთაუფრონ, როცა მათ საკეთილდღეოდ, მათ სასწავლებლად, გაასართობად ან დასატებობად ვინმე ირჯება, ნიჭსა და ენერჯიას სარჯავს, ამისათვის საჭიროა სამაგიეროს გადახდა, მადლობის თქმა. ამ რამდენიმე წლის წინათ ხმა დაიბნა, თბილისში ჩამოვიდა, „სეილემის პროცესის“ ავტორი, ამერიკელი დრამატურგი, არტურ მილერი. იგი მართლაც ჩამოვიდა და რუსთაველის თეატრში მისი პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს დაესწრა. მაყურებელი აღაფრთოვანა წარმოდგენამ, ტანსაც დახანს გვიკრავდნენ. იმ საღამოს თეატრში ზეიმი იყო. რით უნდა აიხსნას ეს? სრულიად უზრალოდ აქ თავი იჩინა ჩვენმა უხუთო თვისებამ — წამხედურობამ. მაყურებელთა უმრავლესობას არტურ მილერის ნახვა სურდა, აინტერესებდა, როგორ მიიღებდა სასელმოსვეტილი დრამატურგი სპექტაკლს, არ სურდა სენსაციას დაკლებოდა, მეორედ დღეს ხომ უნდა ეთქვა ნაცნობ-შეგობრებში, წუხელ წარმოდგენას დავესწარი და გამიჩინელი ამერიკელი დრამატურგი მილერი ვნახეო. ისიც სათქმელია, რომ ჩვენი სპექტაკლი „სეილემის პროცესი“ არტურ მილერის ჩამოსვლამდეც და

მას შემდეგაც არანაკლები წარბაქებით იდგმებოდა, მაგრამ თითქმის ცარიელ დარბაზში.  1971 წელს რუსთაველის თეატრში  სპექტაკლები წარმოადგინა საგასტროლო საქართველოში მონაწილმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელგანთქმულმა ბრეტის თეატრმა „ბერლინერ ანსამბლმა“. ყოველ საღამოს დარბაზი გაუვლილი იყო. ყოველი წარმოდგენის დამოატრების შემდეგ ჩვენი თბილისელი მაყურებელი სავარძლიდან აუდგომლად ხანგრძლივად სურავდა ტანს, ისე ხანგრძლივად, რომ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები იღვრიდნენ კიდევ თავის დაკვრით. რა თქმა უნდა, ქართველებს სტუმრის მიღება, დახვედრა და გასტუმრება ჩვევად აქვთ, მაგრამ საკუთარმა თეატრებმა რა დაუბავს. გარწმუნებთ, ჩვენ თეატრები ბევრ საინტერესო სპექტაკლებს დგამენ და არანაკლებ ნაუთერი რეჟისორები და მსახიობებაც გვყავს. მაგრამ როგორც ამბობენ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ჩემთვის ცნობილია, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების თეატრების სპექტაკლებს ყველა ასაკის უამრავი მაყურებელი ესწრება, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. როგორ მიაღწიეს ამ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების თეატრებმა? ამ რესპუბლიკების სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის ლიტერატურის, ხელოვნებისა და თეატრის მიმართ დიდ სიყვარულსა და პატივისცემას უწერებენ. ამ საბავთო, პატრიოტულ საქმეს ემსახურებინა პედაგოგები. საშუალო სკოლის 7-8-9-10 კლასების მოსწავლეებმა და ასევე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა იცინა, რომ საკლასო წიგრში, საკონტროლო სამუშაოს ან გამოცდაზე აუცილებლად შეხვდებოდათ სავალდებულო ან თავისუფალი თემა პირობითად ამგვარი ხასიათისა: „როგორ გიყვართ თეატრი“, „რომელი მსახიობი (კომპოზიტორი, მხატვარი, ოპერა, აიშფონია) მოეწონათ და რატომ“. ამიტომ მოსწავლეები და სტუდენტები ვალდებულნი არიან იარონ თეატრებში, სიმფონიურ კონცერტებზე, გამოფენებზე, სიმფონიურ სტუდენტებს თეატრში სიარულს, სიმფონიურ კონცერტებზე და გამოფენებზე დასწრება ჩვევად ექცევათ, ჩვევა კი მოთხოვნილება.

მაყურებლის აღზრდა, ახალგაზრდებში კულტურული ჩვევების გამოშენება, მაყურებლის მოთხოვნილების შესწავლა, აუცილებელია. ახალი თეატრალური სუბიონის გახსნასთან დაკავშირებით გაზვიო „სოვენტსკაია კულტურა“ აქვეყნებს თეატრების ხელმძღვანელთა პასუხებს სხვადასხვა კითხვაზე. ერთ-ერთი კითხვა ასეთია: „როგორ სწავლობთ თეატრის მაყურებელს? შესწავლის შედეგები და მათი პრაქტიკული გამოყენება? კითხვაზე პასუხობს ესტონეთის ქ. ტარტუს „ანემუნისკა“ თეატრის მთავარი რეჟი-

სორი კარელ ირდი: „მაყურებლის მესაჯღა
„ვანემიონიში“ თხუთმეტი წლის წინ დაიწყო.
ამის შესახებ ბეერი დაიწერა ცენტრალურ და
ადგილობრივ პრესაში, ჩვენი მასალებიც ფართო-
დაა ცნობილი, ამიტომ მეოთხედზე ადარ შევ-
ჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ მუშაობის შედეგებზე.
ჩემი იმის წყალობით, რომ შედგენილი დეტალ-
ურად ვიცით მაყურებლის სტრუქტურა, მისი
მოთხოვნილება და ინტერესი, ჩვენ შეგვიძლია
უდიდესი სისუსტით დაგვეგზოთ რეპერტუარი. ამ
მუშაობაში დიდ დამსარებას გვაძლევს ტარტუს
სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ესტონეთის სსრ
აკადემიის მეცნიერ-თანამშრომლები. ბოლო სე-
ზონში ძალიან ხშირად ჩვენი თეატრის სამივე
დარბაზში წარმოდგენებზე აწვდიან (კვირაო-
ბით კი დილისა და საღამოს წარმოდგენებს ოთხ-
დასასი მაყურებელი ესწრება). ეს ყველაფერი
გამოწვევია მაყურებლის შესწავლამ, რეპერტუა-
რის შეგნებულად დაგეგმვამ“.

კარელ ირდი თავის წიგნში „ვიქრები თეატრ-
ზე“ დიდ ადგილს უთმობს თეატრისა და მაყუ-
რებლის ურთიერთობის პრობლემას. ქვეთავში,
„იციზობდ შენს მაყურებელს“, ფართოდაა გაშუ-
ქებული ესტონეთის თეატრის მუშაკთა პრაქტი-
კული ღონისძიებები მაყურებლის აღზრდისა და
მოზიდვის შესახებ. მთავრად ერთ ციტატას:
„თეატრში პირველად შემოსული მაყურებელი
განსხვავდება იმ მაყურებლისგან, რომელიც მე-
ლა წარმოდგენას ესწრება. პირველად მოსულს
იზიდავს და აინტერესებს ყველაფერი, რაც სცე-
ნაზე ხდება, უფრო გამოცდილ მაყურებელს კი
სჭირდება რაღაც ახალი, უფრო მეტად მსატრუ-
ლი. ეს ანბანური ქვეშაობაა“.

„თეატრში მესამედ წასვლა ნიშნავს იმას, რომ
ათი წლის მანძილზე ადამიანი წვლივადში ათ-
ჯერ იყო თეატრში. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში ამ-
გვარი ადამიანების რიცხვი დიდია. ესტონეთში
მილიონ სამასათასი მოსახლეა, მათგან თეატრ-
ში ყოველწლიურად დადის მილიონ ოთხასათასი
მაყურებელი. ამიტომ მკვეთრად ისმება საკი-
ობის სცენური ნაწარმოებების ახალი ფორმის და
შინაარსის ძიებისა. მაყურებელი შეიძლება დაი-
ყოს ჯგუფებად, არა თეატრში მათი დასწრების
რაოდენობის მიხედვით, არამედ ასაკის, სქესის,
განათლების, ტემპერამენტის და ა. შ. ლოგიკა
გვიკარნახებს, რომ რაც უფრო მეტია პატარა
ქალაქში მაყურებელთა რაოდენობა, მით უფრო
მრავალფეროვანია მაყურებელთა შემადგენლო-
ბა. ამიტომ „თეატრის ასორტიმენტი“, რომელ-
საც თეატრი თავის მომხმარებელს სთავაზობს,
ამისდა შესაბამისად უნდა ფართოვდებოდეს“.

როგორც ვხედავთ, ესტონეთში მაყურებლის
შესწავლის პრობლემა კარგა ხნის წინათ დაიწყო
და ამჟერად გადაჭრილია. თეატრის ხელმძღვანე-
ლობა აქტიურად, მიზანდასახულად სწავლობდა
მაყურებლის ფსიქოლოგიას, მოთხოვნილებას,

საკუთარს და კულტურულ ღირებულებებს. ამ
საკითხების გადაჭრაში თეატრის ხელმძღვანე-
ლებს დიდ დახმარებას უწევდნენ სოციოლოგები
და მეცნიერ-მუშაკები. იქნებ როგორმე ჩვენშიც
დანიერგოს მაყურებლის შესწავლის ამგვარი ერ-
თობლივი ტრადიცია. ეს დიდი მისია, უპირ-
ველეს ყოვლისა, უნდა ითავოს თეატრის ხელმძ-
ღვანელობამ, საშუალო სკოლების პედაგოგებმა
და უმაღლესი სკოლების პროფესორ-მასწავლებ-
ლებმა. სოციოლოგიის მიწოდებები უნდა იყუ-
ნენ ინიციატორს, რომ დაეხმაროს თეატრებს მაყუ-
რებლის შესწავლაში.

კონკრეტულად თეატრისა და მაყურებლის ურ-
თიერთობის გარკვევა და მაყურებლის თეატრში
მოზიდვის საკითხის გადაწყვეტა ჩვენ ასე წარ-
მოვიდგენია: ამ საქმით, უპირველეს ყოვლისა,
უნდა დაინტერესდნენ თეატრები, კულტურის სა-
მინისტრო, თეატრალური საზოგადოება, განათ-
ლების სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო
საშუალო განათლების სამინისტრო, მხატვართა
კავშირი, კომპოზიტორთა კავშირი. ამ დაწესებუ-
ლებათა ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით
უნდა შეიქმნას ავტორიტეტული კომისია ან
ჯგუფი, რომლის მუშაობაში, სოციოლოგების
გარდა, ჩართული იქნება საშუალო და უმაღლე-
სი სკოლების პედაგოგები. ამგვარ კომისიას შე-
უძლია შეიმუშაოს და დასახოს კონკრეტული ღო-
ნისძიებები მაყურებლის შესასწავლად და თეატრ-
ში მოსასივად.

ამ საქმეში საზოგადოება, კულტურული და-
წესებულებები უნდა დაეხმაროს თეატრს, რად-
გან თვით თეატრსაც უამრავი რთული პრობლე-
მა აქვს გადასაჭრელი: როგორი უნდა იყოს თა-
ნამედროვე ქართული თეატრი? რა საკითხებს უნ-
და აშუქებდეს და როგორი მსატრული ხერხე-
ბით? ვინ უნდა იყოს თეატრის მთავარი ძალა-
რევისორი თუ მსახიობი? რას ნიშნავს სარეჟი-
სორი კოლეგია? უნდა ჰყავდეს თუ არა საქარ-
თველოს ორ მთავარ წამყვან თეატრს სამხატვრო
ხელმძღვანელი, ან მთავარი რეჟისორი? და ა. შ.

იმედია, უურნალო „საბჭოთა ხელოვნება“ გაა-
გრძელებს დისკუსიას და იმ უამრავ საჭირობო-
რ საკითხს, რაც დღეს ჩვენს თეატრებს აწუ-
ხებს, მთელი ქართველი ხალხის მსჯელობის საგ-
ნად გახდის.



ქანრს რას ვემართლებით!

ეთერ გალუსტოვა

სკლაროსთან წარწერა გვაუწყებს: „ყველა ბილეთი გაყიდულია“. ტელეფონის ხშირ წვრილს ადმინისტრატორი ერთფეროვანი გულგრილობით ეპასუხება: „სამწუხაროდ, არა გვაქვს. ვერადრით ვერ დაგვხმარებთ“.

მამ ასე, თეატრში აწვლავია. მაცურებელი დარბაზში გაანგარიშებულზე მეტიც კია. სურათი თითქოსდა იდეალურია — მაცურებლის პრობლემა გადაწყვეტილია, ყველა ფინანსური გეგმა შესრულებულია. მაგრამ თუ ღრმად დავეუკიროდებით და განვსჯით, გამოირკვევა, რომ მაცურებელთა სავსე დარბაზი — ეს მხოლოდ რიცხობრივი მაჩვენებელია. ამაზე მნიშვნელოვანია მაცურებელთა დარბაზის სოციოლოგიური რენტგენოგრაფია. აქ ერთად იბადება რამდენიმე კითხვა: ვინ დადის თეატრში? ხშირად დადის თუ შემთხვევით? რა უფრო მოსწონს მაცურებელს, რა უფრო ესადაგება მის სულიერ კრედიტს? მაცურებელთა ინტერესები რა გზისაკენ უბიძგებს თეატრს? როგორი უნდა იყოს იგი, მაცურებელი რომ არ შემოუღიოს და მისი სულიერი მოთხოვნები მუდმივად დააკმაყოფილოს? არსებობს თუ არა, ასე ვთქვათ, საშუალო მაცურებელი? თეატრმა გეზი როგორ მაცურებელზე აიღოს?.. ეს კითხვები, და არა მარტო ეს, ადლებებს ამყამად თეატრის მესვეურთ არა მარტო საქართველოში, ყველგან. მაცურებლის პრობლემა ნიშანდობლივია მოსკოვის თეატრებისათვისაც, თუმცა აქვე უნდა დავსინათლო, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითი უფრო ტიპური, ვთქვათ, მოსკოვისათვის, ვიდრე თბილისისათვის.

მოსკოვის თეატრალურ სინამდვილეში „მაცურებლის წარმატების“ ცნება-გაგება ერთობ პირობითია. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო ძნელია დავსვათ თანასწორობის ნიშანი მაცურებელით გადამჭედლ დარბაზსა და ნაჩვენები სპექტაკლის მხატვრულ ღირსებას შორის. როდესაც მოლდაველი დრამატურგის იონ დრუკს ბიჭისა, „ჩვენი სიყრმის ფრინველები“ მოსკოვის მცირე თეატრმა დადგა, ავტორმა განაცხადა: მაცურებლის აქტივობის ქეშმარატი მიზეზი, არ ვიცი, ჩემი დრამატურგიული პირმშოს სიკეთესა და წარმატებას მივაწერო თუ მოსკოვის უძველეს თეატრში მოხვედრის სურვილს. ეს მეტად საგულისხმო სიტყვებია.

თბილისელებიც ვიცნობთ რამდენიმე რეკორდსმენ სპექ-

ტაკლს. ისინი პირველი დადგმიდან დღემდე, ავტო უკვე მრავალი სეზონია, აწვლავებით მიდის. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მოსკოვის და თბილისის ხალხით გატყდილ დარბაზთა შორის განსხვავებაა. რამდენადაც ძნელია მოსკოვში მაცურებელთა სიმამრების წესტი განსაზღვრა, იმდენად უფრო ადვილი შემამრნევა თბილისელი მაცურებლის ცალკეული სპექტაკლები-სადმი ლტოლვა, ცალკეული დადგმებით გატაცება.

შევეხოთ ორ სპექტაკლს — ხალხმა კარგა ხანია რომ შეიყვარა, ხოლო თავის დროს კრიტიკა არც თუ ისე გულთბილად შეხვდა და დღემდე მიანიჩა ისინი მდარე ხარისხის, მხატვრულად მჭლე და უკუმონო თეატრალიობის ნიმუშად. ესენია „ხანუმა“ და „ძველი ცოდველები“. რუსთაველელთა და მარკანიშვილელთა აკადემიური თეატრების მოქმედ რეპერტუარში ჩნდებიან და ქრებიან სხვა დასახელებანი, ესენი კი უცვლელად რჩებიან მათ აფიშებზე და ალბათ ამ წარმოდგენების ნახვის სურვილი კიდევ დიდხანს არ გახვლდება. ზოგმა იქნება ორ-სამჯერაც კი ნახოს. მაცურებლის ლტოლვის ასეთი გაუწელებლობა გასაკვირია მით უფრო, რომ „ძველი ცოდველები“ აღბეჭდილია კინოფირსზე და ჩაწერილია გრამაფონის ფირფიტაზე, „ხანუმა“ მთლიანად და ნაწყვეტებად აჩვენებს ტელევიზიით, ორივე სპექტაკლის მუსიკალური ნომრები და სიმღერები გადავიდა ხალხში, შეიტანეს ვოკალური და ინსტრუმენტული ანსამბლების რეპერტუარში...

კ. მარკანიშვილის თეატრის მოსკოვიური გასტროლები დროს, საფულის უჩვეულო, სულსშემხუველი სიხის დროს, „ძველი ცოდველები“ მცირე თეატრის სცენაზე რამდენჯერმე წარმოადგინეს და დარბაზი ყოველთვის ისე იყო გატყდილი, როგორც იტყვიან, ნემსი არ ჩაწარდებოდა. ხოლო ლენინგრადში ტელევიზიით გადაცემისათვის მოვილი საგასტროლო რეპერტუარიდან სწორედ ეს წარმოდგენა ამირჩიეს.

ახლა „ხანუმა“ ამბავს აღარ იკითხავთ? რუსთაველის თეატრის შემდეგ იგი ლენინგრადის დიდ აკადემიურ თეატრში დადგა სამჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა გ. ტოპტანოვგომს. სამჭოთის ხალხთა დრამატურგიის საკავშირო ფესტივალზე ამ სპექტაკლმა უმაღლესი ჯალღი დაიმსახურა. ლენინგრადის მერე „ხანუმა“ დაიდაოფიდასა და ტაშკენტში, სვერ-



დროსა და სამარყანდში ცავარის კომედია, ვიკა ყანჭელის მუსიკასთან ერთად, გრძელ სცენურ გუნს გუგუა, დიონის მისი ახალი სიოცოცხლე. და ალბათ ეს უკა კარგა ხანს არ გაწყდება, „ხანუმა“ ცეცხლი კიდევ დღედას და განსაზღვრავს.

რამ გამოიწვია ეს? სად ვეძებთ მაყურებელთა ასეთი ერთსულენების საიდუმლოს გასაღებში? სად იმალება ამგვარი თეატრალური სიყვარულის სტიპილიზაცია, გემოვნების და ესთეტიკური კრიტიკიუმის მიზეზი? რა ხშირად ვიმეორებთ უკვე ჩვეულებრივ ფრასას: ჩვენი სასოგადოების წევრთა გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებებს თანამედროვე თეატრი უკადრ ამყოფილებს და იქვე ვივიწყებთ, მისი შინაარსი მიწვევით, „ხანუმა“, „ძველი ვოდევილები“ და მისი მსგავსი სპექტაკლების (როგორცაა, ვოქთა, „გამათი“, „თანამოსამახურნი“), თუ იმავე ტიპის კინოფილმების, მაგალითად, „კანასანკელი ტანგოს“ ხანგრძლივ, გარკვეული თვალსაზრისით, სკანდალურ წარმატებას?

ღიპს, მაყურებელს „ხანუმა“ და „ძველი ვოდევილები“ უკვარს და საჭიროა ამავე სერიოზული დაფიქრება. არ კმარა დაუწეროთ უპირობო რეკენზია, შეკარგებით „ხანუმა“ მაყურებელი ყურებით, აქაოდა, შენ „რუსთაველის თეატრისა“ არ ხარო, თვითონ სპექტაკლი კი ქარაფშუტულად მსუბუქ, საჭეო გემოვნების და „არაჯანსაღი“ (!) იუმორის წარმოდგენად მიგვაჩვენო, როგორც სოციალ კრიტიკოსი ჯ. ლენინჯილია („საბჭოთა ხელოვნება“ № 2). იქნებ ამგვარ შეფასებამ არც თუ ისე ცოტა იყოს სიზარითვე, მაგრამ სპექტაკლის ნეგატიურ შეფასებას კიდევ რომ გავცნოს, მაყურებელი, რაკი წარმოადგენა შეივარება, მასზე სიარულს როდი დაწყევლებს. პირიქით, გამოირჩეხული არ არის, რომ კრიტიკის ქარაფშუტული გატარებულმა სპექტაკლმა მაყურებლის ინტერესი უფროც ადაზნოს და გაამახვილოს.

„ძველი ვოდევილები“ და „ხანუმა“ (რუსთაველთა დადგებით) დრამატურული არსით ერთმანეთს ენათესავენ — მათი საფუძველი ვოდევილურია. ამიტომაც აქ უდგმება ლაბა-რაკი ფსიქოლოგიურ სიღრმეზე, რთული მასიანობის შექმნაზე, მით უმეტეს, რომ ორივეს სიუჟეტი რეგულაციამდელი საქართველოს ცხოვრებიდანაა აღებული, როცა წოდებრივი დაქვეითება და ენობრივი აღრევა ხლებოდა. ვოდევილი არც შეიძლება იყოს დრამატოვანი, ფსიქოლოგიურად რთული, დიდთემიანი — ეს არის მისი „თანდაყოლილი“ ცოდვაც და ლიტერატურული ღირსებაც.

საქმი არის, რომ ვოდევილს უკველია სცენური ღირსებები გააჩნია და ამავე დროს განსახიერების თავისებური სინქლენი: მის შემსრულებელ მსახიობს ერთად მოიხიოვება გულწრფელთა, ვოდევილური პლასტიკა, მომხილავი უშუალოდა, მუსიკალურად. იმპროვიზაციის ნიჭი და, რაც მთავარია, მსატრული ტაქტი და გემოვნება. თუ ეს უკანასკნელი არ გააჩნია ან ნაკლებად აქვს, შესაძლოა ვოდევილური წარმოდგენა ერთბაშად და უსახილო კამოვიდეს. პოდა, აქ საქმე სიუჟეტს ან თვითონ ვოდევილის ძანრს კი არ ეხება, როგორც ჯ. ლენინჯილია ფიქრობს. თუ ასე განხვავით, შექმპირის „ოდევილი“, ალბათ, ტრიკალურად მოგვეჩვენება, ხოლო „სამლეტი“ — პრიმიტიულ დეტექტივად, თუ არ გაავითავისწინებთ მოხრობების და მისი სამწველის გემოვნებას და კვილოგიკაციას.

ნუთუ პატივცემულ კრიტიკოსს სერიოზულად ჰქონია, რომ არსებობს ცუდი და კარგი ძანრები, შეგვიძლია ისინი კატე-

გორიზად განვალაგოთ და თითოეულ დრამატურულ სტილურ ტერმინს სეროლო მწკრივში განსაზღვროთ ადგილი მიუვჩინოთ? ცუდი ტრავედი, მაგალითად, განა კარგ ვოდევილზე უკეთესია? უდმეტი არ იქნება, თუ აქვე ვოლტერის მნიშვნელოვან აზრს გავისვენებთ, რომელსაც ყველაზე დიდ ტირანდ, მთავარ შემდგომად მიანჩნა თეატრში მოწყველობს და არა ის, თუ რა ძანრის ნაწარმოებს დამადა იგი. მართლაც, ვის მოუვა აზრად, კრებილიონის ანდა გრიოფუსის ამტამად სრულად დაევიწყებულ ტრავედიები მათი ძანრის გამო უდიდეს ნაწარმოებად მიიჩნიოს, ჩიხოვის ვოდევილთა კი, იმავე მიზეზით, უსახილო უგემოვნობის ნიმუშად, ანდა რაღაც ცარიელ თავგასართობ რაიმედ? წარმოიდგინეთ, როგორ გადარბიდებოდა ბიოგრაფია ზოგიერთი მსახიობისა (მაგალითად, ვ. აბაშიძისა და მისი კოპირტისა), მის რეპერტუარს ვოდევილური სახეები რომ გამოვალათ. ის კი, ვინც თეატრის ისტორიაში ვოდევილურ მსახიობადაა ცნობილი, ალბათ სულ უნიჭოდ უნდა გამოგვეცხადებინა და საერთოდ მსახიობის სახელი არც უნდა გვეწოდებინა.

ცუდი ვოდევილი მაყურებლის გემოვნებას ისევე რყვინის, როგორც ცუდი ტრავედი. თეატრში (და არა მარტო თეატრში) მთავარია ხარისხი, ხანტრეფოთ აზრი და მსატრული დონე. ძანრები კი, რაც უფრო მეტი და მრავალფეროვანი გვექნება, მით უფრო კარგი და სახიარულოა, ასეთი სიმდიდრე ვის მოსაპირებია!

ზოგჯერ ეს უსამართლოდ, სალანძღავის გაგებით ეხმარობთ სიტყვა მელოდრამას და მელოდრამატულს, ისევე, როგორც ვოდევილსა და ვოდევილურს, ვივიწყებთ და თითქმის ყველაზე უფრო დემოკრატიულ, მსაფრ-მოცულო, მართალია, გულწრფელად, მაგრამ ამავე დროს გულწრფელ ძანრს, რომელსაც ფრიალ თვალსაჩინო კვალი დაამჩნია მისი მომყოლი მიოლი დრამატურების განვითარებას, დაწყებულს რომანტიკული დრამიანდ, ჩვენი თეატრების დღევანდელი რეპერტუარის პიესებად.

ეს მოხდა იმიტომ, რომ ვოდევილსა და მელოდრამას ვერ თიამაშებ რიგინად, თუ არ გავაჩნია მაღალი პროფესიული კულტურა და სტილის შეგრძნება, თუ არ განასახიერებ ვოდევილურად მკაფიოდ, მელოდრამატულად მსაფრად, ემოციურად მცირელი მსატრული გადახვევა, გაუკულმართება. უტაქტობა ანდა, უარესი, მაყურებელზე თამაში, ყველაფერი ვის არა მარტო ამ ძანრის, მთლიანად თვითონ თეატრალური ხელოვნების ნეგატიურ მხარედ შემობრუნდება ხოლმე. ასეთ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ძანრი თვითონ იძიებს შურს მისადმი უპატივცემლობის გამო.

ცლვად გამხელელი სჯობს, „ძველი ვოდევილები“ და „ხანუმა“ თვით ან სპექტაკლების ძანრული სტილისტიკის ესთეტიკურ მარროს არღვევენ. ხშირად ამის მიზეზი უკონტროლობა მსახიობთა სურვილისა — ხალხს, რაც შეიძლება, თავი მიუვაწრონო. აი, აქ გვმართებს კვლავ გავისვენოთ, რომ ხელოვნებაში მთავარია ზომიერების გრძნობა.

მიუხედავად ამისა, ორივე წარმოდგენას მიზიდულებს დიდი ძალა გააჩნია — ლამაზი სანასობა, ცალკეულ შემსრულებელთა ფრიალ ნიჭიერი, ოსტატური თამაში და ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორცაა დრამატურული ნაწარმოების, მისი სცენური განსახიერების ყველა კატეგორიის ძალდაუტანებელი, იოლი აღქმა. „ხანუმა“ და „ძველი ვოდევილები“ წარმოდგენების დროს სცენა და მაყურებელთა

დარბაზი ერთი სულისკვეთით იმსკავლება, რადგან მაყურებელი სცენიდან იღებს იმ ესთეტიკურ საზრდის, თავისუფლად რომ ითვისებს, თითქმის შამყარეულად. მაშასადამე, ამ შემთხვევაში თეატრი საუბრობს ყველაზე მატიკურ, სცენურ გამომსახველობის ყველათვის გასაგები ენით, რომელიც მაყურებლისგან მსატრეული ერუდირების და ესთეტიკური გონების განვითარების არავითარ საგანგებო მომზადებას არ მოითხოვს. გარდა იმისა, რომ ეს ორივე სპექტაკლი ადვილი აღსაქმელია, მათ განაჩნათ კიდევ ერთი მიმზიდველი ენა-შანთისება — სცენაზე, რომელზემაც მონაწილეობენ ვასო ძიძიშვილი, ერისი მანჯაღალაძე, რამაზ მჩხევანი, სალომე ყანჩელი, ელენე ყიფშიძე, მარინე თბილული და კიდევ რამდენიმე მსახიობი, გამოირჩევა სცენური თამაშის თვალსაჩინო მომზიდველობით, მშვენიერებით, მთელი თავისი ზეიშური ბუნებით, ვალდებუთ თეატრალურობის პირველყოფილ უმანკოების ქმედითი სისახლით, რაც მსახიობური ბუნების უმდალესი გამოვლინებაა, ესე იგი, იმისა, რითაც თეატრი მსატრეული მუშების ოჯახიდან გამოირჩევა. ტყუილად, სწორედ ამ თვისებამ განაპირობა იტალიური ნიღბების კომედიის მრავალსაუკუნოვანი პოპულარობა და ცხოველმყოფელი სიცოცხლე.

ჩვენი თეატრების დღევანდელი რეპერტუარიდან განა რამდენ წარმოჩენას დავასახლებთ, რომლის ძირითადი ღირსებაც დაფუძნებულია სახათების რთულ ფსიქოლოგიურ განმტკობაზე, სულის მოძრაობაზე, ადამიანის ცოცხალ გრძნობა-ემოციათა ქმედით გასსანაზე? განა სწორად ვართ ჩვენ მოქმე აქტიორული აღმოჩენებისა — ტემპერამენტის აღსკვებისა, დიდი გულწრფელობისა, ინტენსიური აზრისა, სცენური მშვენიერებისა და პარონიის კანონებით შექმნილი ხელოვნებისა? არა, ჩვენ ამას სწორად ვერ ვესადავთ, პირიქით, ეს ჩვენთვის იმეიათ ხილია. რომ ჩამოთვალათ ბო-ლიდორიდიელი ათი სულისა განმავლობაში ქართულ სცენაზე თუ რა მნიშვნელოვან დაგასაჩინო სასცენო შექმნის მსახიობებმა, ათამდეც ვერ ავალთ.

მსახიობური გარდასახვა, ღრმდასახვენება თანამედროვე თეატრში უფრო შემთხვევითობად იქცა, ვიდრე კანონზომიერ აზმად. რეჟისორები გაიტაცა სპექტაკლის ფორმის საერთო საკითხებმა, მოხანსკენების ესთეტიკამ, ისინი სწორად იციწყენენ მსახიობს, როგორც თავისი აზრების მთავარ და შეუცვლელ გადამცემს, სცენისა და მაყურებელთა დარბაზის ყველაზე სიმედიე უმავალს. ამავე მიზეზით, მსახიობი-შემგომელი, რეჟისორის თანაავტორი, სპექტაკლის ყველა დანარჩენ კომპონენტებთან პირველი, იქცა რეჟისორის ჩანაფიერის ილუსტრატორად, მისი მსატრეული ნება-სურვილის უზარალო შემსრულებლად.

რეჟისორული ვოლუნტარიზმი ზოგჯერ ეწინააღმდეგება პიუსის დრამატურული შინაარსს და სპექტაკლში დაკავებულ მსახიობთა ნების ბუნება-სახასით უპირისპირდება. რუსთაველის სახელობის თეატრის ისეთ განხორციელებულ სპექტაკლებშიც კი, როგორცაა „გუმინდლინი“ და განსაკუთრებით „ყვარყვარა“, ყვარყვარის როლის შემსრულებელ რამაზ ჩხვიანიანს გამოვლებით, მსახიობებს შევიცილია მევეტოთი უფრო კეთილმინდისიერი ეროვნულება, რომ ისინი პროფესიულად აჩვენებენ იმას, რაც რეჟისორმა მათ გმირებს სცენაზე მოუხაზა სამომქმდოდ, ვიდრე გრძნობათა ცოცხალი დაბადება, ცინცხალი აზროვნება, მაყურებელს სიხარულს რომ ანიჭებს მუდამ. ყველას გულზე დაგებულა ის განსაკუთრებუ-

ლი შთაბეჭდილება, თ. ჩხვიდის რეჟისორობით დადგურულ სპექტაკლმა „გუმინდლინი“ რომ მოგვანიჭა — აქ ვერაფერად მატრეული მასლის ორიგინალური ინტერპრეტაციის სცენური ენის მეტაფორულობა, რეჟისორული მიმგებები, აზრობრივი აქცენტების მოულოდნელი ფიგურირება... მაგრამ ვინც ეს სპექტაკლი რამდენჯერმე ნახა, თუნდაც მისმა აღფრთხილებულმა თანამოაზრე — მაყურებელმა, დაგვეთანხმება, რომ მთიერ და მესამე ნახვისას უნებლოდ უნებლოდ და ინტერესი. ძირითადად ემოციური მგზნებარება — დამუხტვა-გამოიქცა პიუსის რეჟისორულმა გააზრებამ, შემდეგ სპექტაკლში კი მოულოდნლობის ფექტა მოხსნა, პირველი აღმოჩენის სიხარული გაქრა, რადგან მსახიობები ვერაფერს უმატებენ იმას, რაც სპექტაკლის ავტორს ენადა, თავის თამაშს ასალი ფერებით ვერ ამდიდრებდნენ, იმ წუთიერი ორგანული მოქმედებით ვერ აცოცხლებდნენ, რომ ასალი სცენური სახის დაბადება ვევილა ჩვენ. ამგვარად, დაიკარგა სცენისა და მაყურებელთა დარბაზის კონტაქტი, ამოვირდა დაბაყავი-შორებელი რგოლი — ცოცხლად მოაზროვნე, ემოციური, წმინდა წყლის თეატრალური მსახიობი. მისი ადგილი დაიჭირა ერთ ყალიბში მოქცეულმა პროფესიონალმა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით.

ასლა კი კვლავ „ხანუმას“ და „ქველ ვოდვეილებს“ დავუბრუნდეთ. მათ ესწრება, და თანაც სიამოვნებით, ყოველგვარი მაყურებელი, ისეიციც კი, თეატრის ზღურბლზე პირველად რომ გადაბიჯა. პოდა, გვაქვს ჩვენი უფლება, „ხანუმას“ მაყურებელს „არარუსთაველის“ უწვლდით, როგორც ამას კრიტიკოსი ჯ. ლენიჯლია გვიკეთინებს? აბა, ვისი არიან, რომელი თეატრალური ქვეყანაა მოვიდნენ? ვისი პატრონის იზრუნოდნენ, ვინ აძლევდათ გულს? ანდა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლები იქნებ მხოლოდ მიცურერიცხოვნი, რჩეული ელიტისათვის იმართება? ისიც საკითხთავია, რუსთაველთან რომელი სპექტაკლები მოსწონთ მათ? რომელზე დადიან ვატყვებთ? იქნებ იმ მაყურებლისთვის, რომელიც პატივს სცემს რუსთაველის სახელობის თეატრის ხელოვნებას, სავალდებულო არაა იარის „თავის“ თეატრში, მუდმივი კავშირი იქონიოს მასთან, დაინტერესდეს მისი შემოქმედებით ცხოვრებით? აბა, რატომაა ნახევრად ცარიელი დარბაზი იმ სპექტაკლებზე, უფლება რომ აქვთ. იწოდებოდნენ რუსთაველურად იმ რანგის თვალსაზრისით, ამ თეატრის რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში მდგომარეობის მიხედვით რომ უჭირავს?

აი, ერთ კონკრეტულ საკითხზე შევჩერდეთ. მაყურებელთა გარკვეული რიცხვი რუსთაველის სახელობის თეატრში დადის მხოლოდ „ხანუმაზე“. სხვა სპექტაკლზე ქელი რომ შეუვდოთ, მაინც არ შევა. როგორია თეატრის პოზიცია და უნითირობა „ხანუმას“ „მუშტართან“? თეატრი მის თავიერი და მომორებას ან ხელახლა აღზრდას ცდილობს თუ ასეი აუდიტორიის გაფართოებაზე უზრუნავს? როგორ პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენება, თეატრი უნებურად (გნებათ — იძულებით) „ხანუმას“ მაყურებლის ნება-სურვილზე თამაშობს. ჯერ ერთი, თეატრის სრულეობითაც ან ფიქრობს რეპერტუარიდან მის ამოღებას, პირიქით, განაახლა დეკორაციები (უფრო აკადემიური მხატვრობით), განაახლა დადგამაც და უფრო მეტიც — ცნობილი თბილისელი მატჩაკლის თავყანისმცემლებს პიირდება მისი თავდადასავლის გაგრძელებასაც კი, აგრეთვე თავად ფანტაზიების და აკოფას მოგ-



საურობას სასლავარგოთ, ევროპაში, კერძოდ, პარიზში. გეოტიხები, რომენი მასურებლისთვის ზრუნავს და იღვწის თეატრი ასე გულშოდგიხევი, ვისი გულის ზოგებას აპირებს? მხატვრულად სადავო, შუღახუდი რეპუტაციის წარმოდგენის, ბედგოული „ხანუშას“ მაცურებლის გულის მოგებას? ამის ზედგვ ვის და-ვარქვათ „რუსთაველულთა“ მაცურებელი, ვინ გახსნაზღვრავს ამ თეატრის სარეპერტუარო გზას, ვინ ქმნის ისი სელოფენები ამისდგ?

ჰოდა, ამის ზემდგ განა შეგვიძლია ჩვენ, „ხანუშას“ და „ქველი ვოდევილებს“ სენური არსებობის უფლება წავარ-თვათ? სიცოცხლე აუკურალოთ? ალბათ ეს ორივე სპექტაკ-ლი იქნებ აუგად არც არავის მოესწენებია, რუსთაველთა და მარჯახამიშვილის თეატრების რეპერტუარში რომ ბოწყინავდ-ნენ მაღალმხატვრული, ღრმაზრუნავი, პირველხარისხოვანი, ასე ვთქვათ, მზე-სპექტაკლები, და მასთან შერწყმული დიდი მასშტაბის მსახიობური ნაშეშეიქები. სამწუხაროდ, ასეთი სპექტაკლები ძალიან ცოტაა. ამის ბრალიცაა, რომ „ხანუშას“ და „ქველი ვოდევილებს“ წარმატება იმდენად მკაფიოდ ჩასს, თვალშიც კი გვეჩრებია.

ცაგარის კოჰედიამ უკვე 28 აწმუღი გადაიგორა მხარე. პირობითად რომ ვთქვათ, იგი ნახა თბილისის სცხო-რებთა მეთოხედმა. ამ სეოზის ბოლოს „ხანუშას“ ნახავს ექ-სება ყოველ მესამე თბილისელს და, ალბათ, მთვა დრო (თუ სპექტაკლი რაიმე შემთხვევითი მიწეზით არ ჩამოვიდა სცე-ნიდაც), როდესაც პრაქტიკულად საქართველოს დედაქალაქ-ში ვეღარ იპოვით ადამიანს, რომელსაც რუსთაველულთა ეს წარმოდგენა არ ექნებოდა ნახავს. აი, საინტერესო, უკველი სურათი! სხვა რთელ სპექტაკლებს შეგვიძლია იგეგმოს თქმა!

ვინ არის „დამხმამე“ „ხანუშას“ და „ქველი ვოდევილე-ბს“ ასე ხანგრძლივი წარმატების? თეატრი თუ მაცურებელი? მწარმოებელი თუ მიმხმარებელი? ვფიქრობთ, ასე ეო-თნ... ან — ორივე ერთად, თანაბარი უფლებით. როდესაც ამ წარმოდგენებს თამაშობენ მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრები, დარბაზი მაცურებლით რომ არ იჭედებოდეს, კარ-გა ხანია ისინი მოქმედი რეპერტუარიდან ამოვადგეოვდნენ. და მინც სამწუხარო ის კი არ არის, „ხანუშას“ და „ვო-დევილებს“ მაცურებელი ზღვასავით რომ აწყდება, არამედ სხვა ამბავი, იგი მთლიანად რომ იღვწის მათ, უცოყმანოდ, უკამათოდ, გახსურულად. არავითარი გაბორჩევა, არავითარი კრიტიკული განაღლიზება, ნახავს ხელოვნება, ამ შემთხვევა-ში, მხოლოდ ასეგენებს მაცურებელს, ასე ვთქვათ, სიამოფებას ანიჭებს, ეს არის დიდი, ვს.

ამ მაცურებელმა ხელოვნებასთან ურთიერთობა ვერ ის-წავლა, ურთიერთშემოქმედების არსს ვერ ჩასწვდა, ვერ ის-წავლა მისი გაგება, მხოლოდ ნახვით დაკმაყოფილდა. მერღად, აქ მხოლოდ რეკენზიები, ლექციები და მაცურე-ბელთა კონფერენციები გვიმეფის რაგმს? სრულებითაც არ ვფიქრობ, ახალი ჰუმანიტეტმა აღმოვაჩინოს, მგვრამ ერთი რამ უდავოა: ხელახალი აღზრდა უფრო რთული და ჩველია, ვიდრე თავდაპირველი აღზრდა.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ იდეალურმა მაცურებელმა თვითონ უნდა შეანგლოს ყურადღება და, მით უმეტეს, სიყ-ვარული, ასე ვთქვათ, ცარიელი, წმინდა წყლის გასართობი წარმოდგენებისადმი. მას უნდა გაუჩნდეს უფრო დიდი და

მნიშვნელოვანი, უფრო მხატვრული მოთხოვნისებანი, ფაქ-ში გემოვნება და გახსჯის უხარო.

მერედა, განა თავისით გაუჩნდება მაცურებელს ეს ყველ-ფერი? ვინ უნდა აღზარდოს მაცურებელი და როდის, რა სას-კის? ადამიანის მხატვრული აღზრდა უნდა დაიწყოს ისე-მოდინე და უნდა დაიწყოს მთელი ფროხობით, ადამიანის ყო-ველმხრივი პიროვნული განვითარების აღზრდასთან ერთად. ეს საქმე უნდა ითავონ სკოლამ, ოჯახმაც, თვითონ მხატვრ-ულურ-სახანაბოთმა ორგანიზაციებმა და მუშეუმების შექვეუ-რებმაც. ამ მხრივ, პირველი სიტყვა, რა თქმა უნდა, თოჯი-ნენისა და მოზარდ მაცურებელთა თეატრის ცეკუობით. ყვე-ლაზე მტეად მათ შეუძლიათ ბავშვების შეასკოლონ არა მარ-ტო ხელოვნების ანბანი, არამედ, ელემენტარული ართიმეტი-კული მოყედეების გავლით ისინი მრავალპლანინან, როულ-კოხფიქტიცაა აღვებრამდე მიიყვანონ, ხელოვნების ულა-მასეუ ფორმაში გაველით თეატრის, მხატვრობის, ქანდაკე-ბის, მუსიკის აღვებრამდე. უფროსთა წყალობით მშეყნიეო-ბის საყარობი მხოვედილი ბავშვს უნდა შეეძლოს თავი-სუფალი ორიენტირება, ეს სამყარო ერთდროულად უნდა და-ინახოს და მისი მსც გაიგოს, ნახათონ არა მარტო დატე-ბეს, გაიგოს კიდევ იგი, შოახდინის თავისუფალი ასოცირება, შევირთაპირება, გახსჯავს და გამზარჩიოს სიღამაზიდან უკე-თესი მშეხვიებოთა. თუ ეს ეთება თეატრს, გავზარდით მასში მაცურებელი — თახათიოთო, მაცურებელი — თანამოაზრე. უაითოდ წარმოდგენა ვერ შეასრულებს თავის მაღალსიეო-რივ და ესთეტიკუო დაიშნულეებას.

საველით ამართლიანად იქეცეან, მაგალითად, ესტონე-თის გახათლებისა და საამეშეო თეატრების მესევეურ-მოდვა-წენი, როდესაც პარალელულად, ერთიანა ძალით ცდილობენ, მოაწყლენიდე დიდ ხელოვნებას აზიარონ. ბალტიანიპირთის რესპუბლიკეებში ცვლავლ საინტერესო რევისორები მოზარდ მაცურებელთა თეატრებში მუშაობენ, ბავშვების აუდიტორიას-თახ ურთიერთობა მათ უდდეს სიამოფებას ანიჭებს. ახლა თეატრის ერთთვიურის ამბებს აღარ იკითხაბათ სკოლებში, თითქმის ყველა კავევილზე ასალავზრდაბის უღვევივებ თეატრის სიყვარულს, მშეყნიერების გრძნობას, რა ფორმი-თაც ეს უნდა გათვლინდეს იგი, აწყობენ მხატვრულ ექ-ტორინენტს, შემოიღეს წერიტი სამუშაოები თეატრალურ თე-მაზე.

განა ამევე მიზანს არ ემსახურება მოლონიეთის სახალხო რესპუბლიკაში კინემატოგრაფიის მსოფლიო შედგერების სახელმწიფოლოებში სისტემატიური ჩეგვება? ასე იზრდება მაცურებლის გემოვნება და მხატვრული განათლება.

ბეგრეურ ითქვა: იყო ჰუმანიტი მაცურებელი — ესევე ხელოვნებაო. ასეთი დიდი მაცურებელი იშვავდა იბადება, მას სწავლით ზრდიან.

ციოხელი თეატრალური ხელოვნების სამყაროს კარი ფართოდ უნდა გავუღოთ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მოქ-ლაქეებს, მათი სიზამუკის, თეატრის და მთელი სასოვადგე-ბის სასიყველი და სახედინეოროდ.

„მოშუადადელად, ნებმათა აღუწუნებლად, უშრომლად და მდღმიე ყინიანი ლტოლვის ვარემე, მშეყნიერების გრძნო-ბის საკუთარ არსებში განუვითარებლად, ხელოვნების გე-რავინ ეზარება.“ — ანდერძიეტი დავიკეტვა ბ. ბელინსკიმ.



ურბანისტული კვლ სახელწოდებები

თენგიზ კვიციანი

მომხმ საუკუნე, ტექნიკურ რევოლუციასთან ერთად, ქალაქების არანახული ზრდა და გარდაქმნა მოიტანა. დაუთვლებელი ურბანიზმი, სამწესობაროდ, ზოგჯერ იმსხვერპლებს ხოლმე წარსულის ნაკვალევს — ისტორიულ ან არქიტექტურულ ძეგლებს, ცალკეულ ნაგებობასა თუ მთლიანად ვრცელი უბნების შესასაუკუნეობრივ განაშენიანებას. კაცობრიობამ შეიგრძნო ეს საშიშროება და დღეს ისტორიული ძეგლების შემონახვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემატანია ქალაქების რეკონსტრუქციის გეგმებში. ჩვენმა საუკუნემ, გარემოს კარდინალურ გარდაქმნასთან ერთად, მეტად გააცოცხლა ინტერესი წარსულისადმი. კაცობრიობამ შთამაგონებელი ისტორიის მრავალი კვალი დატოვა დედამიწაზე და მათ შორის — არქიტექტურულ თუ არქეოლოგიურ ძეგლებზე, რომლებიც ასახავენ თავიანთი დროის სოციალურ შეხედულებებს, მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებს და მორალურ-ესთეტიკურ მისწრაფებას. ამასთან, ხალხის ისტორიის ძვირფას ნაკვალევს ვბოლოვებ სხვადასხვა გეოგრაფიულ სახელწოდებებში (ქალაქები, სოფლები, მათი უბნები, ქუჩები, მოედნები, ცალკეული ნაგებობები).

სახეცვლასთან ერთად, ძველი ქუჩები და უბნები ხშირად სახელსაც იცვლიან ხოლმე. სამწესობაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს მეტად ნაჩქარევად ხდება. ვლადიმერ სოლოუხინს ცნობილ ნარკვევებში, „წერილები რუსული მუზეუმებიდან“ (ქურანალი „მოლოდია გვარდია“, 1966 წ., № 9) მოყვას მ. ი. კალინინის სიტყვები კიბის უფსღის ნუსხეებზე: „მე სრულიად შედმეტად მიმანია უფსღისათვის ჩემი სახელის დარქმევა. ჩვენთან ისედაც ყველაფერს თავიდან არქმევენ სახელებს. მე ვთვლი, რომ ძველი დასახელებები უნდა შემოინახოთ. ნაჩქარევი გადარქმევანი არაფრით არ არის გამოწვეული და უსარგებლოა.“ და შემდეგ: „ეს მიზანშეუწონელია პრაქტიკულად და გარკვეულად უპრაქტიკულია წარსულისადმი“. ცხადია, ლაპარაკია არა ყოველგვარ დასახელებაზე — ყველას შემონახვა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ იგი ძველი, უსწრო იქნებოდა. აქ ივლისისებვა ისეთი სახელწოდებები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ მოვლენას ან ტრადიციას ასახავენ. ასე, მაგალითად, ვერცხლის ქუჩის დასახელება შუასაუკუნეების თბილისის ფრაგმენტია და ამჟამათა ქუჩებზე თუ უბნებზე განლაგების წესს გადმოგვცემს. ისევე, როგორც კომკავშირის ხეივანის სახელწოდება მისი მშენებლების უინაობაზე მიუთითებს.



ერთ დროს ჩვენში (არა მარტო თბილისში) ქუჩებისა და მოედნების გადარქმევის „ეპიდემია“ იყო. ზოგიერთი ქუჩის დასახელება რამდენჯერმე შეიცვალა. ერთი კურორტული შემთხვევა მაკონდება: დღევანდელ ნიკო ნიკოლაძის ქუჩას უწინ მარტის ქუჩა ერქვა. შემდეგ სახელწოდება დააკონკრეტეს და აბრაზე განდია „მ მარტის“ ქუჩა. გადიდა ხანი და „მ მარტი“ შეიცვალა „ანდრე მარტი“. როგორც ხედავთ, „მარტი“ ყველა ვარიანტში გვხვდება. წარმოდგინეთ ჩემი გაცემა, როგორც თბი-



ლისს ერთ ძველ რუკაზე მოგვყენა ამ ქუჩის პირვანდელ დასახლებას: „ვაჭარ მარტუას ჩიხი...“ რა თქმა უნდა, ამ ქუჩის დასახლება უნდა შეცვლილიყო. ზემოთ მოყვანილი შემთხვევა კი იმას მოწმობს, რომ ამ საქმეს ზოგჯერ მექანიკურად გადავწყვეტდით. ზოგიერთი ძველი, ისტორიული დასახლება მტკიცედ დამკვიდრდა, სხვანი ოპონდათან დაიწვევებას ეძლევიან. ამასთან, მეტად ძნელია რაიმე კანონზომიერებას მიაკვლიო. რატომ შემორჩა, ვთქვათ, „ზემელი“ ან „ვერა“ და მივიწყებულა „გარდისუბანი“, ხშირად გაიგონებო, „სალაქას“, „კუკუას“, „ვორონცოვის ხიდი“ და ხმარებინდან კი გამოვიდა „კალოუბანი“ და „მუხრანის ხიდი“. ხშირად ქუჩასა თუ მოედანს ორი სახელი აქვს — ერთი ახლად დარქმეული, ოფიციალური და მეთერ — ტრადიციული, თათბიდან თათბაში გადაცემული.

დღეს ასალგაზრდა თბილისელი ანაზად იმეორებს ძველ სახელწოდებებს — „მთაწმინდა“, „დიდუბე“, „ნაძალადევი“ და ხშირად არ აქვს განსებობიერებული თუ რა აზრია ჩაქსოვილი ამ დასახლებებში. ჟურნალ „ცისკრის“ 1974 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა გრიგოლ ზარდალიშვილის მეტად საინტერესო წერილი — „ტოპონიმიკური ტიპოუბები“, სადაც ბევრი ძველთბილისური დასახლება იყო მოგვანილი. ვთავაზობთ თბილისის ზოგიერთი ახალი ისტორიული დასახლების განხარტებას, რომელიც აღნიშნულ „ეტიუდებში“ არ არის მოხსენებული.

ა ვ ლ ა ბ ა რ ი — თბილისის ერთ-ერთი ვრცელი უბნის დასახლება არაბული „ხავალი-ბარ“ — ისაგან არის წარმოქმნილი, რაც სასახლის მიდამოს ნიშნავს, (იგულისხმება ისანში განლაგებული მეფეთა სასახლე და კათალიკოსის რეზიდენცია). პირველად სიტყვა „ავლაბარი“ 1398 წლის ერთ-ერთ სიგელში გვხვდება. ავლაბარს ისანის სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმდებარე ტერიტორია ეკავა და აქ დასახლდნენ სომხეთის ქალაქ ანიდან გადმოსხვეწილი ბაგრატი IV მეუღლის თანამემამულენი. შემდგომში ავლაბარის სახელწოდება ისანზეც გავრცელდა.

ფრანკენბერგი არქიტექტორ რევაზ ბერაძის ნახატებიდან „ძველი თბილისი“.

ა ვ ჳ ა ლ ა — მდინარის ახლოს განლაგებული, გაუვალი ჭაობებით დაფარული ტერიტორია შიშს ჰგვირგვინდა ადამიანებს. ხალხში გავრცელებული იყო რწმენა, რომ ამ მილდამოებში ავი აულები ბინადრობდნენ. მეზაურები ცდილობდნენ სწრაფად გასცლიდნენ ამ ადგილს, რომელსაც უძველესი დროიდან „ავი ჰალის“ სახელი ეწოდა. „ზამთრის მოწყვესა ფალანგებითა მათითა ჩამოდიან ავჭალას (ჰაჭვალას) დიდოში (დიღუბას)“ — მოგვიხსრობს დაკეთ აღმამუწელების ისტორიკოსი, როდესაც იგი დიდი თურქობის დროის (1095-97 წწ.) ამბებს აღწერს („ქართლის ცხოვრება“ 1942, გვ. 206).

ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი — ასე ეწოდება წმინდა მარიაპის (ზარის) ეკლესიას, რომელიც აგებულია ვახტანგ გორგასალის მემკვიდრის — ანჩი უჯარმელის მეფობის დროს VI ს.). პანილიკური შენობა დღევანდელი შავთელის ქუჩაზე გამოდის. ამჟამინდელი სახელწოდება, რომელიც ეკლესიამ XVII საუკუნეში მიიღო, იმ ხატის პატივისცემაცაა, რომელიც აქ გადმოიტანეს ანჩის კათედრალური ტაძრიდან (ანჩი იმყოფებოდა კლარჯეთში — იმდროინდელი საქართველოს სამხრეთ პროვინციაში). კარგი ხატი დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში. განსაკუთრებით გამოირჩევა ხატის მოზარე სიკვამლე, რომელიც კარავალი ჭედური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშიაგანია. მისი ავტორია განიჭებული ქართველი ოქრომჭედელი ბექა თაიზარი, რასაც მოწარმოების ქვედა ნაწილზე მოთავსებული წარწერა მოწმობს.

ა დ ლ ი ს ი — ამ ტოპონიმის ძირის — „დელი“ მნიშვნელობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მას აზერბაიჯანულ სიტყვა „დელი“ — სთან აკავშირებს. ზოგიერთი კი იმ აზრსაა, რომ (ვინაიდან ეს ტერიტორია ძველ დროს ტყით იყო დაფარული) შესაძლოა, ახლანდელი დასახლება „ძელისაგან“ მოდიოდესო. სხვები ფიქრობენ, რომ იგი „მდელისაგან“ უნდა მომდინარეობდესო.

